ლელო

№276 (12 346)

26 ნოემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა

# იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი, საქართველო, ჩერნოგორია

## იტალია ფავორიტია. მეორე ადგილზე გასვლა ყველას შეუძლია

**I ჯგუფი**
პორტუგალია
შვედეთი
დანია
უნგრეთი
ალბანეთი
მალტა

**II ჯგუფი**
საბერძნეთი
ისრაელი
შვეიცარია
მოლდოვა
ლატვია
ლუქსემბურგი

**III ჯგუფი**
ჩეხეთი
პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია
სლოვაკეთი
სლოვენია
სან მარინო

**IV ჯგუფი**
გერმანია
რუსეთი
ფინეთი
უელსი
აზერბაიჯანი
ლიხტენშტაინი

**V ჯგუფი**
ესპანეთი
თურქეთი
ბელგია
ბოსნია
სომხეთი
ესტონეთი

**VI ჯგუფი**
ხორვატია
ინგლისი
უკრაინა
ბელარუსი
ყაზახეთი
ანდორა

**VII ჯგუფი**
საფრანგეთი
რუმინეთი
სერბეთი
ლიტვა
ავსტრია
ფარერები

**VIII ჯგუფი**
იტალია
ბულგარეთი
ირლანდია
კვიპროსი
საქართველო
ჩერნოგორია

**IX ჯგუფი**
ჰოლანდია
შოტლანდია
ნორვეგია
მაკედონია
ისლანდია

კახა კალაძე: „ცუდს ვერაფერს ვიტყვი ამ ჯგუფზე. კარგი იქნებოდა ჩერნოგორიის ნაცვლად მეექვსე კალათიდან ნებისმიერი სხვა გუნდი შეგვხვედროდა, თუმცა რას ვიზამთ. თამაში და გამარჯვებაზე ფიქრი ყველა გუნდთან შეიძლება. ერთადერთი იტალიელებთან გაჭირდება ეს ძალიან. მეორე ადგილისთვის ბრძოლა რეალურად შეგვიძლია, მთავარია ფეხბურთელები იყვნენ ჯანმრთელად და ნაკრებმა ყველა მატჩში სრულად თუ არა, მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშოს."

გოგი ქავთარაძე: „რა შემიძლია გითხრათ, ნორმალური ჯგუფია. იმ ჯგუფს, რომელშიც ახლა ვიყავით, ჯობია. ევროპის ჩემპინატის შესარჩევში ორი გამოკვეთილი ფავორიტი იყო, ახლა მხოლოდ ერთია. თამაში და წარმატების მიღწევა ყველასთან შეგვიძლია. ჩერნოგორიის ჩვენ ჯგუფში მოხვედრა გვეხამუშება, მაგრამ ამას უარყოფითთან ერთად დადებითიც აქვს. ჩემი აზრით ყველა გუნდისთვის გადამწყვეტი კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან მოპოვებული ქულები იქნება. ნოდარ ახალკაცს ვესაუბრე დამითხრა, რომ კმაყოფილია შედეგებით, უკმაყოფილო არც კლაუს ტოპმიოლერი იყო".

თემურ ქეცბაია: „წილისყრა დასრულდა თუ არა, ერთბაშად რამდენიმე აქაურმა ჟურნალისტმა დამირეკა. ყველა საქართველოს ნაკრებზე მეკითხება და მეც სათანადოდ დავუხასიათე ჩვენი გუნდი. ჟურნალისტების გარდა აქაური საფეხბურთო წრის წარმომადგენლებმაც დამირეკეს.

კვიპროსი კარგი ნაკრებია, გერმანიამ ვერ მოუგო და შინ ირლანდია დაამარცხა, თანაც შემთხვევით კი არა, სოლიდური ანგარიშით. ნაკრების ლიდერი "პანათინაიკოსში" მოთამაშე ფორვარდი მარიუს კონსტანტინუა. ერთი სიტყვით, კვიპროსში საქართველოს ძალზე რთული მატჩი ელის. თუმცა არც კვიპროსს ელის იოლი გასეირნება თბილისში. სხვა რა გითხრათ, დანარჩენს უშუალოდ მატჩები გვიჩვენებს. წინასწარ ძნელია იმისი თქმა თუ რამდენ ქულას აიღებს საქართველო კვიპროსთან".

კალენდრის შესათანხმებლად სამუშაო შეხვედრა რომში ან სოფიაში გაიმართება სავარაუდოდ 10-15 იანვრის ფარგლებში.




სამხრეთი აფრიკისა და ფიფას პრეზიდენტები, თაბო მბეკი და ზეპ ბლატერი დურბანში, წილისყრაზე

### კომენტარები მეტოქეთა ბანაკებიდან

მსოფლიო ჩემპიონ იტალიის ნაკრების თავკაცი რობერტო დონადონი მიიჩნევს, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვე საკვალიფიკაციო ჯგუფში მისი ნაკრების ყველა მეტოქე რთულად დასამარცხებელია, განსაკუთრებით კი ბულგარეთის ნაკრებია ძლიერი: *„ფავორიტები ბუნებრივია ჩვენ ვართ, თუმცა საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს. ბულგარელებს, ირლანდიელებს და ქართველებს დიდი საფეხბურთო ტრადიციები არა აქვთ, თუმცა ეს გუნდები საკმაოდ ძნელი მეტოქეები არიან. ლოგიკურად ყველაზე მეტად ბულგარელებთან უნდა გაგვიჭირდეს. როგორც ყველა ყოფილი იუგოსლავიური ნაკრები, ჩერნოგორიაც არ იქნება იოლი მეტოქე. საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგად ვიცნობთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირიდან, რომელშიც ორჯერ შევხვდით“.*

ირლანდიის ნაკრების ყოფილმა წევრმა რეი ჰაუტონმა თქვა: *„მართალია რესურსი იმდენად დიდი არ გვაქვს, როგორც ინგლისს, მაგრამ ჩვენ შევეცდებით საუკეთესო ფეხბურთელთა წარმოჩენას. თუკი ჯგუფს მეორე ადგილზე დავასრულებთ, ეს დიდი წარმატება იქნება“.* შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ირლანდიის ნაკრები უმწვრთნელოდაა. ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის შეფმა ჯონ დელანიმ განაცხადა: *„გუნდს შეუძლია პირველი-მეორე ადგილებისთვის ბრძოლა. იტალია ფავორიტია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ამ გუნდს შოტლანდიამ დიდი ბრძოლა გაუმართა. ნაკრებს მწვრთნელი ბრაზილიის გუნდთან ამხანაგურ მატჩამდე დაენიშნება, რომელიც თებერვალში გაიმართება“.*

ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა იორდან ლეჩკოვმა განაცხადა: *„ჩვენ აქცენტი იტალიაზე უნდა გავაკეთოთ, რადგან სხვა ნაკრებების დამარცხება ჩვენთვის ძნელი არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა გვყავდეს ძლიერი გუნდი, რომელიც იტალიას წინააღმდეგობას გაუწევს. ასეთი ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა ლოგიკური იქნებოდა. ძალიან კარგი იქნება, თუ იტალიასთან მატჩი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გვექნება. იტალია სულაც შეიძლება ევროპის ჩემპიონი გახდეს და ჩვენთან მატჩისთვის გამოფიტული იქნება“.*

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

მეტოქეები

# ძველი ნაცნობები და ერთი დებიუტანტი

## იტალია

ჯგუფის მეტოქეებიდან ყველაზე უკეთ ქართველი გულშემატკივარი იტალიას იცნობს. მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში იტალიელებს 6-ჯერ შევხვდით - 5 თამაში მათ აქვთ მოგებული და მხოლოდ ერთხელ 1997 წელს გვითამაშია ფრედ 0:0.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი იტალიამ არც თუ კარგად დაიწყო - მსოფლიო ჩემპიონი გუნდისთვის ეს ლამის კატასტროფის ტოლფასი იყო და საუბარი მწვრთნელის გადაყენებაზეც კი მიდგა. საბოლოოდ რობერტო დონადონისთვის და იტალიელთათვის ყველაფერი კარგად დასრულდა - გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ასე რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აპენინელებმა კრახი თუ არ განიცადეს, საქართველოში "აძურას" კვლავაც დონადონი ჩამოუძღვება. თანაც ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონის სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში ზედიზედ მეორე შესარჩევ ციკლში.

პირველი თამაში იტალიის ნაკრებს 1910 წელს აქვს გამართული - მილანში მასპინძლებმა ფრანგები 6:2 დაამარცხეს. პირველი წარმატება კი გუნდმა 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებში იზეიმა - მესამე ადგილი დაიკავა. ამას კი სულ მალე 1934 და 1938 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოყვა. "სკუადრა აძურა" კიდევ ორჯერ გახდა პლანეტის უძლიერესი გუნდი და ამ მხრივ მხოლოდ ბრაზილიას ჩამორჩება.

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

| | |
|---|---|
| **იტალია-ლიტვა** | 1:1 |
| ინძაგი | |
| **საფრანგეთი-იტალია** | 3:1 |
| ჟილარდინო | |
| **იტალია-უკრაინა** | 2:0 |
| ოდო, ტონი | |
| **საქართველო-იტალია** | 1:3 |
| დე როსი, კამორანეზი, პეროტა | |
| **იტალია-შოტლანდია** | 2:0 |
| ტონი (2) | |
| **ფარერები-იტალია** | 1:2 |
| ინძაგი (2) | |
| **ლიტვა-იტალია** | 0:2 |
| კვალიარელა (2) | |
| **იტალია-საფრანგეთი** | 0:0 |
| **უკრაინა-იტალია** | 1:2 |
| დი ნატალე (2) | |
| **იტალია-საქართველო** | 2:0 |
| პირლო, გროსო | |
| **შოტლანდია-იტალია** | 1:2 |
| ტონი, პანუჩი | |
| **იტალია-ფარერები** | 3:1 |
| ბენიამინსენი (ა.გ.), ტონი, კიელინი | |

**საქართველო-იტალია**

| | |
|---|---|
| 09.10.1996 მჩშ | |
| იტალია- საქართველო | 1:0 |
| 10.09.1997 მჩშ | |
| საქართველო - იტალია | 0:0 |
| 11.10.2000 მჩშ | |
| იტალია - საქართველო | 2:0 |
| 02.06.2001 მჩშ | |
| საქართველო - იტალია | 1:2 |
| 11.10.2006 ეჩშ | |
| საქართველო - იტალია | 1:3 |
| 13.10.2007 ეჩშ | |
| იტალია - საქართველო | 2:0 |



13 ოქტომბერი, 2006. საქართველო-იტალია 1:2

## ირლანდია

U2, ჯეიმს ჯოისი და ოსკარ უაილდი - არ არის ოთხმილიონიანი ირლანდია პატარა ქვეყანა, რომელსაც ბრიტანეთის იმპერიამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მოაგლიჯა და ჩრდილოეთ ირლანდია დაარქვა.

ირლანდია საფეხბურთო ქვეყანაა. მას ჰყავდა **როი კინი** და **ლაიამ ბრეიდი**, მაგრამ არასდროს არ ჰყოლია ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი და ირლანდიის ახლანდელი ნაკრების ყველა ფეხბურთელი ინგლისში და შოტლანდიაში თამაშობს.

1990 წელს იტალიაში ირლანდიამ პირველად ითამაშა მუნდიალზე და მეოთხედფინალამდე მიაღწია. ირლანდიამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ სამჯერ ითამაშა, ბოლოს 2002 წელს. ევროპის ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე კი ერთხელ - 1988 წელს.

ირლანდიას ნაკლებად ცნობილი მენეჯერი **დონ გივენსი** წვრთნის. კარში "ნიუკასლის" გამოცდილი გოლკიპერი **შეი გივენი** უყენია, რომელსაც ნაკრებში 84 მატჩი უთამაშია.

ირლანდიელთა დაცვას სხვათა გარდა ლივერპულელი **სტივ ფინანი** და მანჩესტერელი **ჯონ ოშეი** ამაგრებენ.

ნახევარდაცვაში მთავარი კაცი **კევინ კილბეინია**. ის ინგლისურ "უიგანში" თამაშობს, ნაკრებში კი 85 კეპი მოუხვეჭია.

თავდასხმაში ნომერ პირველი, რა თქმა უნდა, ტოტენჰემელი **რობი კინია**. ის ნაკრების კაპიტანიც გახლავთ.

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

| | |
|---|---|
| **გერმანია-ირლანდია** | 1:0 |
| **კვიპროსი-ირლანდია** | 5:2 |
| აირლენდი, დანი | |
| **ირლანდია-ჩეხეთი** | 1:1 |
| კილბეინი | |
| **ირლანდია-სან მარინო** | 5:0 |
| რიდი, დოილი, კინი (3) | |
| **სან მარინო-ირლანდია** | 1:2 |
| კილბეინი, აირლენდი | |
| **ირლანდია-უელსი** | 1:0 |
| აირლენდი | |
| **ირლანდია-სლოვაკეთი** | 1:0 |
| დოილი | |
| **სლოვაკეთი-ირლანდია** | 2:2 |
| აირლენდი, დოილი | |
| **ჩეხეთი-ირლანდია** | 1:0 |
| **ირლანდია-გერმანია** | 0:0 |
| **ირლანდიაკვიპროსი** | 1:0 |
| ფინანი | |
| **უელსი-ირლანდია** | 2:2 |
| კინი, დოილი | |

**საქართველო - ირლანდია**

| | |
|---|---|
| 29.03.2003 ეჩშ | |
| საქართველო-ირლანდია | 1:2 |
| 11.06.2003 ეჩშ | |
| ირლანდია-საქართველო | 2:0 |

## კვიპროსი

პირველი, რაც ქართველ გულშემატკივრებში კვიპროსის ასოციაციას იწვევს, **თემურ ქეცბაიაა**. შეხსენება არ უნდა იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ბევრის აზრით, საუკეთესო ფეხბურთელმა საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი კვიპროსზე გაატარა, დღესაც იქ ცხოვრობს და ფამაგუსტის "ანორთოსისს" წვრთნის.

კვიპროსის ნაკრები კი დიდი წარმატებებით არასდროს გამოირჩეოდა. თუმცა ბოლო შესარჩევ ციკლში პროგრესის გარკვეული ნიშნები გამოიკვეთა. მართალია, კუნძულელებმა 7-გუნდიან ჯგუფში ჩვენს მსგავსად, მეექვსე ადგილი დაიკავეს, მაგრამ 14 ქულას მოუყარეს თავი, აქედან ყველაზე გამოსარჩევი კი გერმანიასთან 1:1 და ირლანდიის განადგურება (5:2) გახდა, სტუმრად კი ამავე გუნდთან ფრეს მიაღწიეს. მათ შინ უელსსაც სძლიეს. კვიპროსს ქვეჯგუფში მეოთხე საფეხურის დაკავების საკმაო შანსიც ჰქონდა. ამ გუნდს ორი შედარებით ცნობილი ფეხბურთელი ჰყავს – თავდამსხმელები, **მიხალის კონსტანტინუ** და **იოანის ოკასი** ბერძნულ ლიგაში გამორჩეულები არიან. საერთო ჯამში, ამ გუნდთან 6 ქულის მოპოვება შეუძლებელი სულაც არაა.

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

| | |
|---|---|
| **სლოვაკეთი-კვიპროსი** | 6:1 |
| იასუმი | |
| **კვიპროსი-ირლანდია** | 5:2 |
| კონსტანტინუ (2), ხარალამპიდისი (2), გარპოძისი | |
| **უელსი-კვიპროსი** | 3:1 |
| ოკასი | |
| **კვიპროსი-გერმანია** | 1:1 |
| ოკასი | |
| **კვიპროსი-სლოვაკეთი** | 1:3 |
| ალოფენტისი | |
| **ჩეხეთი-კვიპროსი** | 1:0 |
| **სან მარინო-კვიპროსი** | 0:1 |
| ოკასი | |
| **კვიპროსი-სან მარინო** | 3:0 |
| ალოფენტისი (2), მაკრიდისი | |
| **კვიპროსი-უელსი** | 3:1 |
| ოკასი (2), ხარალამპიდისი | |
| **ირლანდია-კვიპროსი** | 1:1 |
| ოკარიდესი | |
| **გერმანია-კვიპროსი** | 4:0 |
| **კვიპროსი-ჩეხეთი** | 0:2 |

**საქართველო-კვიპროსი**

| | |
|---|---|
| 22.12.1992 ამ | |
| კვიპროსი - საქართველო | 1:0 |
| 27.03.1996 ამ | |
| კვიპროსი - საქართველო | 0:2 |
| 19.02.2004 ამ | |
| კვიპროსი - საქართველო | 3:1 |

## ჩერნოგორია

ჩერნოგორია ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ჩერნოგორელებს მყისვე არ მიუღიათ დამოუკიდებლობა - 2006 წლის ივნისამდე ისინი მოძმე სერბეთთან იყვნენ გაერთიანებულნი.

ჩერნოგორია შავ მთას ნიშნავს, მისი მოსახლება 700 000 აღწევს. ეს ქვეყანა ევროკავშირში არ შესულა, თუმცა ოფიციალურ ვალუტად ევრო გაუხდია. სერბეთიდან გამოყოფა უფრო ეკონომიკურმა ფაქტორმა განაპირობა - ჩეროგორიის ეკონომიკა მძიმე დღეშია და იქაურებს იმედი აქვთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რამე ეშველებათ.

ჩერნოგორიაში ყველაზე პოპულარულ სპორტი ფეხბურთი და კალათბურთია. ჩერნოგორიის ნაკრებმა დაარსებიდან დღემდე ექვსი ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო:

| | |
|---|---|
| **ჩერნოგორია-უნგრეთი** | 2:1 |
| **იაპონია-ჩერნოგორია** | 2:0 |
| **კოლუმბია-ჩერნოგორია** | 1:0 |
| **ჩერნოგორია-სლოვენია** | 1:1 |
| **ჩერნოგორია-შვედეთი** | 1:2 |
| **ესტონეთი-ჩერნოგორია** | 0:1 |

ჩერნოგორიელებმა თავიანთ ეროვნულ ნაკრებს უკვე თიკუნიც შეურჩიეს - "მამაცი შევარდნები".

მათი საუკეთესო "შევარდენი" **მირკო ვუჩინიჩია**, რომელმაც ამ ამხანაგურ მატჩებში ოთხი გოლი გაიტანა. ის გუნდის კაპიტანიცაა.

24 წლის ვუჩინიჩი "რომას" წამყვანი ფორვარდიცაა. ის იქ მეორე სეზონს ატარებს. მიმდინარე სერია A-ში ოთხი გოლი გაიტანა. **ლუჩანო სპალეტი** ვუჩინიჩს "რომაში" ხან მარცხენა გარემარბად ათამაშებს, ხან ცენტრფორვარდად. "რომამდე" ვუჩინიჩმა ექვსი სეზონი "ლეჩეში" ითამაშა.

"შევარდენებს" **ზორან ფილიპოვიჩი** წვრთნის. მან ფეხბურთელობა "ცრვენა ზვეზდაში" დაიწყო, მერე "ბრიუგეში", "ბენფიკაში" და "ბოავიშტაში" თამაშობდა 80-იან წლებში. მწვრთნელობასაც შეუდგა, თუმცა იქ სახელიანი გუნდები არ გაუწვრთნია. 2000/03 წლებში "ცრვენა ზვეზდას" თავკაცობდა და ოთხი წელი, ფაქტობრივად, უმუშევარი იყო.

ჩერნოგორიის ფეხბურთში ყველაზე სახელოვანი კაცი ფედერაციის პრეზიდენტია - მას ჰქვია **დეიან სავიჩევიჩი**. ის 90-იანი წლების "მილანის" ვარსკვლავია.

## ბულგარეთი

საქართველოს ნაკრებმა ყველაზე ძლიერ გუნდს ალბათ 1995 წელს მოუგო : ევრო-96-ის შესარჩევში შინ ბულგარეთი 2:1 დაამარცხა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბულგარეთს აღარ ჰყავს ისეთივე ძლიერი ნაკრები, 1992-96 წლებში რომ ჰყავდა. თუმცა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 2004 წელსაც მოხვდა, მუნდიალზე კი 1994 წლის შემდეგ მხლოდ ერთხელ - 1998 წელს. სულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ექვსჯერ უთამაშია.

ბულგარეთის ნაკრებს ევრო 96-ის შემდეგ ერთხელაც ვეთამაშეთ - შარშანწინ ამხანაგურად გავეჯიბრეთ სოფიაში და 2:6 წავაგეთ.

ბულგარეთის ნაკრებს კვლავ დიმიტერ პენევი წვრთნის, სწორედ ის თავკაცობდა გუნდს 1994 წლის მუნდიალზე და მაშინაც, როცა ევრო 96-ში საქართველოს მეტოქე იყო. პენევი ბულგარეთის ნაკრებს ხელმეორედ თერთმეტი წლის შემდეგ, 2007 წლის ივლისში ჩაუდგა სათავეში.

ბულგარეთის ახლანდელ ნაკრებში მთავარი კაცი და კაპიტანი **დიმიტარ ბერბატოვია**. ეს ფორვარდი ახლა "ტოტენჰემში" თამაშობს. ბოლო დროს სანაკრებო გოლებს მოუხშირა "მანჩესტერ სიტს" **მარტინ პეტროვმა**. "სიტიში" თამაშობს ბულგარელთა კიდევ ერთი შემტევი - **ვალერი ბოჟანოვი**.

ნახევარდაცვაში საკვანძო ფიგურა **სტილინ პეტროვია** ,"ასტონ ვილას" შუახაზელი, ვინც მანამდე "სელტიკში" თამაშობდა.

ბულგარელებს ორი ლეგიონერი რუსეთშიც ჰყავთ - ნახევარმცველი **გეორგი პეევი** და შემტევი **მარტინ კუშევი** პერმის "ამკარიდან".

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

| | |
|---|---|
| **რუმინეთი-ბულგარეთი** | 2:2 |
| მარტინ პეტროვი (2) | |
| **ბულგარეთი-სლოვენია** | 3:0 |
| ბოჟანოვი, მარტინ პეტროვი, ტელკოვსკი | |
| **ბულგარეთი-პოლანდია** | 1:1 |
| მარტინ პეტროვი | |
| **ლუქსემბურგი-ბულგარეთი** | 0:1 |
| ტუნჩევი | |
| **ბულგარეთი-ალბანეთი** | 0:0 |
| **ბელარუსი-ბულგარეთი** | 0:2 |
| ბერბატოვი (2) | |
| **ბულგარეთი-ბელარუსი** | 2:1 |
| მარტინ პეტროვი, იანკოვი | |
| **პოლანდია-ბულგარეთი** | 2:0 |
| **ბულგარეთი-ლუქსემბურგი** | 3:0 |
| ბერბატოვი (2), მარტინ პეტროვი | |
| **ალბანეთი-ბულგარეთი** | 1:1 |
| ბერბატოვი | |
| **ბულგარეთი-რუმინეთი** | 1:0 |
| დიმიტროვი | |
| **სლოვენია-ბულგარეთი** | 0:2 |
| გეორგიევი, ბერბატოვი | |

**საქართველო-ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| 12.10.1994 ეჩშ | |
| ბულგარეთი - საქართველო | 2:0 |
| 11.10.1995 ეჩშ | |
| საქართველო - ბულგარეთი | 2:1 |
| 12.11.2005 ამ | |
| ბულგარეთი - საქართველო | 6:2 |

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

**ოლიმპი-მერანი**

**2:0**

24.11. რუსთავი. ფოლადი
200 მაყურებელი

1:0 დევდარიანი (6. ჯიქიას პასით), 2:0 კახელიშვილი (55. დევდარიანის პასით)

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა - კახელიშვილი, დევდარიანი (87. ჟივკოვიჩი), სილაგაძე, გენაძე, ნავალოვსკი (83. კოშკაძე) - რ. ჯიქია, დვალიშვილი (68. ქებაძე)

*სათადარიგოები: მ. ალავიძე, გ. იაშვილი, მგელაძე, მასუანგა*

მერანი: თევდორაძე - ლოლაძე, თ. კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე - ლომაშვილი, ჯანგიძე, ფურთუხია (85. ქეშაშვილი), იაგო დეისაძე (46. ბ. ჟღენტი), კობერიძე (60. ი. შენგელია) - გოჩაშვილი

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, კალაძე, იაკობ დეისაძე*

გაფრთხილებები: ჯანგიძე (22), აკუასაგა (47), ჯიქია (58), თევდორაძე (89)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

### სტენოგრამა

**6.** 1:0 - ჯიქიამ და დევდარიანმა მოედნის ცენტრიდან ერთმანეთთან ბურთის გათამაშებით მეტოქის საჯარიმომდე მიაღწიეს და ლამაზი შეტევა მასპინძელთა საყრდენი ნახევარმცველის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

**11.** მაღალი ბურთისთვის გოჩაშვილი და მერლანი იბრძოდნენ, რის შემდეგაც იაგო დეისაძე ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ცარიელი კარიდან მახვილაძემ გამოიტანა.

**20.** სილაგაძე-დვალიშვილის ლამაზ კომბინაციას დევდარიანი ეფექტური დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ ბურთი მიზანს აცდა.

**24.** გენაძის სახიფათო ფლანგურ ჩაწოდებას დვალიშვილი ვერ მიწვდა.

**38.** სტუმრების მეორე რეალური მომენტი: კობერიძემ მახვილი კუთხიდან ვერ შეძლო, ფაქტობრივად, ცარიელი კარის დალაშქვრა.

**50.** გენაძემ და ჯიქიამ დვალიშვილი იდეალურ პოზიციაზე გაიყვანეს, მაგრამ მასპინძელთა ფორვარდს მიზანმა უმტყუნა.

**51.** ჟღენტის შორეული გასროლა ოდნავ აცდა მიზანს.

**52.** გენაძის ფლანგური გარღვევა და ისევ დვალიშვილის გაცუდებული მომენტი.

**55.** 2:0 - დევდარიანმა ზუსტი პასით კახელიშვილი სტუმართა მეკარეს შეატოვა და მასპინძელთა მარჯვენაფლანგელმაც ყველაფერი ზუსტად შეასრულა.

**59.** გენაძის დიდოსტატური პასით დვალიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ვერც ამჯერად იხეირა.

**63.** მატჩის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეპიზოდი: ფლანგურ გადაცემას გამოცდილი გოჩაშვილი ეფექტური თავური დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ მერლანმა თავგანწირული ნახტომით ბურთი მოიგერია.

**64.** ჟღენტი საშუალო მანძილიდან ურტყამს - მერლანმა საიმედოდ ითამაშა.

**77.** გოჩაშვილი შემობრუნებით ახლო კუთხეში ურტყამს - მერლანი კვლავაც უშეცდომოა.

**79.** კვლავ სტუმართა ფლანგური გარღვევა და შეტევას ამჯერად ჟღენტი ასრულებს; მაგრამ ფორვარდის 3 მეტრიდან შესრულებული თავური დარტყმა ისევ და ისევ ჩინებულად მოთამაშე მერლანმა მოიგერია.

# ...როცა მირზა დაფრინავს



...არაადამიანური სუსხი, ატალახებული და დამძიმებული მინდორი, ტრიბუნებზე კანტი-კუნტად მჯდომი 200-მდე ქომაგი - ამ ყველაფრის მერე, წესითა და რიგით, ფეხბურთელებისგან რალა უნდა მოგვეთხოვა. თანაც, ერთმანეთის პირისპირ არც პრინციპული მეტოქეები იყვნენ და არც ლიდერთა წარმომადგენლები; მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმ ფაქტსაც, რომ რუსთავის „ოლიმპი" ჯერაც მოქმედი ჩემპიონია! და მაინც - სანახაობა ვიხილეთ, უფრო ზუსტად, ყველასათვის მოულოდნელად, მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე უშელავათო ბრძოლა; ეგ კი არა, ხშირ შემთხვევაში, ვერც გაარკვევდით, ვინ იყო ამ შეხვედრაში ფავორიტი და ვინ - წინასწარ განწირული. ჰო, მოვლენებს გვინდა გავუსწროთ და ვიტყვით, რომ „მერანი" აშკარად შეგვეცოდა. აბა, როგორი საქმეა, „ოლიმპს" სტუმრად ხუთ-ექვს რეალურ მომენტს რომ შეუქმნი? იმ „ოლიმპს", რომლის მეკარემცველებს ჩემპიონატში გამოცდილებითაც გამოვარჩევთ და საიმედო თამაშითაც. თუმცა, მეორის მხრივ, მასპინძელთა გამარჯვებაც ლოგიკური ჩანდა - „ოლიმპმა" კონტრშეტევებზე თამაში არჩია და ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა გაამართლა. და მაინც: რომ არა **მირზა მერლანის** საუცხოო თამაში, „მერანი", სულ მცირე, ერთ ქულას წაიღებდა რუსთავიდან. მაგრამ ეს ყველაფერი მეორე ტაიმში იყო, როცა მასპინძლები ორბურთიანი უპირატესობით იყვნენ წინ და შესაძლოა, ამანაც იქონია გავლენა მატჩის მსვლელობაზე. მანამდე კი იყო „ოლიმპის" ერთი-მეორეზე ლამაზი გოლი: პირველ შემთხვევაში **რეზო ჯიქიამ** და **დავით დევდარიანმა** მოედნის ცენტრიდან ერთმანეთთან მოკლე პასებით მეტოქის საჯარიმომდე ჩააღწიეს და, მართლაც, ეფექტური კომბინაცია მასპინძელთა ახალგაზრდა ნახევარმცველის ტექნიკური დარტყმით დასრულდა; დევდარიანმა მეორე გოლშიც ლომის წილი დაიდო, როცა მისი გამოზომილი პასით **გიორგი კახელიშვილმა** თავის კოლეგა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიდან **გიორგი თევდორაძე** უშანსოდ დატოვა. ამის გარდა „ოლიმპს" კიდევ შეეძლო უპირატესობის განმტკიცება, როცა მწვავე კონტრშეტევით პასუხობდა ლამის მთელი გუნდით იერიშზე გადასულ მეტოქეს, მაგრამ ფატალურად არ უმართლებდა **ლადო დვალიშვილს**. თანაც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ეპიზოდში ასისტენტის როლში **რევაზ გენაძე** გვევლინებოდა - მერლანთან და დევდარიანთან ერთად, უდავოდ, საუკეთესო რომ იყო „ოლიმპის" შემადგენლობაში. ნურც **ლევან სილაგაძის** გარჯას დავივიწყებთ - მასპინძელთა გამოცდილი „საყრდენი" 90 წუთის განმავლობაში უშეცდომოდ თამაშობდა მოედნის ცენტრში. ახლა კი სტუმრებზეც ვთქვათ - ფაქტია, რომ ასეთი თამაშით „მერანი" სატურნირო ცხრილში აშკარად უფრო მაღლა იმსახურებს ყოფნას. ფაქტია, რომ ამ გუნდს ავტორიტეტების რიდი არა აქვს და, რაც მთავარია, აქცენტს შემტევ ფეხბურთზე აკეთებს. სამწუხაროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებენ და უამრავ მომენტს ანიავებენ; აი, თუნდაც პირველ ტაიმში რომ ჰქონდათ: ორ შემთხვევაში „მერანის" ახალგაზრდა ფეხბურთელები, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ურტყამდნენ, მაგრამ...

სტუმრები მეორე ტაიმშიც აქტიურობდნენ, მაგრამ ყველა მათ მცდელობას ჩინებულად მოთამაშე მირზა მერლანი აღუდგა. „ოლიმპის" მეკარემ თავის ყოფილ თანაგუნდელს („ვიტ-ჯორჯიადან") **ვლადიმერ გოჩაშვილს** ნერვები ხომ „დააწყვიტა", მერე კი შეცვლაზე აქტიურად შემოსულ **ბექა ჟღენტსაც** ზღაპრული ბურთი აუღო!

### მატჩის შემდეგ

**დავით ეჯიბიშვილი** („მერანი"): „ჩემს ბიჭებს მონდომებას ვერ დავუწუნებ და ყველა დამეთანხმება, რომ ღირსეულად ვეთამაშეთ ძლიერ მეტოქეს. სამწუხაროდ, იღბალმაც ზურგი გვაქცია - ექვსი-შვიდი რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თანაც ბრწყინვალედ ითამაშა მასპინძელთა მეკარემ. მჯერა, რომ ასეთი თამაშით მომავალში უკეთეს შედეგს მივაღწევთ.

**ანატოლი პისკოვეცი** („ოლიმპი"): „უხერხულ მეტოქესთან გვქონდა საქმე - თასზე ერთხელ წავაგეთ, ერთხელ კი ფრედ ვეთამაშეთ. თანაც, გავითვალისწინეთ მძიმე მინდვრის ფაქტორიც და მეტოქეს სათამაშო ინიციატივა შეგნებულად დავუთმეთ. როგორც აღმოჩნდა, ამ ტაქტიკამ გაამართლა და საერთოდაც, სანახაობრივი თამაში ვიხილეთ.

### რჩეული
### დავით დევდარიანი

გოლი და საგოლე პასი - აი, ასეთი ჩინებული მონაგარი ჰქონდა მასპინძელთა ახალგაზრდა ნახევარმცველს დავით დევდარიანს; რევაზ გენაძე და ლევან სილაგაძეც, უდავოდ, გამორჩეულები იყვნენ ამ შეხვედრაში, მაგრამ „რჩეულად" მაინც მირზა მერლანი დავასახელეთ! 27 წლის მეკარემ საქართველოში დაბრუნების მერე საუკეთესო თამაში აჩვენა და „ის" მერლანი გაგვახსენა, ამ რამდენიმე წლის წინ ეროვნული ნაკრების კანდიდატად რომ ითვლებოდა!..

**გია ტუხაშვილი**

## ჩემპიონატი

**ლოკომოტივი-დინამო**

**1:2**

24.11. თბილისი. მ. მესხი
100 მაყურებელი

0:1 მერებაშვილი (7. პენ), 1:1 გუშარაშვილი (21. ბარბაქაძის პასით), 1:2 მერებაშვილი (83)

ლოკომოტივი: გვარამაძე-ფოფხაძე, გუშარაშვილი, ნ. ჩაგელიშვილი, ხოხონიშვილი-მალიჩავა (88. დ. ჩაგელიშვილი), ბარბაქაძე, გულორდავა, ჟღენტი (64. ლუდალაშვილი), სამხარაძე, იმედაძე (86. მიქაძე)

დინამო: გვარამაძე, ფოფხაძე, ოვონო, შ კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, დილმელაშვილი, ხმალაძე, სპასოევიჩი (76. ოდიკაძე), მერებაშვილი, ხუციშვილი (57. კობახიძე), აკირემი (89. ვაწაძე)

გაფრთხილება: ოვონო (22), სპასოევიჩი (29), სამხარაძე (32), ზელიჩი (52), ხოხონიშვილი (85)

არბიტრი: ლ. სილაგავა

### სტენოგრამა

**4.** მერებაშვილს გოლის გატანა მცველმა არ დაანება.

**6.** აკირემის პასის შემდეგ, სპასოევიჩს უნდა დაერტყა, მაგრამ წესის დარღვევით შეაჩერეს და სილაგავამ პენალტი დანიშნა.

**7.** 0:1 - მერებაშვილმა ზუსტად შეასრულა დარტყმა

**21.** 1:1 - ბარბაქაძის ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე გუშარაშვილი მიწვდა და სტუმართა კარში გადაგზავნა.

**30.** ოვონოს დასჭირდა ოსტატობის გამოვლენა, სპასოევიჩს საკუთარ კარში რომ არ გაეტანა.

**41.** სპასოევიჩი ვერ იყენებს გატანის შანსს.

**61.** აკირემის ბოლო წამს არ დაარტყმევინეს მცველებმა.

**74.** გუშარაშვილი ვერ ახერხებს ახლო მანძილიდან გატანას.

**83.** 1:2 - მეკარესთან პირისპირ გასული მერებაშვილი აწინაურებს გუნდს.

**90.** კობახიძის დარტყმული ძელს ხვდება.

**90.** დინამო ოვონომ იხსნა.

# მძიმე მოგება

შედეგი მოსალოდნელი იყო. გარკვეულწილად მოულოდნელი იყო ის, თუ რა ძალისხმევით მიაღწია ამას „დინამომ". გარდა იმისა, რომ მატჩის მიწურულს მოახერხა გოლის გატანა, თავად არაერთხელ გადაურჩა გოლს. ჯერ იყო და **გუშარაშვილმა** ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, ორჯერ კი ოვონოს მოუხდა საქმეში ჩართვა.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ „დინამომ" ორჯერ მეტი საგოლე მომენტი შექმნა. **მერებაშვილს** მატჩის დასაწყისშივე შეეძლო სტუმართა დაწინაურება, მაგრამ მცველმა ბოლო წამს ააცალა ბურთი. სამ წუთში მან მაინც გაიტანა, ოღონდ ამჯერად **სპასოევიჩის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი. ჩერნოგორიელი ნახევარმცველი წინა მატჩების მსგავსად საკმაოდ აქტიური იყო. ერთ-ერთ ეპიზოდში კი ოვონო რომ არა, ის ავტოგოლის ავტორი გახდებოდა.

მატჩის ბოლოს კი გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს.

საბოლოო ჯამში „დინამომ" როგორც ზემოთ ვთქვით მოსალოდნელი და ამავდროულად დამსახურებული და საჭირო გამარჯვება მოიპოვა და პირველ წრეში პირველობისთვის თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ზესტაფონს" შეეჭიდება.



# დასაწყისში მოთავაზებული

**მგლები-ვიტ ჯორჯია**

**0:3**

24.11. ზუგდიდი. ცენტრალური
550 მაყურებელი

0:1 გელაშვილი (9); 0:2 მელქაძე (19); 0:3 გელაშვილი (59)

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, ვართაგავა (46. კუტალია), ჯოჯუა, კრასოვსკი (70. გაბედავა), ხუბუა (46. წურწუმია), ჭედია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (61. ბეჭვაია), კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (78. ინჯგია), გ. დათუნაშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე, გელაშვილი, სახოკია (78. ლუჟაშვილი)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ზუგდიდში თამაში რა სირთულესაც წარმოადგენს, დიდი ახსნა არ უნდა. ამდენად ცოტა არ იყოს გასაკვირია ვეტერინართა ამგვარი წარმატება. თანაც სტუმრებმა საქმე ფაქტობრივად საწყის 20 წუთში მოაგვარეს. ჯერ **გელაშვილმა** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე დააწინაურა თანაგუნდელები, მერე კი **მელქაძემ** შორიდან აულებელი დაურტყა ივარდავას.

მასპინძლებს შესვენებამდე ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდათ და ვერც შესვენების შემდეგ გამოიჩინეს თავი - ერთი-ორი ეპიზოდის გარდა უპირატესობა სტუმრებისა იყო. ამის ლოგიკური შედეგი იყო გელაშვილის მეორე გოლი - ფორვარდმა დასწრებაზე ითამაშა კარგად.

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

**ზესტაფონი-ბათუმი**

**4:0**

**24.11. ზესტაფონი. ცენტრალური**
**1000 მაყურებელი**

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (20. ხიდეშელის პასით), 2:0 ჟონატასი (48. ფიფიას პასით), 3:0 ფიფია (65), 4:0 იონანიძე (84. თოდუას პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია – თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე – ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი (73. ლონლაძე), კესანი – ბ. გოცირიძე (63. იონანიძე), გ. ნოდ. ჭელიძე (89. ბიტოო), ფიფია

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ვიეირა, ონიანი, დაუშვილი*

ბათუმი: მამინაშვილი (62. თოთლაძე) – ლ. მახარაძე, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი – ვ. კუნჭულია, დარჩიძე, ცანავა (10. ბაჯელიძე), დემურაძე – ბეჟანიძე (72. ოქრუაშვილი), ბაციკაძე

*სათადარიგოები: ტულუში*

გაფრთხილება: გოცირიძე (50), დარჩიძე (54), საჯაია (74), თორთლაძე (84)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სტენოგრამა:**

**9.** გიორგი ჭელიძის თავური ოდნავ ცდება კარს.

**20.** 1:0 – ხიდეშელმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, სადაც ყველას ჭელიძემ დაასწრო და ანგარიში გახსნა.

**30**. ჟონატასის ძლიერი დარტყმა მამინაშვილმა მოიგერია.

**32.**ჭ გოცირიძემ ჭელიძის მისამართით გააკეთა გადაცემა, მეკარემ დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ ბურთი იქვე მოიგერია, რის შედეგადაც თოდუას გოლის გატანის შანსი მიეცა, მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ცუდად დაარტყა.

**48.** 2:0 - ფიფიამ კუთხური მოაწოდა, შორეულ კუთხეში ჩასაფრებულმა ჟონატასმა ვარდნაში ორიოდე მეტრიდან დალაშქრა ბათუმელთა კარი.

**62.** თედორაძემ ჯარიმიდან ააცილა.

**65.** 3:0 - ბათუმელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა. ჟონატასმა კარში დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა, მიუვიდა ფიფიას, რომელმაც ის ცარიელ კარში გადაგზავნა.

**83.** 4:0 - თოდუას ფლანგური გადაცემის შემდეგ იონანიძემ მცველებს დაასწრო და კარში დაარტყა, მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთს კარის ხაზი უკვე გადაკვეთილი ჰქონდა.

# რატომ იკლო ზესტაფონში ქომაგმა?!

ლიდერისა და ბოლოადგილოსანის დაპირისპირება ლოგიკური სცენარით განვითარდა. „ზესტაფონმა" „ბათუმი" ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დაამარცხა. წარმოუდგენელიც იყო, ამ სეზონში ძალიან სუსტად მოასპარეზე ზღვისპირლებს მადაზე მოსული ზესტაფონელებისთვის ქულები რომ დაეკარგვინებინათ. სტუმრებმა მხოლოდ საწყისი 20 წუთი გაძლეს და დროის ამ მონაკვეთში თანაბრად ეთამაშნენ მეტოქეს, შემდეგ კი წინააღმდეგობის გასაწევად აღარც ძალა ეყოთ და აღარც საშემსრულებლო ოსტატობა.

**თემურ მახარაძემ** ბათუმელთა წინააღმდეგ შემტევი ტაქტიკა აარჩია და ძირითადში სამი ნომინალური ფორვარდი, **ჭელიძე, გოცირიძე** და **ფიფია** გაამწესა. მათგან ყველაზე მეტს ჭელიძე აქტიურობდა. რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების კარში ულამაზესი გოლის გამტანი **ბექა გოცირიძე** კი ცოტა გადაღლილი ჩანდა და მეორე ტაიმში მახარაძემ იგი **იონანიძით** შეცვალა. თავდამსხმელებს ფლანგებიდან აქტიურად ეხმარებოდნენ **კახა ჩხეტიანი** და **სევასტი თოდუა**. მეტოქის კარზე იყვნენ დაგეშილი **ხიდეშელი** და **ჟონატასიც**. მიუხედავად ამისა, ზესტაფონელებს როგორც სჩვევიათ ხოლმე, პირველივე წუთებიდანვე შტურმისთვის არ მიუმართავთ. მათ ეტაპობრივად შეავიწროვეს მეტოქე და ჭელიძემაც პირველივე რეალური მომენტი გოლად აქცია. ბათუმელებმა მოჩვენებითი წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პირველ ნახევარში შეძლეს. ისინი საკმაოდ ნორმალურად ფლობდნენ ბურთს და მოკლე პასებით ცდილობდნენ **ჭანტუარიას** კართან მიახლოებას, მაგრამ კარგად მოთამაშე **საჯაია-ლობჟანიძის** ბარიერის დაძლევას ვერ ახერხებდნენ. ამიტომაც, სტუმრებს რეალური საგოლე მომენტი არც შეუქმნიათ. ბათუმელთა გასაჭირს ისიც დაემატა, რომ მათ მატჩის დებიუტშივე **ირაკლი ცანავა** დაუშავდათ და შესაცვლელი გახდა.

მეორე ნახევარი მთლიანად ზესტაფონელთა კარნახით წარიმართა. ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ჟონატასმა გაიტანა. ფიფიამ და შეცვლაზე შემოსულმა იონანიძემ კი მის შემცვლელ, **ირაკლი თოთლაძეს** გაუტანეს და „ზესტაფონს" დიდი ანგარიშით გაამარჯვებინეს. სხვათა შორის ეს იყო „ზესტაფონის" ზედიზედ 33-ე წაუგებელი მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში.

### მატჩის შემდეგ

ავთანდილ კუნჭულია (ბათუმი): *„ზესტაფონთან" ჩვენზე ძლიერ გუნდებს უჭირთ თამაში და მარცხი მოსალოდნელი იყო. ბოლო ორ ტურში უშუალო კონკურენტებთან შევეცდებით ქულების მოპოვებას."*

თემურ მახარაძე (ზესტაფონი): *„მიუხედავად დიდი ანგარიშით მარცხისა „ბათუმმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეორე ტაიმში ეტყობა დაიღალნენ და შეცდომებს უმატეს, რითაც მაქსიმალურად ვისარგებლეთ. თამაშის ხარისხითა და შედეგით კმაყოფილი ვარ."*

### რჩეული
ჟონატას ტორესი

ბრაზილიელი ფეხბურთელი კარგად გაისარჯა. სანამ მოედანზე იყო ზესტაფონელთა შეტევებს უძღვებოდა და გოლიც გაიტანა.

**დავით კოხრეიძე**
**ზესტაფონიდან**



**სიონი-ბორჯომი**

**0:1**

**24.11. ბოლნისი. თ. სტეფანია**
**200 მაყურებელი**

0:1 ნერგაძე (13)

სიონი: სტურუა – სვანიძე, ოქროპირიძე, ბოიომო, რაქვიაშვილი (26. ქუთათელაძე) – ქურასბედიანი (54. ვაშაკიძე), ბაჯელიძე, ნადირაძე, სანიკიძე, ქუცურუა (74. ქარდავა) – ჩასემი

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, თავბერიძე, კოსტავა, გაგუა*

ბორჯომი: შეყრილაძე – თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია – ქარქოზაშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია – ყველაშვილი

*სათადარიგოები: გლუნჩაძე, ლომიძე, თედიაშვილი, გოგიჩაიშვილი*

გაფრთხილება: შ. გრიგალაშვილი (24), ქურასბედიანი (34), შეყრილაძე (59), ყველაშვილი (76), ქარდავა (88)

გაძევება: შ. გრიგალაშვილი (90)

არბიტრი: მ. ურუშაძე

"სიონი" პროფესიული ფეხბურთის ლიგას მატჩის გადადებას სთხოვდა, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწია. საქმე ისაა, რომ ბოლნისში თოვლი დევს და იმის მიუხედავად, რომ "სტეფანიას" მოედანზე გამწმენდი სამუშაოები ჩატარდა, გაზონი მაინც უვარგის მდგომარეობაში იყო.

თამაში უხეში და უსახური გამოდგა. ფეხბურთელებს ხეირიანი ვერაფერი გამოსდიოდათ და და წესით, შეხვედრა ნულოვანი ფრით უნდა დასრულებულიყო.

# ბორჯომი გოლით დაასაჩუქრეს

ყველაფერი "სიონის" მეკარის უხეშმა შეცდომამ შეცვალა. **ზვიად სტურუამ** თანაგუნდელისგან მიწოდებული ბურთი დაკარგა, **გიორგი ნერგაძე** სათანადო ადგილზე აღმოჩნდა და თავისიანები დააწინაურა.

ბევრს ეცადნენ მასპინძლები, მაგრამ შეტევეში ღირებული ვერაფერი შექმნეს. სტუმრები კი მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას იოლად ახერხებდნენ, დათოვლილ მოედანზე "სიონს" მეტოქის საჯარიმოში შესვლა ძალიან უჭირდა.

ბოლნისელებმა საკმაოდ მწარე მარცხი ივნიეს და კიდევ უფლო მიუახლოვდნენ სახიფათო ზონას. "ბორჯომის" წევრები კი თავს აქამდეც კომფორტულად გრძნობდნენ და ამ გამარჯვებით კიდევ უფრო გაიმყარეს ადგილი სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში. თუ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას სამცხელებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი არ განიცადეს, ევროსაგზურისთვის ბრძოლა არცთუ წარმოუდგენელი იქნება.

# გამარჯვება დაზოგილი ძალებით

**მესხეთი-ამერი**

**1:2**

**24.11. ახალციხე. ცენტრალური**
**500 მაყურებელი**

0:1 ბოლქვაძე (17), 0:2 დავითნიძე (20), 1:2 გ. სუდაძე (51. მ. თაყაძის პასით)

მესხეთი: სომხიშვილი – ვ. აკოფიანი (79. ჰ. აკოფიანი), ნადირაშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი – მ. თაყაძე, თურმანიძე (46. გ. სუდაძე), ძამსაშვილი (29. ინასარიძე), ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი – კაიდარაშვილი

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, მეტრეველი, აფრიამაშვილი, კევლიშვილი*

ამერი: ქვაჩახია – კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე – დოლიძე (78. ა. ალავიძე), დობროვოლსკი, დიდავა, ბოლქვაძე (60. ჯელაძე), დეკანოსიძე – რ. გოცირიძე (67. ტატანაშვილი)

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, კობაური, მესხი, ცხადაძე*

გაფრთხილება: რ. გოცირიძე (67), კაკაშვილი (70), დობროვოლსკი (71), ზ. ჩხეტიანი (83), ტატანაშვილი (85)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**სტენოგრამა:**

**12.** ახლო მანძილიდან თაყაძემ უხეიროდ დაარტყა.

**15.** მასპინძლებმა ერთი შეხედვით სახიფათო კონტრიერიში წამოიწყეს, მაგრამ შეტევა სწრაფად ვერ განავითარეს.

**17.** 0:1 - **ბოლქვაძის** დარტყმული ჯარიმა არცთუ სახიფათო იყო, მაგრამ "ამერს" რიკოშეტი წაეხმარა.

**20.** 0:2 – **დავითნიძემ** საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა და ბურთი "მესხეთის" კარის ცხრიანში გაახვია.

**43.** ჟვანიას თავური ძელმა აისხლიტა.

**51.** 1:2 – თაყაძემ **სუდაძე** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ახალციხელებმა სხვაობა შეამცირეს.

სამხრეთ საქართველოს კლიმატურმა პირობებმა ახალციხის სტადიონსაც დაასვა დაღი. მოედანი საშინელ მდგომარეობაში იყო და ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა ძალიან უჭირდათ. გაზონის საშინელი მდგომარეობა რომ არა, სანახაობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუმცა შაბათს რამდენიმე საინტერესო და აზრიანი ეპიზოდი მაინც ვიხილეთ.

პირველი წუთების განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. "ამერის" ხუთკაციანმა ნახევარდაცვამ ინიციატივა მალევე იგდო ხელთ და სტუმართა პირველივე მცდელობა შედეგიანად დასრულდა. **დავით ბოლქვაძის** გოლის შემდეგ სამცხელები გონზე არ იყვნენ მოსულები, მათ კარში ბურთი მეორედაც რომ აფართხალდა. გლდანელთა კაპიტანმა **გიორგი დავითნიძემ** საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ "მესხეთი" თითქოს გატყდა, **თედიაშვილის** შეგირდები საკმაო პერიოდის განმავლობაში ხეირიანს ვერაფერს ქმნიდნენ, თუმც პირველი ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდნენ და **ჟვანიას** რომ გაეტანა, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო.

მეორე ტაიმი სამცხელებმა აქტიურად დაიწყეს და ანგარიშიც მალე შეამცირეს. მათ არც ამის შემდეგ დაუკლიათ მცდელობა, მაგრამ ამერელები თავს მშვიდად და უშეცდომოდ იცავდნენ. მატჩის დასკვნითი ნაწილი ყველაზე მოსაწყენი გამოდგა, მასპინძლებმა მომენტი ვერ შექმნეს, სტუმრებს კი წინა ხაზში თავი აღარ გამოუდიათ და დაგეგმილი სამი ქულა რთულად, მაგრამ მაინც დამსახურებულად მოიპოვეს. სხვა საქმეა, რომ ამით "ამერის" სატურნირო მდგომარეობა დიდად არ გამოსწორებულა, ეს შაბათი ლიდერთათვის წარმატებული გამოდგა.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# დერბიც დაბრუნდა, ხორგუაშვილიც

**დილა-სპარტაკი**

**0:0**

24.11. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

დილა: კეჩხუაშვილი-ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი-შატაკიშვილი, სადალაშვილი, ნოზაძე (86. ტლაშაძე), სულთანიშვილი-დიქსონ ჩუკვუ, სამადაშვილი (65. ჩიტაია)

*სათადარიგოები: ილურიძე, მასურაშვილი, ლომიძე, კურტანიძე, თურმანიძე*

სპარტაკი: ქვილითაია-ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი-ჩირიკაშვილი, ავალიანი (79. ივანაშვილი), თარხნიშვილი, ძარია-გოგოხია (46. დარბაიძე), ჯანელიძე

*სათადარიგოები: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ტატაევი, ხიდეშელი, თექთურმანიძე*

გაფრთხილება: ბალაშვილი (23), თარხნიშვილი (38), ავალიანი (63), ძარია (70)

გაძევება: ძარია (73)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**15.** ავალიანის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებულზე ძელთან ახლოს მყოფ დავით ჯანელიძეს ცოტა დააკლდა ფეხის დასახვედრებლად და გასატანად.

**39**. დიქსონ ჩუკვუ გაიყვანეს თანაგუნდელებმა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ქვილითაიამ იმარჯვა.

**45.** ცხინვალელთა მორიგი ფლანგური ჩაწოდებისას სულთანიშვილმა ფაქტობრივად თავიდან ააცალა ბურთი მეკარისაგან დაუცველ კუთხეში საგოლე დარტყმისთვის გამზადებულ ირაკლი ძარიას.

**49.** სულთანიშვილის კუთხურს ლაშა ბალიაშვილის ძლიერი თავური მოყვა, რომელიც ქვილითაიამ გაჭირვებით მოიგერია.

**65**. ავალიანის ახლო მანძილიდან სახიფათოდ დარტყმული კეჩხუაშვილმა მოიგერია.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ ერთგვარი გორული დერბი ისევ შედგა. თუ უწინ ამ გუნდების დაპირისპირება იმიტომ დერბობდა, რომ ორივე მათგანში გორელები თამაშობდნენ, ამჯერად „დილისა" და „სპარტაკისთვის" „თენგიზ ბურჯანაძის" სტადიონია საშინაო არენა. მათი დაპირისპირებისთვის აღნიშნული ზედწოდებაც ამ მიზეზითაა განპირობებული.

მატჩს დაძაბულობა და ბრძოლა ისეთივე ახლდა, როგორც ზოგადად დერბის და ლიგაში დასარჩენად „მოღვაწე" გუნდებს შეეფერებათ. შეხვედრას ინტერესს **ვანო ხორგუაშვილის** ხელახალი დებიუტიც მატებდა „დილის" მწვრთნელის ამპლუაში. ბუნებრივია ახალი თავკაცი ორ დღეში რადიკალურს ვერაფერს შეცვლიდა თავისი გუნდის თამაშში, თუმცა ცნობილია, რომ მსგავსი ცვლილებები „დილაში" აუცილებლად მოხდება, ოღონდ პირველი წრის შემდეგ.

რაც შეეხება თამაშს, მართლაც დიდი ბრძოლა გაუმართეს ურთიერთს თანასტადიონელებმა. მაღალ სათამაშო ტემპს თან სდევდა შეუსაბამო საშემსრულებლო ოსტატობა და არცთუ მრავლად სახიფათო მომენტები. დიდი ბრძოლა კი ყველაზე მეტად ნერვების თამაშსა და სიხისტეში გამოხატეს ფეხბურთელებმა.

დაძაბული ფონი პირველ ტაიმში უფრო ნაკლებად შესამჩნევი იყო. სახიფათო იერიშების თვალსაზრისით შესვენებამდე „სპარტაკი" ჯობდა „დილას". ნომინალური სტუმრები ამ მხრივ არც მეორე ნახევარში ყოფილან ჯაბანნი, მაგრამ მასპინძლები მეორე ტაიმში ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ. საწყისი 30 წუთი ცხინვალელები ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, უფრო მეტს მოძრაობდნენ და შეტევათა განვითარებასაც მეტოქესთან შედარებით მრავალფეროვნად ახერხებდნენ. „სპარტაკის" იერიშებისას ბურთი ცენტრში მუშავდებოდა ნახევარმცველთა მიერ და თანაბარი სიხშირით ჰპოვებდა გაგრძელებას წინ, სხვადასხვა მიმართულებით. თავის მხრივ „დილას" ძალიან უჭირდა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ბურთის კონტროლი, მათი შეტევები ძირითადად სწორედ მოედნის ამ მონაკვეთზე, მოწინააღმდეგის კართან ხიფათის შექმნამდე წყდებოდა. სადებიუტო შეხვედრისაგან განსხვავებით, სადაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა გორელთა ნიგერიელმა ლეგიონერმა **ჩუკვუმ**, ამჯერად ერთი სახიფათო მომენტის გარდა ვერაფერით დაგვამახსოვრა თავი. სტუმართა მცველმა **ბესიკ ხაჭიპერაძემ** მოახერხა, რომ იგი მხოლოდ კანის ფერით გამოირჩეულიყო მოედანზე. შესვენებამდე საპირისპირო კართან შექმნილ საგოლე მომენტისას **საბა სულანიშვილმა** „დილა" გოლისაგან იხსნა, ხოლო მეორე ტაიმში უკვე მისი კუთხურები და ფლანგური ჩაწოდებები აღმოჩნდა საკმაოდ მწვავე. ამ მომენტებში „დილის" ტანმაღალი მცველი **ლაშა ბალიაშვილი** ურტყმადა სახიფათოდ, თუმცა ერთხელ მის განეიტრალებაზე აქცენტირებულ სტუმრებს **ნოზაძის** მოქმედება გამოეპარათ და რომ არა ამ დღეს უშეცდომოდ მოთამაშე **ქვილითაია**, ანგარიში გაიხსნებოდა. ფუჭად ჩაიარა გოლის გასატანად „სპარტაკის" თავდამსხმელ **ჯანელიძის** მცდელობებმაც. აქ უკვე ფეხბურთელთა ხისტი და თანაც უშედეგო გარჯა უხეშობაში გადაიზარდა, რასაც არბიტრის ყვითელი ბარათები მოჰყვა. აი, ირაკლი ძარიამ კი ორი ყვითელი და შესაბამისად გაძევება არა უხეში თამაშის, არამედ მსაჯთან კამათისათვის სამწუთიან მონაკვეთში დაიმსახურა. შეხვედრის ბოლოს ფეხბურთელთა შორის მცირე კამათი და განევ-გამოწევაც ვიხილეთ, რა დროსაც შეგირდების დასაწყნარებლად ორივე მწვრთნელს მოუწია მინდორზე გასვლა.

## მატჩის შემდეგ

კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი): *„ყველა ელოდა, რომ შეხვედრა დაძაბული იქნებოდა. საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ მათი რეალიზება ვერავინ შეძლო. ხოლო მსაჯს ჯობდა, რომ ცოტა ადრე გამოეჩინა სიმკაცრე."*

ვანო ხორგუაშვილი (დილა): *„ვფიქრობ მატჩი ლოგიკურად დასრულდა, ძალიან მომეწონა მეტოქე გუნდი, ჩვენ კი იმედი გვაქვს გავძლიერედებით და მომავალში აუცილებლად გაჩვენებთ უკეთეს ფეხბურთს"*

## რჩეული

### მაქსიმე ქვილითაია

ამ მატჩში არ ყოფილა ფეხბურთელი, რომელიც დანარჩენებს ერთი თავით აჯობებდა, მაგრამ გამოვარჩევთ „სპარტაკის" გოლკიპერს, ვინც შეხვედრა ფაქტობრივად უშეცდომოდ ჩაატარა და თავისი გუნდი ორჯერ აშკარა გოლისაგანაც იხსნა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 11 | 10 | 1 | 0 | 24:3 | 31 |
| 2. დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 28:4 | 30 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 19:8 | 25 |
| 4. ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 20:11 | 21 |
| 5. ბორჯომი | 11 | 6 | 3 | 2 | 13:6 | 21 |
| 6. ოლიმპი | 11 | 6 | 2 | 3 | 11:8 | 20 |
| 7. მესხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 17 |
| 8. მგლები | 11 | 5 | 0 | 6 | 10:12 | 15 |
| 9. სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:15 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:18 | 9 |
| 11. სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 3:12 | 9 |
| 12. მერანი | 11 | 2 | 0 | 9 | 5:22 | 6 |
| 13. დილა | 11 | 1 | 3 | 7 | 7:18 | 6 |
| 14. ბათუმი | 11 | 0 | 1 | 10 | 3:26 | 1 |

ლეგიონი

# ჯაბა კანკავას სამქულიანი გასროლა

უკვე შევეჩვიეთ ქართული ლეგიონის კინკილა გოლებს, ამჯერადაც ასე მოხდა - მხოლოდ ჯაბა კანკავამ გაიტანა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი გოლი. ამ უქმეებზე ჩვენ ლეგიონერთა დიდმა ნაწილმა არ ითამაშა, მაგრამ ესეც, სამწუხაროდ, არახალია.

## კალა გადაიღალაო

"კალიარისთან" მატჩის წინადღით ცნობილი იყო, რომ სერია A-ის ტურს საქართველოს ნაკრების კაპიტანი გამოტოვებდა, ამის შესახებ **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა: *"კახა კალაძე და დარიო შიმიჩი ახლახან დაბრუნდნენ ნაკრებებიდან, ძალიან გადაღლილები, ისინი ვერ ითამაშებენ "კალიარისთან"*. უკალაძეოდ "მილანმა" 2:1 დაამარცხა მეტოქე.

ინგლისში **ზურაბ ხიზანიშვილი** "ფულჰემთან" მატჩის განაცხადში კი მოხვდა, მაგრამ "ბლექბერნის" მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** მხოლოდ ორი სათადარიგო შეუშვა მოედანზე. მატჩი 2:2 დასრულდა. "ბლექბერნი" 23 ქულით მეცხრე ადგილზეა. ესპანურ პრიმერაში "ლევანტემ" მეორე გამარჯვება იზეიმა სეზონში, სევილიის "ბეტისი" 4:3 დამარცხა. **შოთა არველაძე** ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

## გუნდელს ყბა მოსტეხა

"შალკე" ფონს კვლავ **ლევან კობიაშვილის** გარეშე გადის, ქართველი ლეგიონერი ტრავმირებულია. "შალკე" "ჰანოვერს" ესტუმრა და 3:2 მოუგო. არ უთამაშია არც "კარლსრუეს" ფორვარდ **ალექსანდრე იაშვილს**, რომელიც გაციებული იყო. "კარლსრუემ" უქართველოდ აჯობა ბერლინის "ჰერტას" - 2:1.

საქართველოს და ლიტვის ნაკრებთა მატჩში მძიმედ დაშავებული **დავით სირაძე** წლეულს ველარ ითამაშებს, ქართველი ლეგიონერის "პადერბორნმა" უმისოდ დაამარცხა "ფიურტი" (1:0) და ამით ბოლო ადგილს თავი დააღწია, "პადერბორნს" 9 ქულა დაუგროვდა, ქართული ტრიოს "კარლ ცაისს" კი 7 აქვს, რადგან იენელები სტუმრად "ოსნაბრიუკს" დაუზავდნენ. პირველად მოხდა მეორე ბუნდესლიგის მატჩში, რომ "კარლ ცაისის" სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად ორი ქართველი ფეხბურთელი იყო. **გიორგი ონიანი** ცენტრალური მცველის პოზიციაზე, ხოლო **ილია კანდელაკი** მარცხენა ნახევარმცველისაზე. კანდელაკი დისკვალიფიცირებულ სიმაკს ცვლიდა. ილიამ ყვითელი ბარათი მიიღო და ის 85-ე წუთზე შეცვალეს, ონიანმა 90 წუთი ითამაშა. მატჩში სტუმართათვის ერთი სამწუხარო ფაქტი მოხდა ონიანი და მისი თანაგუნდელი **ფელიქს ჰოლცნერი** ერთმანეთს ჰაერში შეეჯახნენ, რის გამოც ჰოლცნერმა ყბის ძვალი გაიტეხა.

ფრაიბურგში 22 ათასი მაყურებელი დაესწრო მასპინძელთა გუნდის და "მიუნხენის" ფრეს (2:2). მასპინძელთა რიგებში სათადარიგო იყო ქართველი მცველი **ოთარ ხიზანეიშვილი**, სტუმრებში **მათე ღვინიანიძემ** კი 90 წუთი ითამაშა. "ფრაიბურგი" 28 ქულით მეორე ადგილზე დარჩა, "მიუნხენს" 24 ქულა აქვს და მეოთხეა. "შპორტალმა" ამ ტურში ქართველთა გარჯა ასე შეაფასა: ღვინიანიძე - 3, კანდელაკი - 3,5 და ონიანი - 4 ქულა.

## ბუალავა დერბიში გამოჩნდა

ავსტრიის ბუნდესლიგის მორიგ ტურში **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმა" შინ 6:1 გაანადგურა "ალტახი" და ამით მეოთხე ადგილზე ალზევდა (30 ქულა). სხვათა შორის, ავსტრიის ჩემპიონატში სიმჭიდროვეა, "შტურმი" ლიდერს მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება. ქართველმა მცველმა ჩეულად, 90 წუთი ითამაშა.

მეორე ლიგაში სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა ტრავმამოშუშებული **მირზა ბუალავა**, ლუშტენაუს დერბიში მისი "აუსტრია" "ლუშტენაუს" დაუზავდა - 2:2. დაკარგული ქულების გამო "აუსტრიამ" პირველი ადგილი დაკარგა, ქართველი ნახევარმცველის გუნდს 33 ქულა აქვს და მეორეა, ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთი გუნდი გადადის.

შვეიცარიის თასის ერთი ეტაპი გაიარა **სანდრო იაშვილის** "თუნმა", სტუმრად "ლუცერნს" მოუგო 1:0. სანდრო სასტარტოში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

## დატოვებს ჯაკობია მეტალისტს?

უკრაინული საკლუბო ფეხბურთი, ერთი არასრული ტურიც და ზამთრისთვის შესვენებს, მე-17 ტურში უჟგოროდის "ზაკარპატიე" "ვორსკლას" ესტუმრა - 0:2. აუტსაიდერთა მატჩის შემდეგ "ზაკარპატიე" 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზე დარჩა. **კახაბერ ალადაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, 59-ე წუთზე გამოვიდა **ოთარ მარცვალაძე**. ალადაშვილი საკმაოდ იაქტიურა, მეორე ტაიმში ის გააფრთხილეს კიდეც. ბოლოადგილოსანმა "ნეფტიანიკმა" მცირე სასწაული მოახდინა, სტუმრად 1:1 ეთამაშა ლიდერ "შახტარს". სამწუხაროდ, **ვასილ გიგიაძე** კვლავ სათადარიგო იყო.

ყოფილ კლუბთან თავის გამოჩენის შანსი მიეცა **გიორგი დემეტრაძეს**, ოღონდ მხოლოდ 6 წუთით. "არსენალი" შინ 0:1 აგებდა კიევის "დინამოსთან". ბუნებრივია, ქართველმა ფორვარდმა ფინალურ სასტვენამდე ბევრიც ვერაფერი მოასწრო.

ხარკოვში "მეტალისტმა" 2:1 აჯობა "ზარიას" და 36 ქულით მეოთხე ადგილზეა. მოულოდნელად, მოედანზე ქართველები ვერ ვიხილეთ. **გიორგი ციმაკურიძე** დუბლიორთა მატჩში გამოჩნდა, მისი გუნდი "მეტალისტთან" 0:6 დამარცხდა, თავად ქართველმა კი ერთი ავტოგოლი გაიტანა. "მეტალისტის" მწვრთნელ მირონ მარკევიჩს **ლაშა ჯაკობიას** შესაძლო წასვლაზე დაეკითხნენ, თუმცა მან განაცხადა, რომ ამ თემაზე სასაუბროდ ჯერ მზად არ არის. **დავით კვირკველიას** "მეტალურგი" 1:1 ეთამაშა "კრივბასს". მასპინძელთა სული და გული ქართველი ნახევარმცველი იყო. 46-ე წუთზე მას გოლის გატანა შეეძლო, როცა მეკარესთან პირდაპირ გავიდა, მაგრამ გოლკიპერს ვერ აჯობა. ერთ წუთში მასპინძლებმა გოლი გაუშვეს. "დნიპროს" სასტარტო შემადგენლობაში ბოლო დროს საუკეთესო სპორტულ ფორმაში მყოფი **ჯაბა კანკავა მოხვდა**. "ხარკივთან" მატჩში სწორედ ქართველი ნახევარმცველი გახდა მატჩის გმირი. მატჩის 89-ე წუთზე მასპინძელთა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დაუხვდა და გამარჯვების გოლი გაიტანა - 1:0. მთელი მატჩის განმავლობაშიც ჯაბა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. "დნიპრო" ამ მოგებით თითქმის დაეწია ლიდერ "შახტარს", ჩამორჩენა მხოლოდ ქულაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XIV ტური | | | | |
| კახა კალაძე | კალიარი-მილანი | 1:2 | არ უთამაშია | 9 თ. 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰანოვერი-შალკე | 2:3 | ტრავმა | 4 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ჰერტა | 2:1 | ტრავმა | 9 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი | 1:1 | 85 წთ. (შეცვალეს), გააფრთხ | 7 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი | 1:1 | 90 წუთი | 6 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი | 1:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-მიუნხენი | 2:2 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-ფიურტი | 1:0 | ტრავმა | 9 თ. 0 გ |
| მათე ღვინიანიძე | ფრაიბურგი-მიუნხენი | 2:2 | 90 წუთი | 12 თ. 0 გ. |
| რეგიონალლიგა. XIV ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-ზიგენი | 1:1 | არ უთამაშია | 5 თ. 0 გ |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ფულჰემი-ბლექბერნი | 2:2 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XVII ტური | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-კრივბასი | 1:1 | 90 წუთი | 17 თ. 2 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-ზარია | 2:1 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | შახტარი-ნეფტიანიკი | 1:1 | სათადარიგო | 13 თ. 0 გ. |
| ლადო ბურდული | მეტალისტი-ზარია | 2:1 | არ უთამაშია | 15 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | მეტალისტი-ზარია | 2:1 | დუბლები | 2 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-დინამო | 0:1 | 6 წთ. (შეცვლაზე) | 15 თ. 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ვორსკლა-ზაკარპატიე | 2:0 | 33 წთ. (შეცვლაზე) | 8 თ. 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ვორსკლა-ზაკარპატიე | 2:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 8 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-ხარკივი | 1:0 | 90 წუთი | 11 თ. 1 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ბეტისი | 4:3 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. თასი | | | | |
| სანდრო იაშვილი | ლუცერნი-თუნი | 0:1 | 77 წთ. (შეცვალეს) | 13 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XX ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-ალტახი | 6:1 | 90 წუთი | 19 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XVIII ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | აუსტრია ლ.-ლუშტენაუ | 2:2 | სათადარიგო | 3 თ. 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XVII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ჰორსენსი-ვიბორგი | 1:1 | ტრავმა | 6 თ. 0 გ |

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური

# კლასნიჩის სასწაული: დაბრუნება ახალი თირკმელით!

## ბაიერნმა მოგება გაიხსენა, ჩემპიონიც გამოცოცხლდა...



კოტბუსი-ვერდერი. ივან კლასნიჩის (N17) მოედანზე დაბრუნება პატარა სასწაულია...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნმა“ შვებით ამოისუნთქა, რადგან მიუნხენელებმა „ვოლფსბურგთან“ მოპოვებული გამარჯვებით სამმატჩიანი მოუგებელი სერია და ე.წ. მინი-კრიზისი შეწყვიტეს. „ბაიერნმა“ ისევ მოიგო და მოიგო იმ დროს, როცა სხვა შემთხვევაში უკვე ლიდერობას კარგავდა. აი, ასე უნდა ანერვიულოს რეკორდმაისტერმა წელს მთელი გერმანია.

თუმცა გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს თამაში **ფრანკ რიბერიმ** ფაქტობრივად მარტომ მოიგო და **ოტმარ ჰიტცფელდი** ძალიან გაახარა – „გენერალს“ შაბათს მშვიდად დაეძინებოდა. გაახარა იმიტომ, რომ ჰიტცფელდს არაფრისდიდებით არ სურდა თავის წინამორბედ **ფელიქს მაგათთან** წაგება და „ბაიერნს“ „ვოლფსბურგთან“ ქულები რომ დაეკარგა, ოტმარს გული ძალიან ეტკინებოდა. მოკლედ, ჰიტცფელდმაც ამოისუნთქა: რიბერიმ მას მაგათი დაუმარცხა! მაგრამ გასულ უქმეებს რეკორდმაისტერისთვის მშვიდად მაინც არ ჩაუვლია – ახალი სკანდალის ობიექტი ბავარიელთა ვიცე-კაპიტანი **ვილი სანიოლი** გახდა, რომელიც 8 თვის მანძილზე ტრავმირებული იყო და ახლახან გამოჯანმრთელდა. სანიოლმა განაცხადა, ზამთარში „ბაიერნიდან“ წასვლა მინდა და ხელმძღვანელები კარგს იზამენ, თუ არ დამაბრკოლებენ და გამიშვებენო. სანიოლისგან ამას არავინ ელოდა და შესაბამისად, ყველა გაოგნებულია. როგორც ჩანს, „ბაიერნის“ ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე (4 მილიონი ევრო წელიწადში) მწვრთნელის ნდობას ველარ გრძნობს და მიიჩნევს, რომ მას ახალ „ბაიერნში“ მომავალი არა აქვს. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ამ ამბავმა **ოლივერ კანი** ძალიან ალაშფოთა, თუმცა ამ, თემაზე დაწვრილებით მომდევნო ნომრებშიც ვისაუბრებთ.

35-ე წუთზე რიბერი ოთხი მოწინააღმდეგის გარემოცვაში იყო, მაგრამ მაინც გარისკა და სოლორეიდზე წავიდა. ერთ მომენტში ბურთი დაკარგა, მაგრამ მერე ისევ დაიბრუნა (**ვან დერ ჰეიდენს** აართვა) და საუცხოო პასი მისცა **მიროსლავ კლოზეს**, რომელმაც მიმდინარე სეზონში რიგით მე-9 გოლი შეაგდო. 50-ე წუთი: რიბერიმ თავის ნახევარზე მოიპოვა ბურთი და **ალთინთოფთან** იდეალური კომბინაცია გაითამაშა, რის შემდეგაც ბურთი უძლიერესი დარტყმით **სიმონ იენტცშს** ფეხებსშუა გაუტარა.

*„თამაშის წინ რიბერის ერთი საათის მანძილზე ვესაუბრე და შევაგულიანე. ფრანკი ახლა თავს არც ისე კარგად გრძნობს, რადგან მარსელის ჩინებულ ამინდებსაა მიჩვეული, მიუნხენში კი უკვე ძალიან ცივა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფერს მალე შეეჩვევა. დღეს ის ისევ გენიალური იყო,“* – განაცხადა ჰიტცფელდმა ნამატჩევს. 72-ე წუთზე **აშკან დეჟაგამ** 12 მეტრიდან აუღებელი დაურტყა კანს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავი დარტყმა აქვს. წარმოშობით ირანელის გოლის შემდეგ ბავარიელები ოდნავ ანერვიულდნენ, მაგრამ ანგარიში მარტივად შეინარჩუნეს.

საერთოდ, ამ ტურის ცენტრალური ფიგურა „ვერდერის“ ფორვარდი **ივან კლასნიჩი** გახლდათ – 27 წლის თავდამსხმელი, რომელიც თითქმის ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა მინდორს. ბრემენელები „კოტბუსს“ ესტუმრნენ და რაკი „მუსიკოსებს“ **უგო ალმეიდა** ტრავმირებული ჰყავთ, ხოლო **ბუბაკარ სანოგო** კი მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** დასაჯა (**კარლოს ალბერტოსთან** ჩხუბისთვის), „მუსიკოსთა“ დამრიგებელმა გადაწყვიტა, რომ ძირითად შემადგენლობაში კლასნიჩი გაემწესებინა, რომელიც მოედანზე 342 დღიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. როგორც იცით, ხორვატმა ფორვარდმა ორჯერ გადაინერგა თირკმელი და აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა ფეხბურთის ისტორიაში, როცა ასეთი ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელი მოედანს უბრუნდება.

ხორვატმა საკმაოდ კარგად ითამაშა და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ნორმალური შეფასება, 3 ბალი მიიღო. მას ორჯერ ჰქონდა გოლის გატანის შანსი და საკმაოდ უშიშრად შედიოდა ორთაბრძოლებში. შააფმა კლასნიჩი მოედნიდან 64-ე წუთზე გაიყვანა. მისი ბოლო მატჩი 2006 წლის 17 დეკემბრით თარიღდებოდა.

*„მიხარია, რომ ფეხბურთს ისევ ვთამაშობ. მინდა, ყველასათვის მისაბაძი მაგალითი გავხდე და ყველას დავუმტკიცო, რომ მთავარი სურვილია. როცა რამე ძალიან გინდა, მიზანს აუცილებლად მიაღწევ. ოპერაციის შემდეგ ჩემი ოცნება სწორედ ეს იყო – მოედანზე დაბრუნება! და აი, ეს ოცნებაც ავიხდინე! ამ დღეს მოუთმენლად ველოდი და ახლა უკვე მომდევნო მატჩით ვცხოვრობ!“* – განაცხადა კლასნიჩმა. მისი ცხოვრება აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ოპერაციამდე იყო, რადგან ყოველდღე სხვადასხვა მედიკამენტები უნდა მიიღოს, კვებაც განსაკუთრებული სჭირდება და კვირაში ერთხელ კი სისხლის ანალიზების აღება მოუწევს. ყველაზე მეტად კი მაინც ის სწყინს, რომ „მაკდონალდსში“ ვეღარასოდეს წაიხემსებს. კლასნიჩისთვის მისაბაძი მაგალითები NBA-ს ვარსკვლავი **ალონსო მორნინგი** და ზელანდიელი რაგბისტი **ჯონა ლომუ** არიან, რომლებმაც შეძლეს და თირკმლის გადანერგვის შემდეგ დიდ სპორტს დაუბრუნდნენ.

მოედნიდან გაყვანის შემდეგ კლასნიჩი სათადარიგოთა სკამზე დარჩა და თამაშს ბოლომდე ადევნა თვალი. შესაბამისად, ჯერ **დიეგოს** გოლი ნახა (ბრაზილიელმა **მოსკერას** წაქცევის გამო დანიშნული პენალტით იხეირა), მერე კი ახალგაზრდა მოსკერასი. მაგრამ შაბათს ყურადღების ცენტრში კლასნიჩი იყო და არა „ვერდერის“ ან სხვა რომელიმე გუნდის მოგება...

„შალკე“ კრიზისიდან გამოვიდა და როგორ გგონიათ, ვისი დამსახურებაა ეს? რა თქმა უნდა, **კევინ კურანის**! გელზენკირხენულმა კლუბმა ჰანოვერში ძალიან მძიმე თამაში მოიგო (3:2), რითაც უშუალო კონკურენტი დაამარცხა და გაასწრო მას. არადა, ამ თამაშამდე შალკელებს ზედიზედ 5 თამაში არ ჰქონდათ მოგებული, რის გამოც უმძიმესი წნეხის ქვეშ იყვნენ. მაგრამ დაბრუნდა კურანი ლაზარეთიდან, სადაც სამი კვირა გაატარა და „შალკემაც“ მოიგო. სხვათა შორის, კევინმა თამაშამდე თქვა, პირველი წრის დასრულებამდე ოთხივე შეხვედრა უნდა მოვიგოთო – ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. **ჟაბოლჩ ჰუშტის** გოლის შემდეგ (მე-17 წუთზე, პენალტით, რომელიც **ბაირამოვიჩმა** აიკიდა) კურანიმ ორჯერ დაამწუხრა ჰანოვერელები. 41-ე წუთზე ის **მესუთ იოზილის** კუთხურს გამოეხმაურა და ოთხი მეტრიდან თავით გაუტანა **რობერტ ენკეს**, ხოლო 50-ე წუთზე კი, ისევ იოზილის პასით იხეირა და ამჯერად უკვე 2 წუთიდან დაამწუხრა ენკე. ეს კევინის მე-6 გოლი გახლდათ. მერე „შალკეს“ მეკარე **მანუელ ნოიერმა** უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რასაც ჰუშტის მეორე, ანგარიშის გამათანაბრებელი გოლი მოჰყვა, მაგრამ 61-ე წუთზე კურანი ამჯერად ასისტენტის როლში მოგვევლინა - **ჰალილ ალთინთოფმა** გამარჯვების გოლი სწორედ მისი პასით გაიტანა.

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი მართალია გვიან, მაგრამ მაინც ილვიძებს და მაინც: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! „შტუტგარტმა“ ამჯერად „აინტრახტი“ დაიბრიყვა (4:1 ფრანკფურტში) და რაც მთავარია, შვაბებმა ეს თამაში ზუსტად იმ ხიბლით მოიგეს, რომლითაც გასულ სეზონში უდიდესი სენსაცია გამოაცხვეს, გახდნენ რა გერმანიის ჩემპიონები. თანაც, ეს „შტუტგარტის“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება გახლდათ. არადა, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 41-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ (**კიოლერი**)! მაგრამ შვაბებმა ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გაათანაბრეს – **პარდოს** ჩაწოდებით **ჰილბერტმა** ისარგებლა. დაიწყო მეორე ნახევარი და უკვე 48-ე წუთზე „შტუტგარტი“ **ჩიპრიან მარიკამ** დააწინაურა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლდათ რუმინელის პირველი გოლი VFB-ს მაისურით. შეგახსენებთ, რომ მის სანაცვლოდ შვაბებმა დონეცკის „შახტარს“ 8 მილიონი ევრო გადაუხადეს. მარიკას გოლის შემდეგ „აინტრახტს“ სადავეები გაეცქა, რის შედეგადაც მესამე და მეოთხე გოლები გაუშვა (**ჰიტცლშპერგერი, კაკაუ**).

ბოლო ადგილზე „კოტბუსია“, მაგრამ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ყველაზე ამაზრზენი გუნდი მაინც „დუისბურგია“ და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ზამთარში ამ გუნდში ბევრი რამ არ შეიცვალა, „ზებრები“ ისევ გავარდებიან. MSV-მ ამჯერად „ლევერკუზედენთან“ წააგო, უფრო სწორად, განადგურდა და ეს გახლდათ რიგით მე-11 წაგება 14 თამაშში. არადა, „დუისბურგისთვის“ ყველაფერი იდეალურად დაიწყო: მე-11 წუთზე **მოხტარიმ** ანგარიში გახსნა. და თავად განსაჯეთ, დუისბურგელებმა პირველი ტაიმის მოგებაც მოახერხეს, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, „ლევერკუზენი“ მეტოქის დარბევას შეუდგა: ჯერ **ბარბარესმა** გაათანაბრა, მერე **როლფესმა** წინ გაიყვანა „ფარმაცევტები“, რის შემდეგაც **ფრაიერმა** (პენალტით) და **გეკასმაც** იხეირეს.

შაბათს კიდევ ერთი მატჩი ჩატარდა, რომელშიც „ბოხუმმა“ „არმინია“ გაანადგურა და თუ „დუისბურგს“ ყველაზე ამაზრზენი გუნდი ვუწოდეთ, „არმინია“ ყველაზე სამარცხვინო გუნდის იარლიყს იმსახურებს – ბილეფელდელებს 14 თამაშში ყველაზე მეტი, 31 გოლი აქვთ გაშვებული. პარასკევს კი, ტრავმირებული **ალექსანდრე იაშვილის** „კარსლრუემ“ კიდევ უფრო განიმტკიცა გუნდი ალმოჩენის სტატუსი და „ჰერტას“ დამარცხებით (2:1) მე-4 ადგილზე მყარად დამკვიდრდა.

### მომდევნო ტური

30 ნოემბერი. . **ჰანზა-ჰანოვერი.** 1 დეკემბერი. . **შტუტგარტი-ბორუსია (დ), შალკე-ბოხუმი, ვერდერი-ჰამბურგი-, ჰერტა-ლევერკუზენი, კოტბუსი-კარლსრუე, ვოლფსბურგი-აინტრახტი.** 2 დეკემბერი. . **არმინია-ბაიერნი, დუისბურგი-ნიურნბერგი.**

### კარლსრუე-ჰერტა 2:1

**კარლსრუე:** კორნეტცკი-3.5, ა. გიორლიტცი-3.5, ეგიმანი-3, ფრანცი-4, აიხნერი-3, მუტცელი-4.5, პორცელო-3, ფრაისი-2.5, ჰაინალი-2 (91. შტაფელდტი), კარნელი-3.5 (46. ორაჰოვიჩი-3), კაპლანი-3 (83. ადუბე).

**ჰერტა:** დრობნი-4, ჩაჰედი-4.5 (82. ედე), ა. ფრიდრიხი-4, ფონ ბერგენი-4, ფათი-5, დარდაი-4, შიმუნიჩი-4, პიუჩეკი-4 (63. ოკორონკვო-4), ლუსტენბერგერი-3.5 (72. ანდრე ლიმა), ებერტი-3.5, პანტელიჩი-3.

**გოლები:** 0:1 პანტელიჩი (35), 1:1 ჰაინალი (56), 2:1 ფრაისი (66).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 18-10; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-22; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 29 217.

### ბოხუმი-არმინია 3:0

**ბოხუმი:** რენო-3, კონჩა-2.5, მალტრიტცი-2, იაია-3, პფერტცელი-3.5, ჟდებელი-3.5 (46. იმჰოფი-3.5), დაბროვსკი-2.5, ეპალე-2 (78. ბეხმანი), დ. ფუხსი-4 (83. გროტე), მიჩიელი-1.5, სესტაკი-2.

**არმინია:** ფერნანდესი-4.5, კირხი-5, კუჩერა-5.5, ლანგკამპი-6 (37. კორზინიტცი-3.5), ბოლმანი-4.5, კაუფი-3, ტ. მარქსი-3.5 (89. ნ. ფიშერი), კამპერი-4, ბიომე-4.5 (73. დ. კობილიკი), ვიხნიარეკი-4, ზუმა-4.

**გოლები:** 1:0 მიჩიელი (12), 2:0 მიჩიელი (15), 3:0 დაბროვსკი (55).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17-17; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 16-19; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 478.

### ლევერკუზენი-დუისბურგი 4:1

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-4, კასტრო-3.5, მ. ფრიდრიხი-3, ჰაგი-3.5, გრეშკო-3, ვიდალი-3.5 (84. ფატი), როლფესი-2, ფრაიერი-2.5 (76. შარპეი), ბარნეტა-3.5 (46. გეკასი-3), ბარბარესი-2.5, კისლინგი-2.5.

**დუისბურგი:** შტარკე-4, ვებერი-4, ფილიპესკუ-5, ფერნანდო-4.5, ვილი-4.5, გრლიჩი-5, გეორგიევი-4.5 (72. ლავრიჩი), ტიფერტი-4.5 (59. ლამეი-4.5), ი. მოხტარი-3.5, იდრისუ-5, იშიაკუ-5.

**გოლები:** 0:1 ი. მოხტარი (10), 1:1 ბარბარესი (47), 2:1 როლფესი (66), 3:1 ფრაიერი (75-პენ), 4:1 გეკასი (81).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22-5; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 23-29; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 22 500.

### ბაიერნი-ვოლფსბურგი 2:1

**ბაიერნი:** კანი-3.5, ლელი-4, ვან ბუიტენი-3, დემიკელისი-4, ლამი-3.5, ზე რობერტო-3.5, ვან ბომელი-2.5, ჰამით ალთინთოფი-2.5, რიბერი-1.5 (86. კროოსი), კლოზე-2.5, ტონი-4.

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3.5, ბაიერი-5 (84. ჟოსუე), შიმუნეკი-4.5, რიკარდო კოშტა-4.5, ვან დერ ჰეიდენი-5.5, გენტნერი-3.5, მადლუნგი-4, დეჟაგა-3.5, კრჟინოვეკი-4.5 (76. რადუ), მარსელინიო-3, გრაფიტე-4.5 (46. ჯეკო-4).

**გოლები:** 1:0 კლოზე (35), 2:0 რიბერი (50), 2:1 დეჟაგა (71).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 20-11; **კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 12-26; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 69 000.

### აინტრახტი-შტუტგარტი 1:4

**აინტრახტი:** პრიოლი-4, პ. ოხსი-4 (58. ტაკაჰარა-4.5), კირიაკოსი-4.5, კრისი-5, გალინდო-4.5, შპიხერი-5, ინამოტო-4.5 (80. მ. ფინკი), მაჰდავიკია-4, კიოლერი-3.5, თურქი-4.5, ამანატიდისი-3.5.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი-3.5, ბეკი-3.5, მეირა-3.5, დელპიერი-3.5, მანინი-3.5, პარდო-2, ჰილბერტი-2 (74. ოსორიო), ჰიტცლშპერგერი-2.5 (89. მაისნერი), ხედირა-4, კაკაუ-2, გომესი-4.5 (41. მარიკა-2).

**გოლები:** 1:0 კიოლერი (41), 1:1 ჰილბერტი (45), 1:2 მარიკა (48), 1:3 ჰიტცლშპერგერი (57), 1:4 კაკაუ (92).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 11-16; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 19-25; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 51 500.

### ჰანოვერი-შალკე 2:3

**ჰანოვერი:** ენკე-4, ბალიტში-3, ვინიციუსი-4.5, ფარენჰორსტი-5, ტარნატი-4, როზენტალი-4 (56. ლაუთი-4.5), ლალა-4 (71. ჰაშემიანი), კ. შულცი-4, ს. პინტუ-4.5 (77. ბრუგინკი), ჰუშტი-2, ჰანკე-3.5.

**შალკე:** ნოიერი-4.5, რაფინია-4, ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-4.5, ვესტერმანი-3.5, ფ. ერნსტი-3, ბაირამოვიჩი-3.5, რაკიტიჩი-2.5 (87. აზაუაგი), იოზილი-2, ასამოა-4.5 (46. ჰალილ ალთინთოფი-2.5), კურანი-1 (89. ლარსენი).

**გოლები:** 1:0 ჰუშტი (17-პენ), 1:1 კურანი (41), 1:2 კურანი (50), 2:2 ჰუშტი (53), 2:3 ჰალილ ალთინთოფი (62).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12-17; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 15-18; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 49 000.

### კოტბუსი-ვერდერი 0:2

**კოტბუსი:** ტრემელი-4.5, და სილვა-3, მიტრესკი-3.5, კვიტანოვიჩი-4.5, ციბიგი-3, ტ. როსტი-3.5, ს. ანგელოვი-4, რივიჩი-3.5 (67. ალონეფტისი-4), სკელა-3.5, დ. სიორენსენი-4, კიოიო-4.5.

**ვერდერი:** ვიზე-3, კ. ფრიტცი-2.5, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-2.5, პასანენი-4, ბაუმანი-3, დ. იენსენი-3.5, ბოროვსკი-4 (79. ვრანიეში), დიეგო-3.5, კლასნიჩი-3 (64. ჰარნიკი-4), როზენბერგი-3.5 (76. მოსკერა).

**გოლები:** 0:1 დიეგო (63-პენ), 0:2 მოსკერა (83).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 9-18; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 14-18; **ბურთის ფლობა:** 36-64%-%.

**მაყურებელი:** 14 585.

### ნიურნბერგი-ბორუსია (დ) 2:0

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი-2.5, დ. რაინჰარდტი-3, ა. ვოლფი-3.5, ბოშამი-3, ენგელჰარდტი-4, გალაშეკი-2, კლუგე-2.5 (91. გლაუბერი), ნ. ადლერი-3.5 (77. საენკო), მინტალი-3.5, მისიმოვიჩი-3, ხარისტეასი-3.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-4, [illegible]-4, ბრჟენსკა-5.5, კოვაჩი-5, [illegible]-4.5, [illegible]-4, ბლაშჩიკოვსკი-5.5 (46. [illegible]-4), [illegible]-4.5 (80. ბაკლი), კრინგე-3.5, პეტრიჩი-3.5, კლიმოვიჩი-5.5 (63. ვალდესი-5).

**გოლები:** 1:0 გალაშეკი (10), 2:0 ხარისტეასი (90).

**გაძევება:** ბრჟენსკა (86. ბორუსია).

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 17-4; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 19-19; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 45 000.

### ჰამბურგი-ჰანზა 2:0

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2.5, ბენჯამინი-2.5, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-3, ატუბა-3.5, იაროლიმი-3.5 (74. დე იონგი), კომპანი-2.5, კასტელენი-2, ვან დერ ვაარტი-2 (82. ჩუპო-მოტინგი), ტროხოვსკი-2.5, ოლიჩი-2 (77. ზიდანი).

**ჰანზა:** ვეხტერი-4.5, დ. ლანგენი-4.5, სებასტიანი-3.5, ორესტესი-5.5, მ. შტაინი-4.5, ბაინლიხი-4 (67. იელენი-3.5), რათგები-4, ბარტელსი-4.5, რანი-4.5 (67. პირსი-5), აგალი-5.5 (75. დორნი), კერნი-3.5.

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (19), 2:0 ოლიჩი (61).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 10-4; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 26-14; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 57 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 14 | 9 | 4 | 1 | 30-8 | 31 |
| 2. ვერდერი | 14 | 9 | 3 | 2 | 32-17 | 30 |
| 3. ჰამბურგი | 14 | 9 | 3 | 2 | 22-10 | 30 |
| 4. კარლსრუე | 14 | 8 | 2 | 4 | 16-16 | 26 |
| 5. ლევერკუზენი | 14 | 7 | 3 | 4 | 24-11 | 24 |
| 6. შალკე | 14 | 5 | 7 | 2 | 21-14 | 22 |
| 7. შტუტგარტი | 14 | 7 | 1 | 6 | 20-20 | 22 |
| 8. ჰანოვერი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-20 | 21 |
| 9. ჰერტა | 14 | 6 | 1 | 7 | 18-19 | 19 |
| 10. ბოხუმი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-22 | 18 |
| 11. აინტრახტი | 14 | 4 | 6 | 4 | 14-19 | 18 |
| 12. ვოლფსბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 23-25 | 16 |
| 13. ბორუსია (დ) | 14 | 4 | 3 | 7 | 18-24 | 15 |
| 14. არმინია | 14 | 4 | 3 | 7 | 16-31 | 15 |
| 15. ჰანზა | 14 | 4 | 2 | 8 | 14-20 | 14 |
| 16. ნიურნბერგი | 14 | 3 | 3 | 8 | 18-24 | 12 |
| 17. დუისბურგი | 14 | 3 | 0 | 11 | 13-25 | 9 |
| 18. კოტბუსი | 14 | 1 | 5 | 8 | 10-26 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 – კლოზე (ბაიერნი), ტონი (ბაიერნი); 8 – ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი); 7 – პანტელიჩი (ჰერტა), დიეგო (ვერდერი), უგო ალმეიდა (ვერდერი), გეკასი (ლევერკუზენი), გომესი (შტუტგარტი); 6 – ვიხნიარეკი (არმინია), სესტაკი (ბოხუმი), სანოგო (ვერდერი), პეტრიჩი (ბორუსია დ), ოლიჩი (ჰამბურგი), ჰუშტი (ჰანოვერი), კურანი (შალკე).

### II ბუნდესლიგა

XIV ტური

**ბორუსია (მ)-ოფენბახი 3:0**

გოლები: 1:0 ნდიენგი (16), 2:0 ბრაუერსი (63), 3:0 პააუვე (83).

**პადერბორნი-ფიურტი 1:0**

გოლი: შიუსლერი (66).

**ვეენი-კობლენცი 0:2**

გოლები: 0:1 კ. შაჰინი (67), 0:2 დუ-რი ჩა (81).

**ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი 1:1**

გოლები: 1:0 კიხონი (20-პენ), 1:1 ვერნერი (92).

**ფრაიბურგი-მიუნხენი 2:2**

გოლები: 1:0 უზომა (13), 1:1 შვარცი (54), 2:1 პიტროიპა (71), 2:2 კუჩუკოვიჩი (85).

**აუგსბურგი-ალემანია 1:0**

გოლი: 1:0 ბენშნაიდერი (75).

**აუე-ზტ. პაული 0:0**

**ჰოფენჰაიმი-კიოლნი 0:2**

გოლები: 0:1 ნოვაკოვიჩი (30), 0:2 ჰელმესი (60).

**კაიზერსლაუტერნი-მაინცი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 14 | 9 | 4 | 1 | 31-15 | 31 |
| 2. ფრაიბურგი | 14 | 8 | 4 | 2 | 24-15 | 28 |
| 3. მაინცი | 13 | 7 | 3 | 3 | 27-15 | 24 |
| 4. მიუნხენი | 14 | 6 | 6 | 2 | 24-15 | 24 |
| 5. კიოლნი | 14 | 7 | 3 | 4 | 27-21 | 24 |
| 6. ფიურტი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-14 | 23 |
| 7. ვეენი | 14 | 5 | 5 | 4 | 22-22 | 20 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 14 | 5 | 5 | 4 | 19-19 | 20 |
| 9. ალემანია | 14 | 5 | 4 | 5 | 20-18 | 19 |
| 10. კობლენცი | 14 | 5 | 4 | 5 | 19-23 | 19 |
| 11. ზტ. პაული | 14 | 5 | 3 | 6 | 14-18 | 18 |
| 12. ოსნაბრიუკი | 14 | 4 | 4 | 6 | 16-23 | 16 |
| 13. აუე | 14 | 4 | 3 | 7 | 20-23 | 15 |
| 14. ოფენბახი | 14 | 4 | 3 | 7 | 12-24 | 15 |
| 15. აუგსბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-24 | 14 |
| 16. კაიზერ. | 13 | 2 | 5 | 6 | 10-13 | 11 |
| 17. პადერბორნი | 14 | 1 | 6 | 7 | 8-17 | 9 |
| 18. კარლ ცაისი | 14 | 1 | 4 | 9 | 17-28 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 – ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 9 – ფრინდი (ბორუსია მ); 7 – გუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნხენი); 6 – რაიზინგერი (ფიურტი), ჰელმესი (კიოლნი), ბორხა (მაინცი), გიოქთანი (მიუნხენი); 5 – კოპადო (ჰოფენჰაიმი), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი), ნიკუ (ვეენი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XIX ტური

ობერჰაუზენი-უნიონი 3:0; დრეზდენი-კოტბუსი II 1:0; ემდენი-ვოლფსბურგი II 1:2; ბორუსია II (დ)-ბრაუნშვაიგი 1:0; როტ-ვაის ალენი-ბაბელსბერგი 3:0; დიუსელდორფი-ერფურტი 2:0; ლიუბეკი-ესსენი 1:2; მაგდებურგი-ვუპერტალი 2:0;ფერლი-ვერდერი II 0:3.

### რეგიონალლიგა (სამ)

XVII ტური

მიუნხენი II-პფულენდორფი 1:0; ოგერსჰაიმი-კარლსრუე II 0:1; შტ. კიკერსი-ელვერსბერგი 0:0; ფრანკფურტი-რეგენსბურგი 1:3; როიტლინგენი-ზიგენი 1:1; აალენი-ბაიერნი II 1:1; ბურგჰაუზენი-კასელი 3:1; ზანდჰაუზენი-შტუტგარტი II 1:0; უნტერჰახინგი-ინგოლშტადტი 3:0.

ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური

# ფერგიმ გარისკა და დაისაჯა

## პირველი მარცხი ბოლტონში 1978 წლის შემდეგ და არსენალი სრული სვლით



ნიუკასლი-ლივერპული. ტორესის გარღვევა

„ნიუკასლმა“ შინ ზედიზედ მეორედ წააგო. სამი კვირის წინ ჯორდები „პორტსმუთთან“ დამარცხდნენ, 1:4. შაბათს მათ „ლივერპულმაც“ შავი დღე აყარა. **შეი გივენი** და იღბალი რომ არა, „ნიუკასლი“ საშვილიშვილოდ შერცხვებოდაო, წერენ ინგლისელი მიმომხილველები. ანგარიში **სტივ ჯერარდმა** გახსნა. მაყურებელმა მას პირველივე წუთიდან გამაყრუებელი სტვენა აუტეხა. ორ წუთში **ფერნანდო ტორესმა** ძელი შეაზანზარა, მეორე ტაიმის მე-60 წამზე **დირკ კუიტმა** მეორედ აილო მასპინძელთა კარი. შეცვლაზე შესულმა **რაიან ბაბელმა** კი მესამე გოლი გაიტანა. „ნიუკასლმა“ მეტოქის კართან ერთი მომენტიც ვერ შექმნა. რეჟისორები ხშირ-ხშირად აჩვენებდნენ კლუბის მოლუშულ ბოს **მაიკ ეშლის**. ფანებმა ფეხბურთელები სტვენით აიკლეს.

**სემ ელერდაისმა** რაღაც უნდა ილონოს. შაბათს მის მიერ არჩეული ტაქტიკა მცდარი აღმოჩნდა. ჯორდებს დაცვაში პრობლემები ჰქონდათ. მწვრთნელმა კი მაინც შეტევაზე ორიენტირებული სქემა, 3-5-2 გამოიყენა. ლივერპულელი თავდამსხმელები მეტოქის მცველებს ყველა კომპონენტში ჯაბნიდნენ. თითქმის ყოველი იერიშისას „ნიუკასლის“ უკანახაზელებს მათზე მეტ მეტოქესთან უწევდათ გამკლავება. თავდამსხმელები - **მარკ ვიდუკა** და **ობა მარტინსი** იზოლირებულნი იყვნენ. ნახევარმცველები - **ჯერემი** და **შარლ ნზოგბია** მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ.

მასპინძლებს გაუმართლათ, რომ პირველ ნახევარში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. 29-ე წუთზე ფერნანდო ტორესმა საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენა. ნზოგბიამ ბურთი დირკ კუიტს ჩააბარა. კუიტმა ტორესი მოძებნა. გივენი ესპანელის დარტყმას გადაელობა, მოგერიებული ბურთი ისევ ფერნანდოს მიუვიდა, მან კი ის ძელს გაარტყა.

„ლივერპულმა“ უპირატესობა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გაზარდა. **ჰაბიბ ბეიემ** ბურთი კუთხურზე მოიგერია. ჯერარდმა ახლო ძელთან მოაწოდა. **სემი ჰიიპიამ** ის თავით კუიტს დაუგდო. ჰოლანდიელმა ახლო მანძილიდან გაიტანა. ელერდაისმა **ემრე ჯოი ბარტონით** შეცვალა, ხოლო ნზოგბია - **ჯეიმს მილნერით**. ცვლილებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ტორესმა ორი მომენტი ვერ გამოიყენა. ამასობაში, ბაბელმა ჯერარდთან ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა და 66-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. დარჩენილ დროში „ლივერპულს“ კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა. საფინალო სასტვენმა მასპინძლებს სულზე მოუსწრო...

„არსენალმა“ „ვიგანთან“ დაგეგმილი ქულები მოიპოვა. მან წაუგებელი სერია 28 თამაშამდე აიყვანა. ლონდონელებმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოულოდნელი დამარცხებით ისარგებლეს და პირველ საფეხურზე განიმტკიცეს პოზიციები. ვიგანელებმა ზედიზედ მერვედ წააგეს. დღეიდან მათ ახალი მწვრთნელი, **სტივ ბრუსი** ეყოლებათ. ბრუსს ბევრი შრომა დასჭირდება, გუნდს პრემიერლიგაში ადგილი რომ შეუნარჩუნოს.

„მეთოფეებს“ იოლი გასეირნება არ გამოუვიდათ. „ვიგანთან“ მატჩის 84-ე წუთამდე 0:0 იყო. საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე კაპიტანმა **ვილიამ გალასმა** თავით ახლო კუთხეში გაიტანა. ორ წუთში **ტომაშ როსიცკიმ** დასვა წერტილი. ლონდონელებს **თეო უოლკოტი** დაუშავდათ. ახალგაზრდა თავდამსხმელი ვიგანელ **ემილ ჰესკის** შეეჯახა და მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს.

„არსენალს“ **სესკ ფაბრეგასი** დასჯილი ჰყავდა. **მატიო ფლამინიმ** ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო. **ჟილბერტო** ნამგზავრი იყო და დაასვენეს. ამიტომ ნახევარდაცვის ცენტრში **დენილსონი** და **ლასანა დიარა** ვიხილეთ. თავდასხმაში ხორვატი **ედუარდოს** ნაცვლად უოლკოტის დაყენებაც მოულოდნელი იყო. თამაში „ვიგანის“ იერიშებით დაიწყო. სტუმრებმა მეხუთე წუთზე კინაღამ ანგარიში გახსნეს. **მარკუს ბენტი მანუელ ალმუნიასთან** პირისპირ გავიდა, მოატყუა და ის იყო, უნდა გაეტანა, რომ თანამსაჯის ალამი შენიშნა. ბენტზე თამაშგარე დააფიქსირეს. „არსენალმა“ მეტოქეს უმალ ადებაიორისა და უოლკოტის იერიშებით უპასუხა. **ემანუელ ებუემ** უოლკოტის საუცხოო გადაცემით ვერ ისარგებლა. მან ბურთი კარიდან ექვს მეტრში მიიღო, მაგრამ ააცილა. ბენტმა **ემერსონ ბოისის** გრძელი გადაცემით ისაგებლა და თავით დააპირა ალმუნიას დამწუხრება, მაგრამ უშედეგოდ. შესვენებამდე ათი წუთით ადრე **სალომონ ოლემბე** უოლკოტის დარტყმას გადაელობა. სტივ ბრუსი მომავალ შეგირდებს ტრიბუნიდან უყურებდა. პირველი ტაიმით ის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

„არსენალს“ მეტოქის წინააღმდეგობის გატეხვა უჭირდა. მაყურებელი მოუთმენლობამ შეიპყრო. ერთი საათის განმავლობაში „ვიგანის“ კართან რეალური მომენტი არ შექმნილა. მეტოქეები უხეშობაზე გადავიდნენ. მსაჯმა **პიტერ უოლტონმა** ემოციების დასაცხრობად სამი ყვითელი ბარათი ააფრიალა. ამასობაში, უოლკოტი მძიმედ დაშავდა. „არსენალმა“ კი, როგორც იქნა, მიაღწია თავისას. 84-ე წუთზე გალასმა **ბაკარი სანიას** გადაცემით ისარგებლა, როსიცკიმ კი შეცვლაზე შესული ბენდტნერის პასი აქცია გოლად...

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ აგვისტოს შემდეგ (19 აგვისტოს „მანჩესტერ სიტისთან“) პირველად წააგო, **სერ ალექს ფერგიუსონს** კი წითელი ბარათი აუფრიალეს. არბიტრ **მარკ კლეტენბურგს** მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა ფერგი მას შესვენებისას, გვირაბში დახვდა და აუყვირდა. მწვრთნელი მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. კლეტენბურგის პასუხი წითელი ბარათი იყო. სერ ალექსმა მეორე ტაიმს ტრიბუნიდან უყურა. მისმა გუნდმა სამი ქულა გაანიავა. „იუნაიტედს“ ბოლტონში 1978 წლის დეკემბრის შემდეგ არ წაეგო. შაბათს გამარჯვების გოლი იმ **ნიკოლა ანელკამ** გაიტანა, რომელსაც „მანჩესტერი“ აგვისტოს ტრანსფერებისას ეპატიჟებოდა. **გარი მეგსონმა** „ბოლტონის“ მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ასევე პირველად ამ სეზონში ბოლტონელებმა გასავარდნ ზონას დააღწიეს თავი.

„მენიუ“ გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. ფერგიმ **კრისტიანო რონალდოს** ორდღიანი შვებულება მისცა. რონალდო „მენიუს“ ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ოთხშაბათს შესარჩევ მატჩებში ითამაშა. „მანჩესტერს“ **უეინ რუნიც** აკლდა. მეორე ლიდერის დასვენება სარისკო იყო. ფერგიმ გარისკა და დაისაჯა. „იუნაიტედისათვის“ უფრო დიდი დანაკლისი აღმოჩნდა **ნემანია ვიდიჩი**. სერბ მცველს ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი. დაცვის ცენტრში ვიდიჩის ადგილი **ხერარდ პიკემ** დაიკავა. **ვეს ბრაუნი** მარჯვენა ფლანგზე გაამწესეს. ანელკამ პიკეს შეცდომის ხარჯზე გაიტანა. ის **ივან კამპოს** ჩაწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა და ანელკა უმეთვალყურეოდ დატოვა. ფრანგმა თავდამსხმელმა ბურთიც გააჩერა, დაუმიზნა კიდევ და სეზონის მეშვიდე გოლი გაიტანა.

**კარლოს ტევესი** უსარგებლოდ დარბოდა. **ლუის საა** შეუმჩნეველი იყო. თითქმის არ ჩანდნენ **ნანი** და **რაიან გიგზი**. პირველ ტაიმში „ეშმაკების“ ყველაზე რეალური მომენტი **ოუენ ჰარგრივსმა** შექმნა, მაგრამ ვერ გაიტანა. შესვენებისას ფერგი ტრიბუნაზე მიაბრძანეს. მეორე ტაიმში ის ტელეფონით უკავშირდებოდა ასისტენტებს, **კარლოს კეიროშსა** და **მაიკლ ფელანს**, მაგრამ მისმა შეგირდებმა მწვრთნელის მითითებები ვერ შეასრულეს...

„იუნაიტედის“ დამარცხებით „ჩელსიმაც“ ისარგებლა და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. **შონ რაიტ-ფილიპსმა** ბოლო შვიდი თვის განმავლობაში პირველი გოლი გაიტანა. რაიტ-ფილიპსის გარდა, თავის გამოიჩინა **სალომონ კალუმ** (მისი მეხუთე გოლი ამ სეზონში). სტუმართა ვარსკვლავებს - **ფრენკ ლემპარდს, ჯონ ტერისა** და რაიტ-ფილიპსს, მაყურებელი სტვენით შეხვდა. ეს იყო ფანების რეაქცია ხორვატიასთან წაგების გამო.

მეორე ტაიმი ემოციებით დახუნძლული აღმოჩნდა. რაიტ-ფილიპსმა მეორე გოლი 73-ე წუთზე გაიტანა. იმ ეპიზოდში დერბელი თავდამსხმელი **ჟილ ბარნესი** მინდორზე იწვა და ექიმების დახმარებას ითხოვდა. ის **ანდრეი შევჩენკომ** წააქცია. რაი-ფილიპსმა ბურთის კიდეზე გადაგდების ნაცვლად, გოლი გაიტანა. რამდენიმე წუთით ადრე მასპინძელთა მეორე თავდამსხმელ **კენი მილერს** საეჭვო გოლი არ ჩაუთვალეს. შოტლანდიის ნაკრების ვარსკვლავმა კიდევ ერთ ეპიზოდში მიიქცია ყურადღება. მსაჯისაგან დამატებულ დროში **მიკაელ ესიენმა** მას იდაყვი უთავაზა. არბიტრმა **ანდრე მარინერმა** განელ ნახევარმცველს დაუყოვნებლივ წითელი ბარათი უჩვენა. შვიდკვირიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა „ჩელსის“ კაპიტანმა ჯონ ტერიმ. მისი საქმე, შეიძლება, საფეხბურთო ასოციაციამ განიხილოს. საქმე ისაა, რომ ესიენის გაძევებისას ტერი დიდხანს ეკამათა მსაჯს და მასზე გულმოსულმა ბურთი ორჯერ მიწაზე დაახეთქა.

გაიმარჯვა „მანჩესტერ სიტიმაც“. ის მესამე ადგილზეა და თანაქალაქელი „იუნაიტედისაგან“ ერთი ქულალა აშორებს. „ევერტონმა“ მიწასთან გაასწორა „სანდერლენდი“ და წაუგებელი სერია შვიდ მატჩამდე აიყვანა. ლივერპულელებმა შვიდი გოლი უკანასკნელად 1996 წელს „საუთჰემპტონს“ გაუტანეს. „სანდერლენდს“ პრემიერლიგაში სტუმრად 18 თამაშია, არ მოუგია. პოზიციების დათმობას არ აპირებს „პორტსმუთიც“, რომელმაც შაბათს უმწვთნელოდ დარჩენილი „ბირმინგემი“ ორი გოლით დაასაჩუქრა. **ჰარი რედნაპის** შეგირდებმა სტუმრად ზედიზედ მეხუთედ მოიგეს, წაუგებელი სერია კი 9 თამაშამდე აიყვანეს. „ბირმინგემმა“ ბოლო შვიდი თამაშიდან ექვსი წააგო და გასავარდნი ზონისაკენ მიექანება.

### მომდევნო ტური

1 დეკემბერი. **ასტონ ვილა-არსენალი, ბლექბერნი-ნიუკასლი, ჩელსი-ვესტ ჰემი, ლივერპული-ბოლტონი, მანჩესტერ იუნ-ფულჰემი, პორტსმუთი-ევერტონი, რედინგი-მიდლსბრო, სანდერლენდი-დერბი, ტოტენჰემი-ბირმინგემი, ვიგანი-მანჩესტერ სიტი.**

### ნიუკასლი-ლივერპული 0:3

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, ხოსე ენრიკე (78. კარი), როზენალი, ბატი, ემრე (51. ბარტონი), ჯერემი, ნზოგბია (59. მილნერი), მარტინსი, სმიტი, ვიდუკა.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, ჯერარდი (80. კრაუჩი), კოუელი (58. ბაბელი), ლუკასი, სისოკო, კუიტი (76. რიისე), ტორესი.

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (28), 0:2 კუიტი (46), 0:3 ბაბელი (66).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 6(2)-17(11); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 0-8; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 52 307

### არსენალი-ვიგანი 2:0

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ებუე (68. ედუარდო), გალასი, სანია, კოლო ტურე, ლასანა დიარა, დენილსონი, როსიცკი, ადებაიორი, უოლკოტი (79. ბენდტნერი).

**ვიგანი:** პოლიტი, ბოისი, ბრემბლი, გრანკვისტი, ოლემბე (68. ჰესკი), შარნერი (90. სკოკო), ბრაუნი, კილბეინი, კუმასი, ლანდზაატი, მარკუს ბენტი (84. სიბირსკი).

**გოლები:** 1:0 გალასი (83), 2:0 როსიცკი (85).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 13(6)-7(2); **ჯარიმა:** 9-17; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 60 126

### ბირმინგემი-პორტსმუთი 0:2

**ბირმინგემი:** კინგსონი, ჯურუ, კელი, რიჯველი, შმიტცი, დე რიდერი, კაპო, მაკშეფრი (74. ოკონორი), მუამბა, ნაფტი, ფორსელი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, გლენ ჯონსონი, პამარო, შონ დევისი, დიოპი, კრანჩარი, მუნტარი, უტაკა (81. მ.ტეილორი), მვარუვარი.

**გოლები:** 0:1 მუნტარი (34), 0:2 კრანჩარი (82).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 5(3)-17(8); **ჯარიმა:** 17-21; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 089

### ბოლტონი-მანჩესტერ იუნ. 1:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი, კამპო, გარდნერი, გუტრი (74. ვილჰელმსონი), ნოლანი (83. მაკენი), ანელკა, კევინ დევისი (70. სპიდი), დიუფი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვეს ბრაუნი (88. ოში), ევრა, რიო ფერდინანდი, პიკე (59. ოლივეირა), ნანი, ქერიკი, გიგზი, ჰარგრივსი, საა, ტევესი.

**გოლი:** 1:0 ანელკა (11).

**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 6(5)-15(3); **ჯარიმა:** 16-13; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 028

### ევერტონი-სანდერლენდი 7:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ნუნო ვალენტე, იობო (81. ჟაგიელკა), არტეტა, კაჰილი (74. ანიჩებე), კარსლი, ოსმანი, პიენაარი, იაკუბუ (74. ჯონსონი).

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰარტი, ჰიგინოთემი, მაკშეინი, ედვარდსი, ეტუჰუ (46. უოლესი), ლიდბიტერი, უაიტჰედი, იორკი (46. კოლინზი), ჩოპრა (67. ენდი კოული), ჯოუნსი.

**გოლები:** 1:0 იაკუბუ (12), 2:0 კაჰილი (17), 3:0 პიენაარი (43), 3:1 იორკი (45), 4:1 კაჰილი (62), 5:1 იაკუბუ (73), 6:1 ენდი ჯონსონი (80), 7:1 ოსმანი (85).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 27(19)-14(7); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 38 554

### მანჩესტერ სიტი-რედინგი 2:1

**სიტი:** ისაკსონი, კორლუკა (43. სუნი), დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (58. ჯოვანი), ჟელსონი, ჰამანი, ირლანდი, მარტინ პეტროვი, მპენზა (46. სამარასი).

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მერტი, შორი, სონკო, კორნვეი, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (85. ლონგი), კიტსონი.

**გოლები:** 1:0 მარტინ პეტროვი (11), 1:1 ჰარპერი (53), 2:1 ირლანდი (90).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 16(9)-5(3); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 2-7; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 43 810

### მიდლსბრო-ასტონ ვილა 0:3

**მიდლსბრო:** შვარცერი, პოგატეცი, უიტერი, ვუდგეიტი, იანგი, ბოატენგი, კატერმოული (53. როშემბაკი), დაუნინგი, ადან ჯონსონი, ონილი, ალიადიერი (75. ჰატჩინსონი).

**ვილა:** კარსონი, ბუმა, ნაიტი, ლაურსენი (84. კ.დევისი), მელბერგი, ბერი, სტილიან პეტროვი (79. კრეიგ გარდნერი), რეო-კოკერი, აგბონლაორი, კარუ (74. მელონი), ეშლი იანგი.

**გოლები:** 0:1 კარუ (45), 0:2 მელბერგი (48), 0:3 აგბონლაორი (58).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 17(8)-12(8); **ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 11-6; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 23 900

### დერბი-ჩელსი 0:2

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი, გრიფინი, ლიკოკი, მაკევილი, მური, ბარნესი (75. ჰოვარდი), ლუკლი (84. ფაილჰაბერი), ფეგანი (86. ერნში), მილერი.

**ჩელსი:** კუდიჩინი, ბელეტი, ბენ ჰაიმი, ეშლი კოული, ტერი, ლემპარდი (90. პისარო), ობი მიკელი, სიდველი (75. ესიენი), რაიტ-ფილიპსი, კალუ, შევჩენკო.

**გოლები:** 0:1 კალუ (17), 0:2 რაიტ-ფილიპსი (73).

**გაძევება:** ესიენი (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 10(4)-10(5); **ჯარიმა:** 8-6; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 32 789

### ვესტ ჰემი-ტოტენჰემი 1:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, გებიდონი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ეთერინგტონი, მულინზი, ნობლი (63. პარკერი), სოლანო (82. სპექტორი), ბოა მორტე (72. ეშტონი), კარლტონ კოული.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი, შიმბონდა, დოსონი, კაბული (54. დარენ ბენტი), ჯენასი, ლენონი, მალბრანკი, ზოკორა, ბერბატოვი, რობი კინი (78. დეფო).

**გოლები:** 1:0 კარლტონ კოული (20), 1:1 დოსონი (67).

*90-ე წუთზე დეფომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 15(9)-11(5); **ჯარიმა:** 33-5; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 34 966

### ფულჰემი-ბლექბერნი 2:2

**ფულჰემი:** ნიემი, ბეარდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, სტეფანოვიჩი, საიმონ დევისი, სტივენ დევისი, დემპსი, დენი მერფი (83. ჰილი), ბუაზა (67. კუკი), დიომანსი კამარა (83. კი ჰიეონი).

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა (89. რიდი), ნელსენი, ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი, პედერსენი, მაკარტი (8. რობერტსი).

**გოლები:** 1:0 დენი მერფი (51-პენ.), 1:1 [illegible] (57), 2:1 დ.კამარა (63), 2:2 [illegible] (79).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** [illegible]; **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 22 829

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 13 | 10 | 3 | 0 | 29-10 | 33 |
| 2. მანჩ. იუნ | 14 | 9 | 3 | 2 | 23-7 | 30 |
| 3. მანჩ. სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 18-14 | 29 |
| 4. ჩელსი | 14 | 8 | 4 | 2 | 21-9 | 28 |
| 5. ლივერპული | 13 | 7 | 6 | 0 | 22-6 | 27 |
| 6. პორტსმუთი | 14 | 7 | 5 | 2 | 25-13 | 26 |
| 7. ასტონ ვილა | 13 | 7 | 3 | 3 | 21-14 | 24 |
| 8. ევერტონი | 14 | 7 | 2 | 5 | 26-16 | 23 |
| 9. ბლექბერნი | 13 | 6 | 5 | 2 | 17-13 | 23 |
| 10. ვესტ ჰემი | 13 | 5 | 4 | 4 | 19-11 | 19 |
| 11. ნიუკასლი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-21 | 18 |
| 12. ფულჰემი | 14 | 2 | 7 | 5 | 18-22 | 13 |
| 13. რედინგი | 14 | 4 | 1 | 9 | 17-31 | 13 |
| 14. ტოტენჰემი | 14 | 2 | 6 | 6 | 24-25 | 12 |
| 15. ბოლტონი | 14 | 2 | 5 | 7 | 12-18 | 11 |
| 16. ბირმინგემი | 14 | 3 | 2 | 9 | 13-22 | 11 |
| 17. მიდლსბრო | 14 | 2 | 4 | 8 | 12-26 | 10 |
| 18. სანდერლენდი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-29 | 10 |
| 19. ვიგანი | 14 | 2 | 2 | 10 | 10-25 | 8 |
| 20. დერბი | 14 | 1 | 3 | 10 | 5-33 | 6 |

ბომბარდირები: 7 - მვარუვარი (პორტსმუთი); 6 - ანელკა (ბოლტონი), კინი (ტოტენჰემი), ადებაიორი (არსენალი); 5 - ფაბრეგასი (არსენალი), მაკარტი (ბლექბერნი), ვან პერსი (არსენალი); 4 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული), სანტა კრუსი (ბლექბერნი), აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ელანო (მანჩესტერ სიტი), დროგბა (ჩელსი), რუნი (მანჩესტერ იუნ), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონატი

XVII ტური

**კარდიფი-იფსვიჩი 1:0**

გოლი: 1:0 პერი (33)

**სკანთორფი-ჰალი 1:2**

გოლები: 0:1 უინდესი (4), 0:2 უინდესი (16), 1:2 ფორტი (45)

**ბარნსლი-უოტფორდი 3:2**

გოლები: 1:0 ჰოვარდი (32), 2:0 დევენეი (34), 2:1 შიტუ (36), 2:2 შიტუ (45), 3:2 ლი (66-საკ. კარში)

**ბრისტოლი-ლესტერი 0:2**

გოლები: 0:1 სტირმანი (23), 0:2 ფრიატი (78)

**ბარნლი-სტოკი 0:0**

**კოლჩესტერი-კრ. პალასი 1:2**

გოლები: 0:1 მორისონი (6), 1:1 ჯექსონი (69), 1:2 მორისონი (74)

**ნორვიჩი-კოვენთრი 2:0**

გოლები: 1:0 ჩედვიკი (34), 2:0 კარეტონი (77)

**ქუინზ პარკი-უენსდი 0:0**

**შეფილდი-პლიმუტი 0:1**

გოლი: 0:1 ჰალმოში (24)

**საუთჰემპტონი-ბლეკპული 1:0**

გოლი: 1:0 შ. ჯონი (35)

**პრესტონი-ჩარლტონი 0:2**

გოლები: 0:1 ჟი (45), 0:2 ვერნი (90)

**ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 17 | 11 | 3 | 3 | 31-21 | 36 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 9 | 4 | 4 | 35-16 | 31 |
| 3. ჩარლტონი | 17 | 9 | 4 | 4 | 24-15 | 31 |
| 4. პლიმუტი | 17 | 7 | 6 | 4 | 23-18 | 27 |
| 5. ვულვზი | 17 | 7 | 6 | 4 | 18-15 | 27 |
| 6. ბრისტოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 21-22 | 27 |
| 7. ბარნსლი | 17 | 7 | 5 | 5 | 23-24 | 26 |
| 8. იფსვიჩი | 16 | 7 | 4 | 5 | 31-23 | 25 |
| 9. ჰალი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-18 | 25 |
| 10. კოვენთრი | 17 | 7 | 3 | 7 | 20-26 | 24 |
| 11. სტოკი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-22 | 24 |
| 12. საუთჰემპტონი | 17 | 7 | 2 | 8 | 25-33 | 23 |
| 13. ბარნლი | 16 | 5 | 7 | 4 | 21-20 | 22 |
| 14. შეფილდი | 17 | 5 | 6 | 6 | 23-23 | 21 |
| 15. უენსდი | 17 | 6 | 2 | 9 | 22-25 | 20 |
| 16. სკანთორფი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-22 | 20 |
| 17. ლესტერი | 16 | 4 | 8 | 4 | 16-12 | 20 |
| 18. კარდიფი | 16 | 4 | 6 | 6 | 20-23 | 18 |
| 19. კოლჩესტერი | 17 | 3 | 8 | 6 | 28-29 | 17 |
| 20. კრ. პალასი | 17 | 3 | 8 | 6 | 18-21 | 17 |
| 21. ბლეკპული | 16 | 3 | 7 | 6 | 18-22 | 16 |
| 22. ქუინზ პარკი | 16 | 3 | 7 | 6 | 14-24 | 16 |
| 23. პრესტონი | 17 | 3 | 6 | 8 | 15-22 | 15 |
| 24. ნორვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 12-26 | 12 |

ბომბარდირები: 9 - ბიტი (შეფილდი); 8 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ჰენდერსონი (უოტფორდი); 7 - გრეი (ბარნლი), იტსი (კოლჩესტერი); 4 - ჰოვარდი (ბარნსლი), პატერსონი (სკანთორფი), მილერი (ვესტ ბრომვიჩი), ლი (იფსვიჩი), ფულერი (სტოკი), კინგი (უოტფორდი).

### I დივიზიონი

XVII ტური

ბორნმუთი-ოლდჰემი 0:3; ბრაიტონი-კარლაილი 2:2; ჯილინგემი-ჰარტლპული 2:1; ჰადერსფილდი-ლეიტონი 0:1; ლუტონი-საუთენდი 1:0; მილუოლი-იეოვილი 2:1; ნორთჰემპტონი-უოლსოლი 0:2; ნოტინგემი-ქრიუ 2:0; პორტ ველი-დონკასტერი 1:3; სუინდონი-როვერსი 1:0; ტრანმერი-სუონსი 0:2; ჩელტენემი-ლიდსი 1:0.

### II დივიზიონი

XVII ტური

ბარნეტი-გრიმსბი 0:3; ბრედფორდი-სტოკპორტი 1:1; დარლინგტონი-უიკომბი 1:0; ჰერეფორდი-აკრინგტონი 0:0; ლინკოლნი-ნოტსი 2:1; მილტონი-ჩესტერფილდი 1:2; მაკლსფილდი-დაგენჰემი 1:1; მორეკამბი-ბერი 2:1; პიტერბრო-ბრენტფორდი 7:0; როჩდეილი-მენსფილდი 1:0; როტერჰემი-შრიუსბერი 2:0; რექსჰემი-ჩესტერი 2:2.

### კონფერენსი

XX ტური

ალდერშოტი-გრეისი 3:2; ბარტონი-კემბრიჯი 1:2; ქროული-ფარსლი 4:1; დროილსდენი-ფორესტ გრინი 5:3; გრავესენდი-სტეფორდი 2:1; ჰალიფაქსი-სალისბერი 1:1; ჰისტონი-ექსეტერი 2:2; კიდერმინსტერი-ოქსფორდი 0:2; ნორთვიჩი-რაშდენი 1:0; ტორკი-უოკინგი 2:0; უეიმაუთი-იორკი 1:2; სტევენეიჯი-ალტრინჩემი ღღეს.



კალიარი-მილანი. პირლოს საფირმო გოლი

## იტალია. სერია A. XIII ტური

# დიდოსტატის მარჯვენა

**კრისტიან პანუჩი** გადამწყვეტი გოლების სპეციალისტად იქცა. გასულ შაბათს მან თავური შეაგდო შოტლანდია-იტალიის მატჩში და „სკუადრა აძურას" ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე დაუბევა ადგილი. ამჯერად, მისმა კიდევ ერთმა თავურმა გამარჯვება მოუტანა „რომას", რომელსაც გენუაში რთული მატჩი ჰქონდა. **ლუჩანო სპალეტის** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა **ტოტის, პეროტასა** და **ტადეის** სახით, თუმცა „ჯალოროსის" თამაშზე კონტროლი პირველიდან ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს...

სტუმრებს ანგარიშის გახსნა მე-4 წუთზევე შეეძლოთ, მაგრამ „ჯენოას" კიპერმა **მანსინის** მეტად სახიფათო თავური გაანეიტრალა. მასპინძელს კი საუკეთესო შანსი 30-ე წუთზე გაუჩნდა, როცა **იურიჩის** პასს **ბორიელო** გამოეხმაურა, თუმცა მეკარე **დონის** ველარ აჯობა. პირველი ტაიმის ბოლომდე „როსობლუ" მცირე უპირატესობას ფლობდა. და სწორედ ამ მომენტში, „ჯალოროსის" ერთ-ერთი კონტრშეტევისას, არბიტრს მასპინძელთა კარში პენალტის დანიშვნა მართებდა, როცა ექსრომაელი **ბოვო** საჯარიმოში უხეშად მოექცა **ვუჩინიჩს**...

მეორე ტაიმი ძირითადად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ უფრო რეალური შანსი „რომას" ჰქონდა. 75-ე წუთზე, მანსინის გასწვრივი გადაცემის შემდეგ, **რუბინიომ** ვუჩინიჩს ზღაპრული ბურთი აუღო. მერე **დე როსისაც** ჰქონდა მომენტი, მაგრამ „ჯენოას" კიპერმა ამჯერზეც იყოჩაღა. თუმცა ის ვერაფერს გახდა ბოლო წუთზე, როცა **პისაროს** ჩაწოდებულს პანუჩი შორეული ძელის სიახლოვეს ჩაუსაფრდა და გამარჯვების თავურიც გამოაცხო. გენუელებმა ბოლოს რაღაც შტურმის მაგვარი სცადეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

**რობერტო მანჩინიმ** შაბათს პირველად დააყენა თავდასხმაში **კრუსი-სუასოს** ტანდემი. მართალია, „ინტერის" ორივე გოლი ამ წყვილის აქტივში ჩაიწერა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს სამწვრთნელო ინტუიციის ნაყოფი იყო. საქმე ისაა, რომ **იბრაჰიმოვიჩი** სანაკრებო კვირის შემდეგ გადაღლილი იყო, **ადრიანო** ბრაზილიაშია და დეპრესიიდან გამოსვლას ცდილობს, **კრესპოს** კი მუხლი აწუხებს. არადა, არგენტინულ-ჰონდურასული ალიანსი შესანიშნავად გამოიყურებოდა, რაზეც მანჩინი მომავალში სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. გარდა გოლებისა, ისინი კარგადაც უგებდნენ ერთმანეთს და ბერგამოულ დაცვას ხშირად აყენებდნენ უხერხულ მდგომარეობაში. მე-10 წუთზე ანგარიში სწორედ მათ შორის გათამაშებულ კომბინაციას მოჰყვა და **სუასომ** საჯარიმოს ხაზიდან ბურთი ზუსტად გაგზავნა მიზანში. 30-ე წუთზე, უკვე ჰონდურასელმა ითამაშა ასისტენტის როლი, როცა აკრობატული პასით ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა და **კრუსიც** იქვე იყო. მატჩის მესამე გოლიც პირველ ტაიმში გავიდა. კარისკენ ზურგით მდგომი **ფლოკარი** კარგად შემოტრიალდა და მარჯვენათი ზუსტად დასცხო. ისიც ვთქვათ, რომ მეორე ტაიმში არბიტრს აუცილებლად უნდა გაეძევებინა **მანფრედინი**, რომელმაც სუასო აკრძალული ხერხით შეაჩერა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, სურათი არც თამაშის ამ მონაკვეთში შეცვლილა. „ინტერი" კვლავ დომინირებდა, „ატალანტას" კი უფრო ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდა, ვიდრე სხვა რამ. ხშირ შემთხვევაში, სტუმრები ერთობ გაუბედავად მოქმედებდნენ.

...და კიდევ რამდენიმე დეტალი „სან სიროს" მატჩთან დაკავშირებით. **ხავიერ ძანეტიმ** სერია A-ში მე-400 მატჩი ითამაშა; ორთვიანი პაუზის შემდეგ „ინტერს" **მარკო მატერაცი** დაუბრუნდა; „ატალანტას" ფანებს კი, ცნობილი მოვლენების გამო, თამაშზე დასწრება აკრძალული ჰქონდათ. „ინტერის" მესვეურებმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს და გამოთავისუფლებული 5 ათასი ადგილი ბავშვებს დაუთმეს...

„მილანი" წელს რომ სტუმრად გამორჩეულად ძლიერია, სერია A-ს ბატალიებში ჩახედულ მკითხველს კარგად მოეხსენება. გუშინ, „როსონერიმ" ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მომხვდურთათვის თამაში მნიშვნელოვანი იყო იმითიც, რომ მაისის მერე პირველად ითამაშა **რონალდომ** და თან საკმაოდ კარგადაც. თუმცა **კახა კალაძის, კლარენს ზეედორფისა** და **მარეკ იანკულოვსკის** არყოფნა **კარლო ანჩელოტის** მაინც გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა. და ეს პრობლემა დასაწყისშივე გამოჩნდა და ამჯერადაც კუთხურის შემდეგ: **ოდომ** ვერ ჩაკეტა **აკვაფრესკა** და თავური ბადეში გაეხვია. აქ **დიდას** შეცდომაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ. შემდეგ, „მილანის" მეკარე კიდევ ერთხელ დაიბნა, როცა კალიარელი **ფოჯა** აქტიურობდა. თუმცა ეს მაინც ეპიზოდი იყო, რადგან გაშვებული გოლის შემდეგ „როსონერი" საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და ტაიმის მიწურულს ეს უპირატესობა წონასწორობის აღდგენაშიც უნდა გამოხატულიყო, მაგრამ **კაკამ** რონალდოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა ახალი სიჩქარეები ჩართეს. რამდენიმე მწვავე იერიშის შემდეგ, **ჯილარდინომ სერჯინიოს** ჩაწოდება აკრობატული მოძრაობით დააგვირგვინა. იქვე, „კალიარის" კიდევ ერთხელ შეეძლო დაწინაურება. აკვაფრესკა მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და უაღრესად მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ის, რაც ვერ შეძლეს **ნესტამ** და დიდამ, **ბონერამ** გააკეთა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. შემდეგ იყო მომენტი, როცა **კაფუმ** ხარიხა შეაზანზარა. თამაშის მიწურულს კი **პირლოს** საფირმო ჯარიმაც ვიხილეთ: „სტანდარტულების" დიდოსტატმა მარჯვენათი ბურთი „კედელს" გადაავლო და **ფორტინი** უსაქმოდ დატოვა.

„რეჯინას" „ფიორენტინა" შინ არასოდეს დაუმარცხებია და კალაბრიელთათვის უსიამოვნო ტრადიცია გუშინაც ხელუხლებელი დარჩა. ისე, უნდა ითქვას, რომ გამარჯვებას უფრო მასპინძლები იმსახურებდნენ. სწორედ მათ ჰქონდათ საგოლე შანსები და ერთ ეპიზოდში პენალტიც უნდა დაერტყათ, მაგრამ არბიტრმა საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალი დარტყმა სულაც ფლორენციელთა სასარგებლოდ დანიშნა. მოკლედ, 0:0 და **რენცო ულივიერის** თავკაცობით „რეჯინამ" ორ მატჩში 4 ქულა მოუყარა თავი, თან არც ერთი გოლი არ გაუშვა. „ფიორენტინას" კი პირიქით, ბოლო შეხვედრებში ჩავარდნა ეტყობა.

„უდინეზემ" 2:0 დაამარცხა „სიენა" და **მარიო ბერეტას** ტოსკანურ კლუბში ხელმეორე დებიუტი ჩაუმწარა. სამაგიეროდ, ეზეიმებოდა უდინელთა მწვრთნელ **პასკუალე მარინოს**, რომელმაც გუშინდელი გამარჯვება ახალ 5-წლიან კონტრაქტს დაამთხვია. და ეს გამარჯვება ფასეულია იმადაც, რომ მთელი მეორე ნახევარი ფრიულელებმა 10 კაცით ჩაატარეს. თუმცა ბოლომდე სამართლიანნი რომ ვიყოთ, ისიც ვთქვათ, რომ სიენელ **ფრიკზე** აბსურდული თამაშგარე დააფიქსირეს იმ ეპიზოდში, როცა ის, პრაქტიკულად, ცარიელი კარის წინ იდგა და გოლიც გარდაუვალი იყო.

„ნაპოლიმ" თითქოს იოლად დაამარცხა „კატანია", მაგრამ ეს მხოლოდ ანგარიშიდან ჩანს. სინამდვილეში, სიცილიელებმაც კარგად ითამაშეს და რამდენიმე გოლის გატანაც შეეძლოთ. მარტო **სპინეზის**, საამისოდ, ორი ჩინებული შანსი ჰქონდა... მაგრამ ყველაზე იღბლიანი იმ საღამოს **სალაიეტა** იყო. აქვე, შევაქოთ არგენტინელი **ლავეციც**, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა.

„ლაციო" და „პარმა" ტკივილიანი მატჩი იყო, „ბიანკოჩელესტეს" ფანის **გაბრიელე სანდრის** მკვლელობის გამო. რომაელმა „ულტრასებმა", პროტესტის ნიშნად, მე-20 წუთზე მშობლიური ჩრდილოეთი ტრიბუნა დააცარიელეს. თამაშს რაც შეეხება, ის თანაბარი იყო და ფრეც ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ 90-ე წუთზე **ფირმანიმ** ორმაგი რიკოშეტის წყალობით შეაგდო და „ლაციალეს" დიდი ხნის პაუზის შემდეგ მოიგო.

„სამპდორიას" ლივორნოში 1948 (!) წლის შემდეგ არ მოუგია. მარცხიანი იყო გუშინდელი დაპირისპირებაც. „ლივორნოსთვის" კი ეს ზედიზედ მესამე გამარჯვებაა. ასე რომ, **ჯანკარლო კამოლეზე** ჯერჯერობით ამართლებს. უგოლოდ დასრულდა „ემპოლი"-„ტორინოს" მატჩი. არადა თამაში ძალიან საინტერესო გამოვიდა და სწორედ გოლი იყო ის ერთადერთი კომპონენტი, რაც „კასტელანის" მატჩს აკლდა.

კვირას ღამეს კი „იუვენტუსმა" „პალერმოს" გადაურბინა. მოსალოდნელია, რომ სიცილიელთა მწვრთნელ **სტეფანო კოლანტუონოს** სამსახურს დაატოვებინებენ.

### მომდევნო ტური

1 დეკემბერი. სამპდორია-რეჯინა, მილანი-იუვენტუსი. 2 დეკემბერი. . ატალანტა-ნაპოლი, კალიარი-ლივორნო, კატანია-პალერმო, ფიორენტინა-ინტერი, პარმა-ემპოლი, რომა-უდინეზე, სიენა-ლაციო, ტორინო-ჯენოა.

### ჯენოა-რომა 0:1

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, კონკო-6.5, ბეგა-6.5, ბოვო-6.5, მ. როსი-6 (89. ფიგეროა-შ.გ), იურიჩი-6, პაროლო-6, დანილო-6 (74. მ. კოპოლა-შ.გ), ლეონი-6, სკული-5.5 (62. დი ვაიო-6), ბორიელო-6.5.

**რომა:** ა. დონი-6.5, პანუჩი-7.5, ჟუანი-6, ფერარი-6, კასეტი-6.5, დე როსი-6, ბრიგი-6 (68. ჟიული-6), მანსინი-6 (84. ესპოზიტო-შ.გ), პისარო-6 (90. ბარუსო-შ.გ), ტონეტო-6, ვუჩინიჩი-6.

**გოლი:** 0:1 პანუჩი (89)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 28-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-18 (7-8); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 30 000

### ინტერი-ატალანტა 2:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-6.5, კორდობა-5.5, სამუელი-6.5, კივუ-6.5, ხ. ძანეტი-6.5, დაკური-6 (88. მატერაცი-შ.გ), კამბიასო-6.5, სოლარი-6 (67. მაქსველი-6), სუასო-7.5 (78. იბრაჰიმოვიჩი-6), კრუსი-7.

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5.5, ბელინი-6, კაროციერი-6.5, კაპელი-5.5, თ. მანფრედინი-6 (69. ბელერი-6), პინტუ-5, ტისონე-6.5, გუარენტე-6, ლანჯელა-6 (57. პადოინი-6), კ. დონი-6, ფლოკარი-6.5 (79. ს. ინძაგი-6).

**გოლები:** 1:0 სუასო (10), 2:0 კრუსი (30), 2:1 ფლოკარი (39)

**გაძევება:** ს. ინძაგი (90. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9-14 (5-10); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 40 000

### კალიარი-მილანი 1:2

**კალიარი:** ფორტინი-5.5, ფერი-6.5, ლოპესი-6 (74. ბისერა-შ.გ), ბიანკო-6, აგოსტინი-6.5, ბონდინი-6, კონტი-6.5, პაროლა-6, ფოჯა-7 (87. ლარივეი-შ.გ), მატრი-6 (67. ფინი-6), აკვაფრესკა-6.5.

**მილანი:** დიდა-6, ოდო-5 (70. კაფუ-6), ნესტა-6.5, მალდინი-6, სერჟინიო-6, გატუზო-6 (80. ბროკი-შ.გ), პირლო-6.5, ამბროზინი-5.5 (58. ბონერა-6), კაკა-5, რონალდო-6, ჯილარდინო-6.5.

**გოლები:** 1:0 აკვაფრესკა (4), 1:1 ჯილარდინო (61), 1:2 პირლო (86)

*43-ე წუთზე კაკამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 12-17 (7-8); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 14 000

### რეჯინა-ფიორენტინა 0:0

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-6 (80. სტრავგაარდი-შ.გ), ვალდესი-6, არონიკა-6, ვიჯანი-7, მისიროლი-6 (88. ბარეტო-5), კაშონე-6, ჰალფრედსონი-7, მოდესტო-5, ჟოელსონი-6 (64. ჩერავოლო-6), ამორუზო-6.5.

**ფიორენტინა:** ფრეი-6, პოტენცა-6, გამბერინი-6.5 (79. ვანდენ ბორე-შ.გ), კროლდრუპი-6.5, ბალცარეტი-5, სემიოლი-6, დონადელი-6, პაციენცა-5.5, გობი-5, მონტოლივო-6 (89. კუჟმანოვიჩი-შ.გ), პაცინი-6 (75. ვიერი-შ.გ).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 21-31; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 5-14 (3-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 12 000

### უდინეზე-სიენა 2:0

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6, კოდა-6, ფელიპე-4.5, ლუკოვიჩი-6, ზაპოტოჩნი-5.5, ინლერი-6.5, გ. დ'აგოსტინო-5.5 (88. პინცი-შ.გ), დოსენა-6, პეპე-6 (49. ფერონეტი-6), კვალიარელა-6.5 (85. ფლორო ფლორესი-შ.გ), დი ნატალე-7.

**სიენა:** ელეფთეროპულოსი-5.5, ბერტოტო-6, პორტანოვა-5.5, ლორია-5.5, გრიმი-5, ალბერტო-5.5 (54. ფრიკი-5.5), ვერგასოლა-5.5, გალოპა-6, დე ჩელიე-6 (79. კორვია-შ.გ), ლოკატელი-6 (67. ფორესტიერი-5.5), მაკარონე-5.

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (42), 2:0 დი ნატალე (80)

**გაძევება:** ფელიპე (45. სიენა)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 16-12 (11-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 11 788

### ნაპოლი-კატანია 2:0

**ნაპოლი:** იეცო-6, კუპი-6.5, კანავარო-6, დომიცი-6, გრავა-6 (75. დარიში-6), ბლაზი-7, გარგანო-6.5 (84. ბოლიაჩინო-შ.გ), ჰამსიკი-6, სავინი-6, ლავეცი-6, სალაიეტა-7.5 (67. სოსა-5.5).

**კატანია:** პოლიტო-7, სარდო-5, სტოვინი-5, სოტილი-6 , საბატო-6, კოლუჩი-5 (46. ლამა-5), ედუსეი-5.5, ბაიოკო-6.5 (85. იცკო-შ.გ), მარტინესი-6 (85. მორიმოტო-შ.გ), სპინეზი-5, მასკარა-5.

**გოლები:** 1:0 სალაიეტა (43), 2:0 სალაიეტა (65)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18-8 (11-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 000

### ლაციო-პარმა 1:0

**ლაციო:** ბალოტა-6, დე სილვესტრი-შ.გ (26. სკალონი-6), სტენდარდო-6, სივილია-6, კორალოვი-6, ფირმანი-6.5, ლედესმა-5, კ. მანფრედინი-5.5, მეგნი-5.5 (65. მაური-6), პანდევი-5.5 (78. მაკინვა-შ.გ), როკი-6.

**პარმა:** ბუჩი-6, დ. ძენონი-6, ფალკონე-6 (78. პაჩი-შ.გ), ფერნანდო კოუტუ-6, კასტელინი-6, ჩიგარინი-6 (60. პარავიჩინი-6), მორონე-6, რეჟინალდო-5.5, გასბარონი-6, პიზანუ-6 (84. დესენა-), კორადი-5.5.

**გოლი:** 1:0 ფირმანი (90)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 24-13 (16-7); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 000

### ლივორნო-სამპდორია 3:1

**ლივორნო:** ამელია-6, ბალერი-6, გრანდონი-6, გალანტე-6, კნეჟევიჩი-6, პასკუალე-6, დე ვეცე-6, პულცეტი-6, ბერგვოლდი-6 (70. პავანი-6), ტავანო-7.5 (90. ე. ფილიპინი-შ.გ), დიეგო ტრისტანი-6.5 (70. ბოგდანი-6).

**სამპდორია:** კასტელაცი-7, კამპანიარო-5.5, სალა-6, ლუკინი-5.5, მაჯო-5.5, ვოლპი-6, დ. ფრანჩესკინი-6, ციგლერი-6 (54. პიერი-6), სამარკო-5.5 (63. ბონაცოლი-6), ბელუჩი-6, კარაჩოლო-5.5 (83. კალუ-შ.გ).

**გოლები:** 1:0 კნეჟევიჩი (8), 2:0 ტავანო (10), 2:1 ბელუჩი (81), 3:1 ტავანო (88)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 22-15 (11-8); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 9 000

### ემპოლი-ტორინო 0:0

**ემპოლი:** ბასი-7, ტოსტო-6, პრატალი-6.5, მარძორატი-6, რაჯი-5.5, აბატე-6 (62. ჯოვინკო-6.5), მარიანინი-6.5, მორო-6, ვანუკი-5.5, პოცი-5.5 (46. ანტონინი-6.5), საუდატი-5.5 (79. ვოლპატო-შ.გ).

**ტორინო:** სერენი-6.5, კომოტო-6.5, დი ლორეტო-6, დელაფიორე-6, ლანა-6, გრელა-6.5, ბარონე-5.5, კორინი-6.5, ვაილატი-6.5 (74. რეკობა-შ.გ), როზინა-6 (80. პ. ძანეტი-შ.გ), ვენტოლა-5 (72. ბელანოვიჩი-5).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-9); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 6 750

### იუვენტუსი-პალერმო 5:0

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, ზებინა-6, ლეგროტალიე-6.5, კრიშიტო-6, მოლინარო-6.5, კამორანეზი-6 (72. მარკიონი-6.5), ნოჩერინო-6, კ. ძანეტი-6, ნედვედი-6, იაკუინტა-7 (68. დელ პიერო-7), ტრეზეგე-6.5 (78. პალადინო-შ.გ).

**პალერმო:** ალიარდი-5, [illegible], [illegible], ბიავა-6, დიანა-5.5, სიმპლიციო-5, გუანა-5 (76. [illegible]-შ.გ), კაზერტა-5 (46. კავანი-6), მ. პიზანო-5.5, ბრიენცა-5 (62. ბრეშანო-5.5), ამაური-5.

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (29), 2:0 იაკუინტა (41), 3:0 დელ პიერო (71), 4:0 მარკიონი (75), 5:0 დელ პიერო (90-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 23-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 20-4 (12-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 12 | 8 | 4 | 0 | 24-8 | 28 |
| 2. იუვენტუსი | 13 | 7 | 3 | 2 | 29-13 | 25 |
| 3. რომა | 12 | 7 | 4 | 1 | 26-16 | 25 |
| 4. უდინეზე | 13 | 7 | 4 | 2 | 16-13 | 25 |
| 5. ფიორენტინა | 13 | 6 | 6 | 1 | 19-9 | 24 |
| 6. ნაპოლი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-15 | 18 |
| 7. ატალანტა | 12 | 4 | 6 | 2 | 16-15 | 18 |
| 8. პალერმო | 13 | 4 | 6 | 3 | 17-21 | 18 |
| 9. მილანი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-10 | 17 |
| 10. სამპდორია | 13 | 5 | 2 | 6 | 15-17 | 17 |
| 11. კატანია | 13 | 3 | 6 | 4 | 11-13 | 15 |
| 12. ტორინო | 13 | 2 | 8 | 3 | 13-14 | 14 |
| 13. ჯენოა | 13 | 3 | 5 | 5 | 12-18 | 14 |
| 14. ლაციო | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 15. პარმა | 13 | 2 | 6 | 5 | 15-22 | 12 |
| 16. ლივორნო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 17 რეჯინა | 13 | 1 | 7 | 5 | 9-18 | 10 |
| 18. ემპოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 7-19 | 10 |
| 19. სიენა | 13 | 1 | 6 | 6 | 12-20 | 9 |
| 20. კალიარი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-20 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კაკა (მილანი), ტოტი (რომა); 6 - ბორიელო (ჯენოა), კრუსი (ინტერი), კ. დონი (ატალანტა), იაკუინტა (იუვენტუსი), მუტუ (ფიორენტინა), ტავანო (ლივორნო), სალაიეტა (ნაპოლი); 5 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), ბელუჩი (სამპდორია), დელ პიერო (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), ჯილარდინო (მილანი).

## სერია B

### XVI ტური

**ასკოლი-მანტოვა 1:3**

**გოლები:** 0:1 კორონა (47), 0:2 გოდეასი (51), 1:2 პერული (89), 1:3 გოდეასი (90)

**გაძევება:** ჩეზარე (63. ასკოლი)

**აველინო-სპეცია 2:2**

**გოლები:** 0:1 გორძენიო (12), 1:1 მენგონი (26), 2:1 სალგადო (68), 2:2 გორძენიო (90)

**ბოლონია-ალბინოლეფე 1:0**

**გოლი:** 1:0 მარაცინა (11)

**ფროზინონე-გროსეტო 4:1**

**გოლები:** 1:0 ბოკეტი (36), 1:1 პაულინიო (46), 2:1 ლოდი (69), 3:1 ევაკუო (82), 4:1 დედიჩი (90)

**ლეჩე-რავენა 3:1**

**გოლები:** 0:1 კიანეზე (27-პენ), 1:1 ტირიბოკი (50), 2:1 დიამუტენი (63), 3:1 ფასანო (90-საკ. კარში)

**მოდენა-ბარი 3:0**

**გოლები:** 1:0 ოკაკა ჩუკა (9), 2:0 ოკაკა ჩუკა (28), 3:0 პინარდი (56)

**გაძევება:** პერნა (87. მოდენა)

**პიაჩენცა-მესინა 0:1**

**გოლი:** 0:1 ბიანკოლინო (17)

**რიმინი-ვიჩენცა 5:1**

**გოლები:** 1:0 რიკიუტი (13), 2:0 პაგანო (18), 2:1 რიგონი (19), 3:1 ჟედა (30), 4:1 ვანტაჯატო (73), 5:1 ვალიანი (90)

**ტრევიზო-ბრეშა 3:0**

**გოლები:** 1:0 კუადრინი (10), 2:0 ბეგეტო (38), 3:0 ბეგეტო (76)

**გაძევება:** რუოსოტო (90. ტრევიზო), ლიმა (90. ბრეშა)

**ტრიესტინა-ჩეზენა 2:1**

**გოლები:** 1:0 ალეგრეტი (8), 1:1 ტურატი (67), 2:1 ზგრინია (84)

**კიევო-პიზა 2:2**

**გოლები:** 0:1 კასტილიო (11-პენ), 1:1 იტალიანო (22), 2:1 ობინა (36), 2:2 კასტილიო (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბინოლეფე | 15 | 10 | 2 | 3 | 29-15 | 32 |
| 2. პიზა | 15 | 10 | 2 | 3 | 28-22 | 32 |
| 3. ბოლონია | 14 | 9 | 4 | 1 | 19-6 | 31 |
| 4. ლეჩე | 14 | 8 | 4 | 2 | 22-11 | 28 |
| 5. კიევო | 15 | 8 | 4 | 3 | 26-19 | 28 |
| 6. ბრეშა | 15 | 8 | 3 | 4 | 23-16 | 27 |
| 7. რიმინი | 15 | 7 | 4 | 4 | 25-17 | 25 |
| 8. ფროზინონე | 15 | 7 | 3 | 5 | 23-19 | 24 |
| 9. მანტოვა | 15 | 6 | 4 | 5 | 21-14 | 22 |
| 10. მოდენა | 15 | 6 | 4 | 5 | 23-19 | 22 |
| 11. ასკოლი | 14 | 6 | 3 | 5 | 22-16 | 21 |
| 12. მესინა | 15 | 5 | 4 | 6 | 12-19 | 19 |
| 13. ტრიესტინა | 15 | 4 | 5 | 6 | 20-27 | 17 |
| 14. გროსეტო | 15 | 4 | 5 | 6 | 12-20 | 17 |
| 15. პიაჩენცა | 15 | 5 | 1 | 9 | 12-20 | 16 |
| 16. სპეცია | 15 | 3 | 6 | 6 | 20-20 | 15 |
| 17. ბარი | 15 | 3 | 6 | 6 | 15-21 | 15 |
| 18. ტრევიზო | 15 | 4 | 1 | 10 | 14-23 | 13 |
| 19. აველინო | 15 | 3 | 3 | 9 | 14-22 | 12 |
| 20. რავენა | 15 | 3 | 3 | 9 | 18-29 | 12 |
| 21. ვიჩენცა | 15 | 2 | 6 | 7 | 16-27 | 12 |
| 22. ჩეზენა | 14 | 0 | 7 | 7 | 12-25 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - კასტილიო (პიზა); 11 - ჩელინი (ალბინოლეფე), ჟედა (რიმინი); 10 - გრანოკე (ტრიესტინა); 9 - გოდეასი (მანტოვა), ლოდი (ფროზინონე), სონჩინი (ასკოლი); 8 - ბრუნო (მოდენა), ჩერჩი (პიზა); 7 - გუიდეტი (სპეცია), პოსანცინი (ბრეშა), სუჩი (რავენა).

## სერია C1/A

### XV ტური

კავეზე-ლეკო 3:0; ჩიტადელა-მონცა 0:1; კრემონეზე-ფოლინიო 4:0; ფოჯა-ნოვარა 0:0; პრო სესტო-პადოვა 2:1; პროპატრია-მანფრედონია 3:0; სასუოლო-ლენიანო 2:2; ვენეცია-ტერნანა 2:0; ვერონა-პაგანეზე დღეს.

## სერია C1/B

### XV ტური

არეცო-სანჯოვანეზე 1:1; გალიპოლი-მარტინა 1:0; ლანჩანო-ლუკეზე 0:1; პერუჯა-იუვე სტაბია 0:1; პისტოიეზე-ანკონა 2:0; სალერნიტანა-პოტენცა 0:0; სამბენედეტეზე-მასეზე 0:0; სორენტო-პესკარა 1:0; ტარანტო-კროტონე 0:0.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIII ტური

# ბოიანის დღე

## კატალონიური გრანდის თინეიჯერმა ფორვარდმა ოცნება აისრულა



ბოიან კრკიჩი

**ლიონელ მესიმ** მორიგი შოუ შემოგვთავაზა. არგენტინელ ფორვარდს აფეთქება ოდნავ დაუგვიანდა, თუმცა როცა მთელი ძალით ჩაერთო თამაშში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსოფლიო ფეხბურთში დღეს-დღეობით ბადალი არ ჰყავს. „რეკრეატივოსთან" მატჩში მან მიმდინარე სეზონის მერვე გოლი შეაგდო, თუმცა ლეოს დამსახურება ამით არ ამოიწურება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მესიმ გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. უელველები მისი ცრუ მოძრაობებისა და დრიბლინგების წინაშე სრულიად უძლურნი იყვნენ. **ჟოზე ედმილსონის** სკანდალური განცხადების შემდეგ, რომელიც „ბარსელონის" შემადგენლობაში არსებულ დაქსაქულობას შეეხებოდა, ასეთი ერთსულოვნება კატალონიელ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გულზე მალამოდ მოეცხოთ...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში „ბარსას" თამაშმა ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა. ყველას გვახსოვს, რომ სანაკრებო პაუზამდე **ფრენკ რაიკაარდის** ბიჭებმა „ხეტაფესთან" 0:2 დათმეს და სპეციალისტების უკიდურესად კრიტიკული შეფასება დაიმასუხრეს. ინჩასებს იმედი ჰქონდათ, რომ ამით შეურაცხყოფილი ვარსკვლავები „რეკრეატივოსთან" მატჩში უპირატესობას საწყის 15 წუთში დაამტკიცებდნენ. დიახ, კატალონიელი ქომაგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი კუმირები ანდალუსიელ მოწინააღმდეგეს სადებიუტო ნაწილშივე მოუღებდნენ ბოლოს. მოლოდინი არ გამართლდა. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ პირველ ტაიმში „ბარსამ" ღირებული აბსოლუტურად ვერაფერი გააკეთა. მასპინძლები ძალიან სუსტად უტევდნენ, სტუმრები კი იოლად ახერხებდნენ საკუთარი კარის გოლისგან დაცვას. უელველებს **ვალდესის** შეწუხება სერიოზულად არც უცდიათ.

შესვენების შემდეგ კი სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. „ბარსელონა" შეტევაში შეუდარებლად გააქტიურდა. რაიკაარდი როგორც იქნა მიხვდა, რომ **ეიდურ გუდიონსენი** აბსოლუტურად ცარიელი ადგილი იყო და სარგებელი არ მოჰქონდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მის ნაცვალდ მოედანზე **ბოიან კრკიჩი** შეუშვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამით მან ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, „ბარსელონამ" მისთვის დამახასიათებელი თამაში სწორედ ამის შემდეგ გააჩაღა. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს **გაბრიელ მილიტომ** თავური დარტყმით კარში მიუჩინა ადგილი. ხაზგასასმელია, რომ სამხრეთამერიკელმა „ბარსას" მაისურით ცხოვრებაში პირველად იხეირა. მალე ახალგაზრდა ბოიანის ცხოვრებაშიც ისტორიული წამი დადგა. **ტიერი ანრის** დახმარებით მან „კამ ნოუზე" პირველი გოლი შეაგდო. ყრმაწვილმა ამ უდიდესი წარმატებით ძალიან გაიხარა. საგულისხმოა, რომ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მან დაუფარავად განაცხადა, ამჟამად ჩემი ყველაზე დიდი ოცნება, „კამპ ნოუზე" ბურთის შეგდებააო. ბოიანს ბედმა გაუღიმა და ნატვრა პირველივე დაპირისპირებაში აისრულა. შეხვედრის ბოლო გოლი მესის ანგარიშზე ჩაიწერა. ლეო არაერთი ულამაზესი დრიბლინგისა და გამოუყენებელი მომენტების შემდეგ ამ წარმატებას აშკარად იმსახურებდა. არგენტინელმა 11-მეტრიანი დარტყმა უზადოდ შეასრულა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე თავდაპირველად ფრანკ რაიკაარდი წარდგა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ძირითადად ბოიან კრკიჩის წარმატებაზე ისაუბრა: *„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, რომ ჩვენმა თინეიჯერმა ფორვარდმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. ხუმრობა არ არის, რომ 17 წლის ბიჭუნამ საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში შეაგდო. ვფიქრობ, შორს არ არის ის დღეს, როცა ბოიანი ძირიათად შემადგენლობაში დაიმკვიდრებს ადგილს. მიმაჩნია, რომ ეს არ გახლდათ შემთხვევითი გოლი. ბოიანმა ბურთი ფანტასტიკურად დაამუშავა. მან ეპიზოდი შესანიშნავად შეაფასა, მცველი ოსტატურად ჩამოიცილა და მეკარეს გამოზომილად დაურტყა. უდიდესი გამოცდილების მქონე ვეტერნი ფორვარდიც კი მოაწერდა ხელს ამ შედევრს. უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება, დამეთანხმებით, პირველ ტაიმში „რეკრეატივომ" ძალიან ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. სტუმრები ფაქტობრივად, 11 კაცით იცავდნენ თავს. ამ პირობებში საჯარიმოში შეღწევა და ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლა ძალიან ძნელია. მადლობა ღმერთს, მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა. უფრო სწრაფად ავთამაშდით. სტუმრები თავისუფალ სიცრეებს უწინდებურად ველარ აკონტროლებდნენ. სხვა არც არაფერი გვინდოდა. მესისა და სხვების ოსტატობის წყალობით უდიდესი უპირატესობა მოვიპოვეთ. ჩემი აზრით, დღევანდელ გამარჯვებას სრულიად დამსახურებულად მივაღწიეთ."*

რაიკაარდს, რა თქმა უნდა, **რონალდინიოს** არ ყოფნაზეც ჰკითხეს. მთავარმა მწვრთნელმა განმარტა, რომ ბრაზილიელი სანაკრებო თავგადასავლების გამო ძალიან დაღლილი იყო და შესაძლებლობების მინიმუმსაც ვერ გამოამჟღავნებდა. ამიტომ ჰოლანდიელმა მის ნაცვლად დასვენებული ეიდურ გუდიონსენი დააყენა. ისე საკითხავია, დასვენებული გუდიონსენი უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ არაქათგამოცლილი რონალდინიო? ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ისლანდიელს ისეთ გრანდში, როგორიც „ბარსელონაა" არაფერი ესაქმება.

„რეალი" „მურსიასთან" მატჩში, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებას უმიზნებდა, მაგრამ თამაში ისე წარიმართა, რომ სამეფო კლუბი ყაიმითაც კმაყოფილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ სტუმრებმა ანგარიში თამაშგარე მდგომარეობიდან გახსნეს. გუშინ დედაქალაქური გრანდის ყველაზე თავკადაკლული ესპანელი ჟურნალისტებიც აღიარებდნენ, რომ რობინიომ საგოლე დარტყმა სწორედ თამაშგარიდან შეასრულა. ზოგადად, ბრაზილიელი ვარსკვლავი უჩვეულოდ ინერტული გახლდათ. იმ დღეს მის გარდა, **რაული, რუუდ ვან ნისტელროი** და **გუტიც** ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ. ხოსე მარიამ საფინალო სასტვენამდე არცთუ დიდი ხნით ადრე სულაც წითელი ბარათი დაიმსახურა და საკუთარი გუნდი კაცნაკლული დატოვა. ამაზე დიდი დარტყმა სტუმრებმა მეორე ნახევრის დებიუტში მიიღეს, როცა **დე ლუკასმა** მცველების შეცდომით ისარგებლა და წონასწორობა აღადგინა. მადრიდელებს თამაშის გადასარჩენად 40 წუთზე მეტი ჰქონდათ, მაგრამ მათ ღირებული ვერაფერი გააკეთეს.

**ბერნდ შუსტერმა** ვაჟკაცურად აღიარა, რომ მის გუნდს შაბათს აბსოლუტურად არაფერი გამოუვიდა: *„აქ არავითარი გამართლება არ არსებობს. ჩვენ საზიზღრად ვითამაშეთ. სხვა ყველაფერი მეასეხარისხოვანია. დიახ, აბსოლუტურად ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ნორმალურად რომ გვეასპარეზა, „მურსია" ქულებს ვერ დაგვაკარგვინებდა. ძალიან უკმაყოფილო და სასოწარკვეთილი ვარ."*

„მალიორკამ" „სანჩეს პისხუანზე" ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. დიახ, კუნძულელებმა ანდალუსიელებს საკუთარ მოედანზე შარშანაც ძლიეს. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ გასულ წელს „სევილია" გაცილებით ძლიერი გუნდი იყო, თუმცა მრავალი პრობლემის მიუხედავად მათ ხელწამოსაკრავ კოლექტივად წელსაც არ მიიჩნევენ. **გრეგორიო მანსანოს** შეგირდებმა მთელი 90 წუთი შეუპოვარ ბრძოლაში განვლეს. პირველ ყოვლისა, **ხერმან ლუქსის** თავგანწირულ თამაშს უნდა გაესვას ხაზი. სტუმართა მეკარე რომ არა, „მალიორკა" არათუ სამ ქულას, არამედ ყაიმსაც ვერ ეღირსებოდა. თავად განსაჯეთ, მეორე ტაიმში ლუქსმა ექვსი ურთულესი დარტყმა მოიგერია.

### ბარსელონა-რეკრეატივო 3:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, გ. მილიტო, აბიდალი, ძამბროტა (65. ოლეგერი), პუიოლი (55. მარკესი), ჩავი, იაია ტურე, მესი, ინიესტა, ანრი, გუდიონსენი (60. კრკიჩი).

**რეკრეატივო:** სორენტინო, პამპა კალვო, მარტინ კასერესი, იაგო ბუსონი, პოლი, ხესუს ვასკესი, მარკიტოსი, კარლოს მარტინსი (60. საინოსი), აიტორი (68. ხავი გერერო), სინამა პონგოლე, კამუნასი (75. როსუ).

**გოლები:** 1:0 გ. მილიტო (63), 2:0 კრკიჩი (65), 3:0 მესი (81-პენ)

გაძევება: მარტინ კასერესი (57. რეკრეატივო)

გაფრთხილება: 2-4; დარტყმა: 19(7)-4(0); კუთხური: 13-2; თამაშგარე: 5-0; ჯარიმა: 12-12; ბურთის ფლობა: 72%-38%

### სევილია-მალიორკა 1:2

**სევილია:** პალოპი, ჰინკელი, ფასიო, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო, კეიტა, ხესუს ნავასი, პოულსენი (71. რენატო), დიეგო კაპელი (57. დე მული), კანუტე, ლუიშ ფაბიანო (46. ჩევანტონი).

**მალიორკა:** ლუქსი, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა, პერეირა, იონას გუტიერესი, იბაგასა (80. არანგო), ბორხა ვალერო (90+2. დავიდ ნავარო), გუისა (64. ვებო).

**გოლები:** 0:1 იბაგასა (16), 0:2 ვარელა (37), 1:2 კანუტე (49)

**გაძევება:** ვარელა (76. მალიორკა)

გაფრთხილება: 3-6; დარტყმა: 12(5)-4(4); კუთხური: 8-1; თამაშგარე: 2-0; ჯარიმა: 29-21; ბურთის ფლობა: 57%-43%

### მურსია-რეალი 1:1

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ დე კოსი, ოჩოა, პენია, არსო, მოვილია, აბელი (91. ბრუნო), რიჩი, დე ლუკასი, ანიგო (81. ივან ალონსო), ბაიანო (74. გოიტომი).

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, მარსელო, დიარა, გახო, გუტი, ვან ნისტელროი, რობინიო (76. რობენი), რაული (76. იგუაინი).

**გოლები:** 0:1 რობინიო (8), 1:1 დე ლუკასი (48)

**გაძევება:** გუტი (83. რეალი)

გაფრთხილება: 6-2; დარტყმა: 15(5)-7(2); კუთხური: 4-1; თამაშგარე: 2-7; ჯარიმა: 25-15; ბურთის ფლობა: 43%-57%

### ვილიარეალი-ალმერია 1:1

**ვილიარეალი:** ვიერა, ანგელ, სიგან, ფუენტეს, ცაპდევილა, პირეს (68. კანი), სენა, ბრუნო, ცასორლა (61. ფერნანდესი), ნიჰატი (76. ტომასონი), ფრანცო.

**ალმერია:** უცე (61. ხუანიტო), ნეგრედო (78. ნატალიო), ორტისი, მელო, ცრუსატი (90.აცასიეტე), სორიანო,მანე, პულიდო, გარცია, რეკარტე, კობენიო.

**გოლები:** 1:0 ნიტატი (13), 1:1: ნეგრედო (52).

**გაფრთხილება:** 6-4; **დარტყმა:** 11(3)-8(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 6-5; **ჯარიმა:** 25-27; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

### ატლეტიკო-ვალიადოლიდი 4:3

**ატლეტიკო:** ლეო ფრანცო, ვალერა, პაბლო, ცასტრო (58. ფორლანი), პერნია, გარსია, მანიკე, რეიესი (80. ხურადო), სიმაო (84.ელერი), აგუერო, როდრიგესი.

**ვალიადოლიდი:** ლორენტე, სესმა, ვიცტორი (86. კიკე), სისი (87. კომე), რუბიო, დორადო, მარცოს, კალვო, რაფა, ლოპესი, ბუტელი.

**გოლები:** 1:0 მანიკე (3), 1:1 ვიქტორი (40), 1:2 სისი (48), 2:2 მაქსი როდრიგესი (50), 2:3 ლორენტე (54), 3:3 მაქსი როდრიგესი (56), 4:3 პედრო ლოპესი (92).

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 17(11)-10(5); **კუთხური:**6-7; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 15-22; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

გაძევება: ვალერა (71).

### ლევანტე-ბეტისი 4:3

**ლევანტე:** სტორარი, დესკარგა, ბრუნო, სერანო, რუბიალესი, ტომასი (84. ალვარო), ფუეგო, ხუანმა (89. ბერსონი), სავიო, გეიჯო (77. პედრო ლეონი), რიგა

**ბეტისი:** პავონე, ცაფა (67. ჩისკო),სობის (72. ფერნანდო), ედუ, სომოსა, არსუ, ვეგა, ლიმა (45. რივასი), ხუანიტო, დამია, რიცარდო

**გოლები:** 0:1 არსუ (8), 0:2 ნდუ (24), 1:2 ტომასი (38), 2:2: როგა (40), 3:2 რიგა (49), 3:3: პავონე (51), 4:3 ხავი ფუეგო(80).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(7)-11(7); **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:**4-2; **ჯარიმა:** 13-29; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**გაძევება:** ხუანიტო (82).

### ოსასუნა-ესპანიოლი 1:2

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპისილუეტა, კრუჩაგა, ფლანო, კორალესი, ხ.გარსია (47. ველა), პუნიალი, ხუანფრანი (71. პლასილი), ფონტი, პანდიანი (56. პორტილიო), დადი.

**ესპანიოლი:** კამენი, როდრიგესი, ხარკე, ტორეხონი, ლაკრუსი (89. ჩიკა), ანხელი (77. ლოლა), ურტადო, რიერა (61. მოა), ვალდო, ლუის გარსია, ტამუდო.

**გოლები:** 0:1. ანხელი (30), 0:2. ვალდო (33), 1:2. პორტილიო (75).

გაფრთხილება: 1-3; დარტყმა: 12(4)-14(6); კუთხური: 6-3; თამაშგარე: 3-6; ჯარიმა: 18-15; ბურთის ფლობა: 56%-44%

### ბილბაო-დეპორტივო 2:2

**ბილბაო:** არანსუბია, ირაოლა, ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი, დ. ლოპესი (84. უსტარიტსი), ორბაისი, გაბილონდო, იესტე, ეჩებერია (70. სუასეტა), ლორენტე.

**დეპორტივო:** აუატე, პაბლო, ა. ლოპესი, კოლოჩინი, ბარაგანი (58. [illegible]), [illegible] გესი, დე გუსმანი, სერხიო, [illegible] ვერდუ, ჩისკო (85. ბოდიპო).

**გოლები:** 1:0. ბარაგანი (22. საკ. კარში), 2:0. დ. ლოპესი (53), 2:1. რიკი (62), 2:2. ტაბორდა (90).

გაფრთხილება: 3-5; დარტყმა: 12(3)-7(3); კუთხური: 4-0; თამაშგარე: 4-0; ჯარიმა: 24-23; ბურთის ფლობა: 47%-53%

### რასინგი-ვალენსია 1:0

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, ორიოლი, გარაი, ლ. ფერნანდესი, ხ. ლოპესი, დუშერი, კოლსა, სერანო (64. სმოლარეკი), ტჩიტე (76. აიოსე), მუნიტისი (84. ხორდი).

**ვალენსია:** კანისარესი, კანეირა, ელგერა, ალბიოლი, მიგელი, ალბელდა, მ. ფერნანდესი (68. ხოაკინი), ანგულო (75. მორიენტესი), ვისენტე (55. ედუ), სილვა, ვილია.

**გოლი:** 1:0. ხ. ლოპესი (70).

გაფრთხილება: 3-2; დარტყმა: 11(6)-6(3); კუთხური: 2-8; თამაშგარე: 7-5; ჯარიმა: 14-21; ბურთის ფლობა: 36%-64%

### სარაგოსა-ხეტაფე 1:1

**სარაგოსა:** სესარი, ვალერო, აიალა, პარედესი, ხუანფრანი, საპატერი, სელადესი (65. აიმარი), ს. გარსია, ოსკარი (65. დალესანდრო), ოლივეირა, დ. მილიტო.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ლიხტი, მარიო, დიასი, კორტესი, კასკერო, დე ლა რედი, სოუსა (79. პალიარდო), გრანერო (72. ერნანდესი)დელ მორალი, უჩე (86. ალბინი).

**გოლები:** 0:1. სოუსა (64), 1:1. დალესანდრო (80).

გაფრთხილება: 3-1; დარტყმა: 13(2)-20(10); კუთხური: 8-7; თამაშგარე: 1-1; ჯარიმა: 19-19; ბურთის ფლობა: 54%-46%

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 13 | 9 | 2 | 2 | 30-13 | 29 |
| 2. ვილიარეალი | 13 | 9 | 1 | 3 | 26-19 | 28 |
| 3. ბარსელონა | 13 | 8 | 3 | 2 | 26-10 | 27 |
| 4. ესპანიოლი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-14 | 25 |
| 5. ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 27-17 | 24 |
| 6. ვალენსია | 13 | 8 | 0 | 5 | 20-20 | 24 |
| 7. რასინგი | 13 | 6 | 5 | 2 | 11-9 | 23 |
| 8. მალიორკა | 13 | 5 | 4 | 4 | 23-20 | 19 |
| 9. სარაგოსა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-20 | 18 |
| 10. სევილია | 12 | 5 | 0 | 7 | 24-19 | 15 |
| 11. ხეტაფე | 13 | 4 | 3 | 6 | 14-16 | 15 |
| 12. ბილბაო | 13 | 3 | 5 | 5 | 12-16 | 14 |
| 13. მურსია | 13 | 3 | 5 | 5 | 9-14 | 14 |
| 14. ალმერია | 13 | 3 | 4 | 6 | 11-15 | 13 |
| 15. ვალიადოლიდი | 13 | 3 | 4 | 6 | 19-26 | 13 |
| 16. დეპორტივო | 13 | 3 | 4 | 6 | 12-19 | 13 |
| 17. ოსასუნა | 12 | 3 | 3 | 6 | 14-16 | 12 |
| 18. რეკრეატივო | 13 | 3 | 3 | 7 | 8-18 | 12 |
| 19. ბეტისი | 13 | 2 | 5 | 6 | 13-20 | 11 |
| 20. ლევანტე | 13 | 2 | 1 | 10 | 10-27 | 7 |

### II დივიზიონი

XIV ტური

**ელჩე-ალავესი 2:2**

გოლები: 0:1 რაული (3-პენ), 1:1 მიგელი (10), 1:2 გაბრი (57), 2:2 მარტი (85)

**ლას პალმასი-კორდობა 3:1**

გოლები: 1:0 ადრიანი (18-პენ), 2:0 ადრიანი (67), 3:0 კასანოვა (74), 3:1 არტურო (90)

**სელტა-ხიმნასტიკი 1:1**

გოლები: 0:1. კალიე (18), 1:1. რუბენი (90).

**ეიბარი-ჰერკულესი 0:3**

გოლები: 0:1. სესარი (4), 0:2. ხუანმა (71), 0:3 კამარა (89)

**ნუმანსია-გრანადა 0:2**

გოლები: 0:1. ლუის დიასი (9), 0:2. ფაგოაგა (82).

**ეხიდო-კასტელონი 1:0**

გოლები: 1:0. ტოდტილი (5)

**ფეროლი-სევილია A 1:1**

გოლები: 1:0. ჯონათანი (12), 1:1 პაბლო (15-პენ).

**სპორტინგი-კადისი 4:2**

გოლები: 1:0. მატეო (4), 1:1. კასასი (12), 2:1. მატეო (56), 3:1 მორანი (73), 4:1. კასტრო (78), 4:2. დანი (86).

**ხერესი-სალამანკა 1:1**

გოლები: 1:0. იორდი (1), 1:1. მარტინი (55).

**ალბასეტე-ტენერიფე 0:0**

**სოსიედადი-მალაგა 2:0**

გოლები: 1:0. არანბურუ (9), 2:0. მარტინესი (73)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 14 | 10 | 0 | 4 | 24-14 | 30 |
| 2. სპორტინგი | 14 | 8 | 3 | 3 | 23-12 | 27 |
| 3. ნუმანსია | 14 | 8 | 3 | 3 | 22-13 | 27 |
| 4. სევილია A | 14 | 6 | 6 | 2 | 15-12 | 24 |
| 5 ელჩე | 14 | 6 | 4 | 4 | 18-14 | 22 |
| 6 სელტა | 14 | 5 | 6 | 3 | 16-13 | 21 |
| 7 ჰერკულესი | 14 | 5 | 5 | 4 | 21-18 | 20 |
| 8 სოსიედადი | 14 | 5 | 5 | 4 | 14-13 | 20 |
| 9 ხიმნასტიკი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-15 | 19 |
| 10 სალამანკა | 14 | 5 | 4 | 5 | 21-19 | 19 |
| 11 ტენერიფე | 14 | 4 | 7 | 3 | 18-17 | 19 |
| 12 გრანადა | 14 | 5 | 4 | 5 | 16-16 | 19 |
| 13 კორდობა | 14 | 4 | 7 | 3 | 18-19 | 19 |
| 14 ეიბარი | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 15 კასტელიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 15-13 | 17 |
| 16 ფეროლი | 14 | 4 | 5 | 5 | 16-18 | 17 |
| 17 ალავესი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-18 | 16 |
| 18 კადისი | 14 | 4 | 3 | 7 | 10-15 | 15 |
| 19 პოლი ეხიდო | 14 | 4 | 3 | 7 | 13-24 | 15 |
| 20 ხერესი | 14 | 2 | 6 | 6 | 15-22 | 12 |
| 21 ალბასეტე | 14 | 2 | 4 | 8 | 8-16 | 10 |
| 22 ლას პალმასი | 14 | 2 | 3 | 9 | 13-25 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საფრანგეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| რენი-ლიონი | 0:2 |
| კაენი-ბორდო | 5:0 |
| ლანსი-ლორიანი | 1:1 |
| მარსელი-მეცი | 3:1 |
| ნანსი-ლილი | 2:0 |
| სტ. ეტიენი-სოშო | 1:0 |
| სტრასბური-ვალანსი | 0:0 |
| ტულუზა-მონაკო | 0:0 |
| ოსერი-ლე მანი | 3:0 |
| ნიცა-პსჟ | 2:1 |

### ჰოლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| ბრედა-როდა | 0:0 |
| ჰერენვეენი-გრააფსხაპი | 2:3 |
| ალკმაარი-ვილემი | 2:0 |
| ექსელსიორი-ეინდჰოვენი | 1:4 |
| ჰერაკლესი-ვენლო | 0:0 |
| აიაქსი-ვიტესი | 4:1 |
| გრონინგენი-ფეიენოორდი | 3:2 |
| უტრეხტი-ნიიმეგენი | 3:2 |
| სპარტა-ტვენტე | 1:1 |

**II დივიზიონი**

XVIII ტური

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-ეინდჰოვენი II | 5:2 |
| ემენი-კამბური | 2:0 |
| დენ ბოში-ვეენდამი | 4:0 |
| დორდრეხტი-აპელდოორნი | 1:1 |
| ვოლენდამი-როსენდალი | 1:1 |
| ფორტუნა-ცვოლე | 0:3 |
| იგლზი-ტოპ ოსი | 2:0 |
| ჰაარლემი-ომნივორლდი | 2:2 |
| ჰელმონდი-მაასტრიხტი | 2:2 |
| ვაალვიკი-ტელსტარი | 1:2 |

### ბელგიის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ჰევერლე | 2:3 დ.დ. |
| გენტი-ტინენი | 2:0 |
| ანდერლეხტი-ჰამე | 2:1 |
| შარლერუა-დაინცე | 3:0 |
| ბრიუგე-ფრანს ბორენი | 4:2 |
| ლოკერენი-ვაასლანდი | 1:0 |
| გენკი-ოლ. შარლერუა | 4:2 |
| სტ. ტრუიდენი-აალსტი | 1:2 |
| კორტრიიკი-მუსკრონი | 2:0 |
| მონსი-სტანდარდი (ვ) | 2:2 პენ. 3:2 |
| ოსტენდე-ვარეგემი | 0:3 |
| რუზელარე-ეუპენი | 4:1 დ.დ. |
| სტანდარდი-ლომელი | 3:0 |
| დენდერი-ვესტერლო | 4:1 |
| ბევერსხოტი-სტ. ჟილი | 1:0 |
| მეხელენი-სერკლი | დღეს |

### პორტუგალია

XI ტური

| | |
|---|---|
| ლეირია-ბრაგა | 0:0 |
| ლეიქსოეში-სპორტინგი | 1:1 |
| აკადემიკა-ბენფიკა | 1:3 |
| მარიტიმუ-ნავალი | 0:1 |
| ფერეირა-ნასიონალი | 1:0 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |
| ბელენენსეში-ამადორა | 0:0 |
| ბოავიშტა-გიმარაეში | დღეს |

**II დივიზიონი**

XI ტური

| | |
|---|---|
| სანტა კლარა-ვიზელა | 1:1 |
| ტროფენსე-ვარზიმი | 1:0 |
| ბეირა მარი-ფეირენსე | 0:0 |
| ავეში-ჟილ ვისენტე | 1:1 |
| ეშტორილი-რიუ ავე | 1:2 |
| ფრეამუნდე-ფატიმა | 2:1 |
| ოლანენსე-გონდომარი | 0:1 |
| პენაფიელი-პორტიმონენსე | 1:0 |

### შოტლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ფალკირკი-რეინჯერსი | 1:3 |
| სელტიკი-აბერდინი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-დანდი იუნ | 2:2 |
| ინვერნესი-სტ. მირენი | 1:0 |
| კილმარნოკი-მოზერველი | 0:1 |
| გრეტნა-ჰართსი | 1:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დანდი-ჰამილტონი | 1:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტენჰაუზმური-ფორფარი | 4:0 |

### შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| ეირდრი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1:5 |
| არბროა-კოუდენბითი | 0:1 |
| ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 1:1 |
| კლაიდი-მონროუზი | 2:0 |
| კოვე-ედინბურგი | 1:0 |
| კალტერი-ჰანტლი | 1:3 |
| დამბარტონი-ბირუიკი | 2:0 |
| მორტონი-ბაკი | 3:2 |
| ლინლითგოუ-დელბიტი | 1:0 |
| ლივინგსტონი-ალოა | 4:0 |
| პარტიკი-ეირი | 2:1 |
| პიტერჰედი-ქუინი | 0:5 |
| როსი-უაიტჰილი | 4:0 |
| სტრანრარი-სტირლინგი | 0:6 |
| თრივი-რეითი | 0:3 |

### ავსტრია

XX ტური

| | |
|---|---|
| ტიროლი-ლინცერი | 2:0 |
| მატერსბურგი-რიდი | 1:1 |
| შტურმი-ალტახი | 6:1 |
| ზალცბურგი-აუსტრია (ქ) | 1:1 |
| აუსტრია (ვ)-რაპიდი | 0:0 |

**II დივიზიონი**

XVIII ტური

| | |
|---|---|
| გრატკორნი-კაპფენბერგი | 0:2 |
| კერნტენი-პარნდორფი | 1:0 |
| ლეობენი-ბად ოსი | 0:2 |
| ზალცბურგი II-აუსტრია II | 2:1 |
| შვანენშტადტი-შვადორფი | 1:1 |
| აუსტრია (ლ)-ლუშტენაუ | 2:2 |

### დანია

XVII ტური

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 2:1 |
| რანდერსი-ლუნგბიუ | 2:2 |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 1:0 |
| ჰორსენსი-ვიბორგი | 1:1 |
| ესბერგი-ბრონდბიუ | 3:2 |
| ორჰუსი-ნორდსილანდი | დღეს |

### საბერძნეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ლევადია-არისი | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-ვერია | 1:0 |
| აპოლონი-ატრომიტოსი | 0:2 |
| ერგოტელისი-ასტერასი | 0:3 |
| პაოკ-პანიონიოსი | 3:1 |
| ქსანტი-ირაკლისი | 0:3 |
| აეკ-ოფი | 4:0 |
| ლარისა-პანათინაიკოსი | 2:2 |

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

გამოტოვებული მატჩები

| | |
|---|---|
| ვოლენი-კონკორდია | 0:0 |
| ფონდსი-დელემონი | 2:1 |

### შვეიცარიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 0:1 |
| ლოზანა-გოსაუ | 0:2 |
| ლუცერნი-ტუნი | 0:1 |
| ბელინცონა-სიონი | 2:1 |
| კიასო-იანგ ბოიზი | 0:1 |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 0:1 |
| კრინსი-ციურიხი | 0:3 |
| ნიონი-ივერდონი | 2:1 |

### თურქეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ისთანბული-დენიზლი | 0:2 |
| ოფთასი-ბეშიქთაში | 0:1 |
| ფენერბაჩე-ანკარა | 4:2 |
| ანკარაგიუჯუ-მანისა | 1:0 |
| ბურსა-ქონია | 1:0 |
| გაზიანთეფი-გენჩლერი | 2:2 |
| რიზე-ქასიმფაშა | 2:0 |
| სივასი-ქაისერი | 1:0 |
| ტრაბზონი-გალათასარაი | 0:1 |

### ხორვატია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ზაგრები-ჰაიდუკი | 1:0 |
| სიბალია-ინტერი | 2:0 |
| მედიმურიე-დინამო | 1:1 |
| ვარტექსი-შიბენიკი | 3:0 |
| ოსიეკი-ზადარი | 1:0 |
| სლავენი-რიეკა | 1:0 |

### ჩეხეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| სლავია-სიგმა | 0:0 |
| ბოლესლავი-ტეპლიცე | 1:1 |
| ბოჰემიანსი-ქლინი | 1:2 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2:0 |
| იაბლონეცი-პლზენი | 0:1 |
| მოსტი-ვიქტორია | 1:0 |
| ბრნო-სპარტა | 4:2 |
| კლადნო-ბანიკი | დღეს |

### უნგრეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| უიპეშტი-დებრეცენი | 1:1 |
| ფეჰერვარი-ზალაეგერსეგი | 2:0 |
| დიოში-დიოშდიორი | 5:1 |
| ნირეღიაზა-ვაშაში | 2:1 |
| პაკსი-შიოფოკი | 1:1 |
| რეაკ-კაპოშვარი | 1:1 |
| ტატაბანია-ჰონვედი | 4:3 |
| სოპრონი-მტკ | დღეს |

### პოლონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| გურნიკი-ვიძევი | 1:1 |
| კრაკოვია-ბელხატოვი | 0:2 |
| გროცლინი-ოდრა | 0:0 |
| იაგიელონია-რუხი | 1:1 |
| კორონა-ზაგლებე | 1:4 |
| ლკს-ლეხი | 1:2 |
| პოლონია-ლეგია | 1:2 |
| სოსნოვეცი-ვისლა | 1:3 |

### სერბეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-სმედერევო | გადაიდო |
| ბანატი-პარტიზანი | გადაიდო |
| მლადოსტი-ბეჟანია | გადაიდო |
| ნაპრედაკი-ბორაცი | გადაიდო |
| ოფკ-ვოივოდინა | გადაიდო |
| ცრვენა ზვეზდა-ჰაიდუკი | გადაიდო |

### სლოვაკეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| შენეცი-დუბნიცა | 2:1 |
| ბისტრიცა-მორავცე | 1:0 |
| კოშიცე-არტმედია | 0:1 |
| რუჟომბეროკი-სლოვანი | 0:2 |
| ტრნავა-ტრენჩინი | 6:0 |
| ნიტრა-ჟილინა | დღეს |

### სლოვენია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-ნაფტა | 1:1 |
| კოპერი-ლივარი | 4:0 |
| გორიცა-დომჟალე | 2:0 |
| დრავა-მარიბორი | 1:2 |
| პუბლიკუმი-პრიმორიე | 0:2 |

### უკრაინა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-მეტალურგი (დ) | 1:0 |
| არსენალი-დინამო | 0:1 |
| შახტარი-ნაფტოვიკი | 1:1 |
| ვორსკლა-ზაკარპატია | 2:0 |
| კარპატი-ტავრია | 4:0 |
| მეტალისტი-ზარია | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-კრივბასი | 1:1 |
| დნიპრო-ხარკოვი | 1:0 |

### არგენტინა

XVII ტური

| | |
|---|---|
| სან ლორენსო-ოლიმპო | 1:0 |
| ტიგრე-როსარიო | 2:1 |
| რასინგი-ინდეპენდიენტე | 0:0 |
| ნიუელსი-ბანფილდი | 1:0 |
| რივერი-კოლონი | 0:2 |
| ველესი-ხიმნასია (ლ) | 3:1 |
| სან მარტინი-ხიმნასია (ხ) | 3:2 |
| არსენალი-ბოკა | 2:1 |
| ესტუდიანტესი-ურაკანი | გვ. დასრულდა |
| ლანუსი-არგ. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |

### ბრაზილია

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა-გრემიო | 0:3 |
| ფლუმინენსე-ჟუვენტუდე | 3:2 |
| ინტერნასიონალი-პალმეირასი | 2:1 |
| სან პაულუ-ბოტაფოგო | 2:2 |
| ფლამენგო-ატ.პარანაენსე | 2:0 |
| პარანა-სანტოსი | 2:3 |
| რესიფე-კრუზეირო | 1:0 |

### ჩილე

XIX ტური

| | |
|---|---|
| ლა სერენა-აუდაქსი | 0:1 |
| უნ. ჩილე-კობრესალი | 3:0 |
| დ. კონსეპსიონი-უნ. ჩილე | 1:3 |
| ანტოფაგასტა-ლოტა | 2:1 |
| კობრელოა-უნ. ესპანიოლა | 3:2 |
| უაჩიპატო-მელიპილია | 2:3 |
| პალესტინო-კოლო კოლო | 0:1 |
| პუერტო მონტი-ო'ჰიგინსი | 3:0 |
| უონდერერსი-ატ. ნუბლენსე | 0:2 |
| უნ. კატოლიკა-კოკუიმბო | გვ. დასრულდა |

### ურუგვაი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბელა ვისტა-ხუვენტუდი | 0:1 |
| მირამარი-დეფენსორი | 0:2 |
| უონდერერსი-სენტრალი | 2:3 |
| რივერ პლეიტი-ფენიქსი | 1:1 |
| ტაკუარემბო-დანუბიო | 0:2 |
| პროგრესო-რამპლა | 2:2 |
| ლივერპული-სერო | 0:1 |
| ნასიონალი-პენიაროლი | 1:1 |

### მექსიკა

პლეიოფი

| | |
|---|---|
| გვადალახარა-სან ლუისი | 1:0 |
| ატლანტე-კრუს ასული | 2:1 |
| ტოლუკა-პუმასი | 1:1 |

### იაპონია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ტოკიო-ომიია | 1:2 |
| გამბა-კობე | 1:1 |
| კაშივა-კოფუ | 2:1 |
| კავასაკი-ჰიროშიმა | 3:0 |
| ნაგოია-იოკოჰამა | 0:0 |
| ოიტა-ივატა | 1:0 |
| შიმიცუ-იჩიჰარა | 2:2 |
| ურავა-კაშიმა | 0:1 |
| იოკოჰამა მარინოსი-ნიიგატა | 1:0 |

ლივერპული

# ბენიტესი უკმაყოფილოა

## ამერიკელი ინვესტორები მწვრთნელს მოახლოებული მატჩების მოგებას ურჩევენ, იანვრის ტრანსფერებზე საუბარი კი ჯერ არ სურთ...

„ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** უკმაყოფილოა. ამერიკელი ბოსები იანვრის ტრანსფერებისათვის ფულის გამოყოფას არ ჩქარობენ. ბენიტესი ეჭვობს, რომ ამ ადამიანებს არ ესმით სატრანსფერო ფანჯრის მნიშვნელობა. მწვრთნელის განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მერსისაიდელთა თანა-თავმჯდომარე **ტომ ჰიკსი**. მან ბენიტესს უკმეხად ურჩია, უფრო მეტი დრო დაუთმოს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჰყავს და ნაკლები იფიქროს ბაზარზე, რომელიც ერთი თვის შემდეგ გაიხსნება. „ნიუკასლთან" მოგებული მატჩის შემდეგ სენიორ რაფამ კიდევ ერთხელ გაიმეორა: *„მათ (თამჯდომარეებმა) უნდა გააცნობიერონ, რა ძნელია ევროპაში ფეხბურთელების შეძენა. მე მხოლოდ ამის ახსნას ვცდილობ. თუ მას ესმით, რა არის საფეხბურთო ბაზარი, მაშინ იმასაც მიხვდებიან, რომ მე კლუბის კეთილდღეობაზე ვზრუნავ."*

„ლივერპულის" ბოსები სპორტში კარგად ჩახედული ადამიანები არიან. **ჯორჯ ჯილეტი** ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „მონრეალ კანადიენსის" მფლობელია, ტომ ჰიკსი - ბეისბოლის ეროვნულის ლიგის კლუბ „ტექსას რეინჯერსის". მათ მერსისაიდული გრანდი მარტში შეიძინეს. ჯილეტისა და ჰიკსის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ იანვრის ტრანსფერებზე მხოლოდ მას შემდეგ იმსჯელებენ, როცა ლივერპულს ესტუმრებიან. ეს კი დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდება. მომდევნო სამი კვირის განმავლობაში ბენიტესი მათთან გასაუბრებას ვერ მოახერხებს. შესაბამისად. არც ის ეცოდინება, თუ რა თანხის დახარჯვა შეეძლება. გასულ ზაფხულს „ლივერპულმა" ტრანსფერებში 103 მილიონი დოლარი გადაიხადა. კლუბმა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი შეიძინა, მათ შორის, მადრიდის „ატლეტიკოსა" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი**. გუნდს 13 ტურის შემდეგ 27 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზე იმყოფება. ის ლიდერ „არსენალს" ექვსი ქულით ჩამორჩება.

გუშინ „ლივერპულ ექომ" ტომ ჰიკსის უფრო ვრცელი კომენტარი გამოაქვეყნა. აი, ისიც: *„ათენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, რაფამ გარკვეული მოთხოვნები წამოგვიყენა. ჩვენ თითოეული მოთხოვნა გავითვალისწინეთ. ზაფხულის ტრანსფერებისას ახალ ფეხბურთელებში უფრო მეტი ფული დავხარჯეთ, ვიდრე ამ კლუბს ოდესმე ერთი თვის განმავლობაში დაუხარჯავს. იანვრამდე პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში რამდენიმე პრინციპული მატჩი გვაქვს. გვაინტერესებს, გავიმარჯვებთ თუ არა იმ ფეხბურთელებით, რომლებიც აგვისტოში შევიძინეთ. რაფას სწორედ ეს მესიჯი გავუგზავნეთ. მას ვუთხარით, რომ უკეთესი იქნებოდა, მოახლოებულ თამაშებზე გვეფიქრა, ტრანსფერებზე კი მაშინ გვესაუბრა, როცა მე და ჯორჯი ლივერპულში ჩავიდოდით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლა მატჩების მოგების დროა და არა ტრანსფერებზე საუბრის. ამისთვის უბრალოდ არ ვცალია."*



რაფა ბენიტესს კლუბის მფლობელებთან პრობლემები აქვს

## ბექჰემი ავსტრალიაში

„ლოს ანჯელეს გალაქსი" სიდნეიში ჩავიდა. **დევიდ ბექჰემი** თანაგუნდელებს ინგლისიდან შეუერთდა. მან ლონდონიდან კერძო თვითმფრინავით იმგზავრა. „გალაქსის" ფეხბურთელებმა ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით ისარგებლეს. ამერიკელი სტუმრები „კაზინო ოტელში" გაჩერდნენ. განსხვავება ბექჰემსა და სხვა მოთამაშეებს შორის აქაც თვალშისაცემია. ინგლისელი გალაქტიკო საპრეზიდენტო აპარტამენტში იცხოვრებს, სხვები - ჩვეულებრივ ნომრებში. შედარებისათვის, საპრეზიდენტო ნომერი 5 250 დოლარი ღირს, ჩვეულებრივი კი 235 დოლარი. ბექჰემი ამ ტურნეს საკვანძო ფიგურაა. ხვალ სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე „გალაქსისა" და საფეხბურთო კლუბ „სიდნეის" საჩვენებელი მატჩი გაიმართება. 80 ათასი ბილეთი გაყიდულია. გაყიდულია იმიტომ, რომ ორგანიზატორებმა მაყურებელს დევიდ ბექჰემთან შეხვედრა აღუთქვეს. წინასწარი ინფორმაციით, საგანგებოდ ამ შეხვედრისათვის სიდნეელებმა ერთმატჩიანი კონტრაქტი გაუფორმეს **ზინედინ ზიდანს**, თუმცა გუშინდელ ცნობებში ზიდანი არსად იყო ნახსენები.

ავსტრალიაში ეს-ესაა საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მოქმედმა პრემიერ-მინისტრი დამარცხდა. ადგილობრივი მედიის მთელი ყურადღება პოლიტიკურ ამბებზეა გადატანილი, მაგრამ „გალაქსის" სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა - ისევ და ისევ ბექჰემის ფაქტორის გამო. დევიდი სიდნეის საზოგადოების წინაშე პირველად გუშინ წარდგა. ის მთავარ მწვრთნელ **რუუდ გულიტთან**, აგრეთვე „გალაქსის" ლიდერებთან, **ლენდონ დონოვანსა** და **ჯონ კოსმინასთან** ერთად პრესკონფერენციას დაესწრო. ბექზმა მიმომხილველებსა და გულშემატკივრებს თბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადა. ხუთშაბათს „გალაქსი" ახალ ზელანდიაში გაემგზავრება. შაბათს ველინგტონის „ფინიქსთან" მეორე ამხანაგური მატჩია დაგეგმილი.

## სანიოლი ტრანსფერზე

**ვილი სანიოლმა** „ბაიერნი" შოკში ჩააგდო. ფრანგმა მცველმა ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. ფეხბურთელი ეს-ესაა, გამოჯანმრთელდა. მუხლის ტრავმის გამო მას შვიდი თვე გაუცდა. ერთი კვირის წინ სანიოლმა სრული დატვირთვით განაახლა ვარჯიში, მაგრამ ამ უქმეებზე „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ (2:1) არ უთამაშია. გუშინ ვილი ტელეკომპანია ZDF-ს განუცხადა: *„კლუბს რამდენიმე კვირის წინ ვუთხარი, რომ იანვრის ტრანსფერებისას წასვლა მინდა."* მიუნხენურ გიგანტს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. არც სანიოლს დაუკონკრეტებია, რატომ გადაწყვიტა „ბაიერნიდან" აბარგება. 30 წლის მცველი „ბაიერნში" 2000 წელს „მონაკოდან" გადავიდა. მან ბუნდესლიგაში 175 მატჩი ჩაატარა. მისი კონტრაქტი 2010 წელს იწურება. „ბაიერნის" კაპიტანმა ოლივერ კანმა გაკვირვება ვერ დამალა: *„არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა ვილის, მაგრამ მე მგონია, რომ ხანგრძლივი ტრავმის დროსაც კი არ უნდა შეიშალო ჭკუიდან."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუმო



კოკაი რამდენიმე საფეხურით დაწინაურდება

# მისია შესრულებულია

## სამივე ქართველმა წინ წაიწია

ზედიზედ სამი უარყოფითი ბალანსის შემდეგ ქართველმა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ნოემბრის ბაშო კარგი შედეგით (9-6) დაასრულა, რისი წყალობითაც ის აუცილებლად წაიწევს რეიტინგში. კუნძულ კიუშუს ბაშო ქართველთათვის იღბლიანი გამოდგა - კოკაიმ დივიზიონშიც შეინარჩუნა ადგილი და წინსვლაც გაინაღდა, რითაც ყოფილმა კომუსუბიმ ყველას მიანიშნა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია, მესამე დივიზიონში მოასპარეზე **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** მეორე ელიტური დივიზიონის საგზური მოიპოვა, ხოლო მეოთხეში გავარდნილი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** მესამეში დაბრუნდა.

კოკაიმ ჯერ ოკურიდაშით აჯობა მეათე მაეგაშირა **ჰოკუტორიკის**, შემდეგ კი ჩვეული ოშიდაშით დაამარცხა **ტაკეკაძე**. კოკაიმ 9 მოგება მოაგროვა და შვიდ რიკიშისთან ერთად ბაშოზე მეცხრე ადგილი გაიყო.

მეოთხე დივიზიონ სანდანმეში ბოლო ბრძოლაც მოიგო გაგამარუმ, ქართველმა იორიკირით **ტაციუტაკა** დაამარცხა და 6-1 ბალანსი დააგროვა, რაც სავსებით საკმარისია მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დასაბრუნებლად. რაც შეეხება ტოჩინოშინს, მან ადრევე დაასრულა ბაშო 5-2 ბალანსით და ძურიოს დივიზიონში გათავისუფლებული ხუთი ადგილიდან ერთ-ერთი დაიკავა.

ბაშოს გადამწყვეტი ბრძოლა შაბათს გაიმართა, იოკოძუნა **ჰაკუჰომ** ოძეკი **ჩიოტაიკაი** დაამარცხა, თანაც ისე რომ იაპონელმა ტრავმა მიიღო და ბოლო დღეს გამოსვლა ვერ შეძლო. ამით ყველაფერი მორჩა, მონღოლმა ჰაკუჰომ ბოლო დღეს წააგო ორთაბრძოლა, მაგრამ მაინც გახდა იმპერატორის თასის მფლობელი, ამისთვის მას 15-დან 12 ბრძოლის მოგებაც ეყო. 22 წლის **მუნხბათ დავააჯარგალმა** იგივე ჰაკუჰომ თასი მეხუთედ მოიპოვა. უნდა ავღნიშნოთ, რომ ზედიზედ ორი ბაშოა ჰაკუჰო უფრო იმის გამო იგებს, რომ მისი თანამემამულე დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** დისკვალიფიცირებულია. იანვარში ასაშორიუ დაბრუნდება და მათ შორის ნამდვილი ბრძოლის მომსწრენი გავხდებით. 11 მოგებით დაასრულეს ბაშო ჩიოტაიკაიმ და მე-16 მაეგაშირა **ბარუტომ**. ესტონელმა მებრძოლი სულის პრიზიც მიიღო. სხვა პრიზები ერგოთ **ამას** (ბრწყინვალე ასპარეზობა) და კომუსუბი **კოტოშოგიკუს** (ტექნიკური რიკიში). სუმოს ახალი რეიტინგი ყველა დივიზიონში 20 დეკემბერს გამოქვეყნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

XIV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-ჰოკუტორიკი (ოკურიდაში), ჰაკუჰო-ჩიოტაიკაი 1:0, კაიო-კოტომიცუკი 1:0, ტაკეკაძე-ასასეკირიუ 1:0, ამინიშიკი-კიოკუტენჰო 1:0, გოეიდო-კოტოშოგიკუ 1:0, ამა-ბარუტო 1:0, კისენოსატო-მიაბიამა 1:0, ჰომაშო-ჰაკუროძანი 1:0, დეჯიმა-ტოიოჰიბიკი 1:0, ტოკიტენკუ-ვაკაკირინი 1:0, კასუგაო-კაკურიუ 1:0, ტოჩინონადა-ტოიონოშიმა 1:0, როჰო-ვაკანოსატო 1:0.**

XV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-ტაკეკაძე 1:0 (ოშიდაში), კოტომიცუკი-ჰაკუჰო 1:0, კაიო-ჩიოტაიკაი 1:0, ამინიშიკი-ასასეკირიუ 1:0, ამა-ვაკანოსატო 1:0, კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი 1:0, კიოკუტენჰო-ჰომაშო 1:0, მიაბიამა-გოეიდო 1:0, კისენოსატო-ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა-დეჯიმა 1:0, კაკურიუ-იოშიკაძე 1:0, კაკიძოეკასუგაო 1:0, ბარუტო-ტოჩინონადა 1:0, ვაკანოჰო-ფუტენო 1:0, ვაკაკირინი-ჰოკუტორიკი 1:0, როჰო-ტოჩიოძანი 1:0.**

საბოლოო მდგომარეობა. 12-3: **ჰაკუჰო (იოკოძუნა); 11-4: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ბარუტო (მაეგაშირა 16); 10-5: კოტომიცუკი (ოძეკი), ამა (კომუსუბი), დეჯიმა (მ 2), როჰო (მ 12), ვაკაკირინი (მ 15); 9-6: კაიო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (კომუსუბი), კისენოსატო (მ 2), ტოკიტენკუ (მ 3), ტოიონოშიმა (მ 4), კოკაი (მ 13), ვაკანოჰო (მ 13), კაკიძოე (მ 14)**

**ტიტულები**

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მეხუთედ)
ბრწყინვალე ასპარეზობა: ამა (მეორედ)
მებრძოლი სული: ბარუტო (მეორედ)
ტექნიკური რიკიში: კოტოშოგიკუ (მეორედ)
ძურიოს ჩემპიონი: საკაიძავა (პირველად)



ჰაკუჰო იმპერატორის თასით

## რაგბი

LOYALCAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank

# ფულკიე 4 წლით ჩვენთან რჩება...

## თუმცა, 5 იანვრის არჩევნებს უნდა დაველოდოთ

საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები საყოველთაო აღიარებით ფიზიკურად უზადოდ იყო მომზადებული, რაც ფრანგი ფიტნეს-მწვრთნელის ნიკოლა ფულკიეს დამსახურებაა. ფრანგი სპეციალისტი ამჟამად თბილისში იმყოფება და რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს.



ნიკოლა ფულკიე

- რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან მომდევნო ოთხი წლის მანძილზე თანამშრომლობის დეტალებს განვიხილავთ. - გვიამბობს ნიკოლა ფულკიე. - წინასწარი შეთანხმების თანახმად მე არა მარტო ეროვნულ ნაკრებთან ვიმუშავებ - ჩემს მოვალეობაში იქნება ყველა ასაკის ნაკრებების ფიზიკური კონდიციების ამაღლება, ასევე ფიზმომზადების მწვრთნელების მომზადება, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.

**- კონტრაქტზე ხელი უკვე მოაწერეთ?**

- არა, ჯერ არ მოგვიწერია. მოგეხსენებათ, ყველაფერი რაც ზემოთ აღვნიშნე, ფინანსებთანაა დაკავშირებული. თქვენ ქვეყანაში ახლა გარკვეული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა მოხდება 5 იანვრის შემდეგ. იმედია, ის დაპირებები, რაც ხელისუფლების მხრიდან გაჟღერდა, დაპირებად არ დარჩება.

**- მაინც რატომ გადაწყვიტეთ დაუკავშიროთ, თანაც ოთხი წლით, თქვენი სამწვრთნელო კარიერა საქართველოს ნაკრებს?**

- ნელ-ნელა შემიყვარდა ქართული სული, ქართველი მორაგბეები. მათ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. საქართველო რაღაცით ზელანდიას მაგონებს. რაგბი აქაც ძალზედ მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა, რისი მიზეზიც ფესვებშია საძებნი. ავიღოთ თუნდაც ლელობურთი. ჩანს, რომ ეს თამაში ქართველებს გენში გაქვთ გამჯდარი. ხომ ნახეთ საფრანგეთში, პატარა ნამუშევარმა რა შედეგიც მოიტანა. დარწმუნებული ვარ, როცა ტაქტიკის, ტექნიკის და ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე საფუძვლიანად ვიმუშავებთ, საქართველო დიდი სარაგბო ქვეყანა გახდება.

მინდა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გავუსვა ხაზი. პროფესიონალიზმის დამკვიდრებით ფრანგულმა რაგბმა რაღაც თავისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური დაკარგა. ადრე ფეხბურთს ვაკრიტიკებდით. გვეგონა, რომ რაგბიში ფულის შემოსვლით იგივე შეცდომებს არ გავიმეორებდით. კლუბებში ძალიან ბევრ უცხოელს იწვევენ, გუნდის ხელოვნურად გასაძლიერებლად, ფრანგები კი ზარმაცები არიან - ვარჯიშზე ისე დადიან, როგორც სამსახურში. ძალიან მინდა, იგივე საქართველოში არ მოხდეს, მინდა ხელი შევუწყო იმას, რომ ის სული, ხალი რაც ქართველ მორაგბეებს გულში აქვთ, არ ჩაქრეს, კიდევ უფრო გაღვივდეს.

**- როგორ შეიძლება იმის თავიდან აცილება, რაც საფრანგეთში მოხდა?**

- საფრანგეთში პრობლემა ისაა, რომ კლუბები უწინარესად ფიქრობენ როგორ გააკეთონ რაც შეიძლება სწრაფად ფული. ვარჯიშს, სამწვრთნელო პროცესს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. მაგალითისთვის პირველხაზელებთან დაკავშირებული პრობლემაც კმარა. საფრანგეთში ამ პოზიციაზე დეფიციტია. ამიტომაცაა, რომ კლუბები აფრიკელ, არგენტინელ და ქართველ პირველხაზელებს იწვევენ. პროფესიულ რელსებზე გადასვლამ რაგბი ბიზნესთან დააკავშირა, ბიზნესმენები კი სარაგბო მენტალიტეტს არ იცნობენ. ისინი უკუგებაზე არიან ორიენტირებული, რითაც რაგბს თავის ფასეულობებს უკარგავენ.

საქართველოში რაგბის განვითარებას ძალიან დიდი ფული ჭირდება. სასურველი მოიძებნოს ოქროს შუალედი, რომ ფინანსურმა ინტერესებმა რაგბის პენი, ურთიერთობა, ჯიგარი არ ჩაყლაპოს. ქართულ რაგბს ამ მიმართულებით ბრძოლა ჯერ კიდევ წინ აქვს.

**- როგორი გუნდია თქვენი შეხედულებებით საქართველოს ნაკრები?**

- საქართველოს ნაკრების მორაგბეების სათამაშო დონე ძალიან განსხვავებულია. ისინი სხვადასხვა საკლუბო დონეზე თამაშობენ, სხვაა ფიზიკური კონდიციებიც. ქართველები ღონიერი, ძლიერი ბიჭები არიან, ტექნიკის კი რა მოგახსენოთ. შერკინების მოთამაშეები ელიტარულ დივიზიონში თამაშობენ საფრანგეთში, უკანა ხაზელები კი ფედერალურ დივიზიონებში. შესაბამისად შერკინებაც უკეთესია.

სამომავლოდ ერთ-ერთი მიზანი თამაშის ტექნიკური დონის ამაღლება უნდა იყოს. დღესდღეობით საქართველოს ნაკრები უპირატესობას ძალისმიერ, შერკინებით თამაშს ანიჭებს. არადა, გუნდის თამაში დინამიური, დაბალანსებული უნდა იყოს. უკანა ხაზი აუცილებლად უნდა ამოქმედდეს.

საქართველოს ნაკრები შეიძლება არგენტინის გუნდს შევადაროთ. სხვათა შორის, ძალიან ბევრი გაქვთ საერთო, ოღონდ ისინი დღესდღეობით ერთი ნაბიჯით წინ არიან. რამდენიმე წლის წინ არგენტინელებიც ქართველებივით, მხოლოდ შერკინებით თამაშობდნენ. მერე უკანა ხაზიც აათამაშეს და რასაც მიაღწიეს, ყველამ ნახა. ვფიქრობ, იგივეს მიღწევა საქართველოს ნაკრებსაც შეუძლია.

**- ესე იგი 2011 წელს ზელანდიაში მესამე ადგილზე გავალთ?**

- (იცინის) არა, ზელანდიაში საქართველო პირველი იქნება, არგენტინა მეორე, ხოლო ზელანდიელები მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდებიან.

**- ზემოთ აღნიშნეთ, რომ ნელ-ნელა ქართული სული, ჩვენი მორაგბეები შეგიყვარდათ. თუ შეიძლება აგვიხსნათ რის გამო?**

- პირველ რიგში რაც მომეწონა ქართველი მორაგბეების ვარჯიშებისადმი დამოკიდებულება იყო. ისინი მთელი მონდომებით, თავდაუზოგავად შრომობდნენ. ძალიან მოსწონდათ, რასაც ვაკეთებინებდი და თვითონაც ხელს მიწყობდნენ მუშაობაში.

მერე რაც მსოფლიო თასზე ვნახე სულ მთლად გადამრია. პირველივე თამაშში არგენტინასთან ქართველებმა გასაოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. ირლანდიასთან თამაში ხომ ფანტასტიკა იყო - ეს უდიდესი სარაგბო ქვეყანა მოედანზე ქართველ მორაგბეებს ვერაფერს უხერხებდა. თამაშს რომ ვუყურებდი, პარალელი თქვენი ქვეყნის ისტორიასთან გავავლე. თქვენ ხომ მთელი ისტორიის მანძილზე გამუდმებით ებრძოდით მტრებს. საქართველოს ნაკრების ბიჭებში სწორედ ის თავდადებული გმირები დავინახე, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ, თვალისდაუხამხამებლად სწირავდნენ თავს სამშობლოს. თანაც ქართველი მორაგბეები პიროვნულად ძალიან ძლიერი, კეთილი, კარგი ადამიანები არიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

## ფინალში დამარცხდა

20 წლის **ნოდარ ითონიშვილი** კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვებისგან ერთ ნაბიჯზე იყო - ის ბარსელონას ტურნირის (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგის ფინალში იყო გასული მაროკოელ **იუნეს რაშიდისთან** ერთად. ბარსელონას თიხნარზე მათი მეტოქეები იყვნენ არგენტინელი **დიეგო ალვარესი** (416) და ბერძენი **ალექსანდრ იაკუპოვიჩი** (694), ეს დუეტი ტურნირში მეოთხე ნომრად იყო განთესილი, ითონიშვილი და რაშიდი კი განუთესავები იყვნენ. ფინალში ქართველი და მაროკოელი დამარცხდნენ - 3:6, 3:6. ერთეულთა თანრიგში ნოდარმა საკვალიფიკაციო ბადის გავლით მერვედფინალში დაასრულა ასპარეზობა. ქალთა ტურნირში (10 ათასი დოლარი) სამი ჩვენებური გამოდიოდა, რომელთაგან ყველაზე შორს (მეოთხედფინალში) **მანანა შაფაქიძემ** გააღწია.

ესპანეთში ვალ დე უხოში მორიგი საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი) დაიწყო. ჯერ საკვალიფიკაციო ბრძოლებია, სადაც **მაგდა ოქრუაშვილი** ასპარეზობს. პირველ წრეში მაგდას დასვენება მოუწია, მეორე წრეში მისი მეტოქე ესპანელი **კაროლა გონსალესი** იქნება. ამ ტურნირის ძირითად ბადეში მანანა შაფაქიძე და **სოფიო ქვაცაბაია** ითამაშებენ.

## გორგოძემ კარგად დაიწყო

ამერიკაში 18-წლამდელთა პირველი კატეგორიის ტურნირი მდიმდანრეობს - ედი ჰერის საერთაშორისო შეჯიბრება. გოგონათა საკვალიფიკაციო ბადეში **ეკა გორგოძე** თამაშობს. ეკამ პირველ წრეში **ნადია ჯილკრისტი** დაამარცხა - 2:6, 6:3, 6:4. მეორე წრეში მისი მეტოქე **ნასიმ ესლამი** იყო, ქართველმა აქაც იმარჯვა - 6:2, 6:3. მესამე წრეში ეკა **ჯესიკა ალექსანდერს** შეხვდება. ედი ჰერის ტურნირი სხვა ასაკებშიც იმართება, 16 წლამდელ გოგონათა საკვალიფიკაციო წრეში **ნონა მოწყობილი** თამაშობდა, რომელმაც პირველივე წრეში წააგო **კრისტინა ენგელბერზთან** - 6:2, 5:7, 5:7. ტურნირის ძირითად ბადეში **თინათინ ჩხარტიშვილი** და **მარი სამადაშვილი** ითამაშებენ. ბიჭებში (16 წლიანები) **შოთა პაიჭაძე** პირველ საკვალიფიკაციო მატჩში დამარცხდა **მარტინ პრიკრილთან** - 6:3, 1:6, 6:2:6. ძირითად ბადეში ითამაშებს **ნიკოლოზ ბასილაშვილი**.

საქართველოს ჩემპიონატი

## არმაზი დარჩა

საქართველოს ჩემპიონატის გადასასვლელ შეხვედრაში "არმაზსა" და "აკადემიას" შორის საპასუხო შეხვედრა გაიმართა. თამაში პირველი ლიგის მეორეადგილოსანი "აკადემიის" გამარჯვებით 12:6 დასრულდა, თუმცა ეს აკადემიელებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად, ვინაიდან პირველი შეხვედრა მათ 7 ქულით, 8:15 დათმეს. "არმაზმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

**საქართველოს ჩემპიონატი**
26 ნოემბერი. ფინალი
19.00 ლელო-ყოჩები ვაკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილოცვა



# რომან რურუა 65 წლისაა

ბატონო რომან,

გვაქვს პატივი, თქვენი დაბადებიდან 65 წლის გამო, სულითა და გულით მოგესალმოთ და მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე ქართული სპორტის, ქართული და მსოფლიოს საჭიდაო სამყაროს ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს. თქვენმა უნიკალურმა მიღწევებმა და ასპარეზობების თქვენეულმა სტილმა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, ორთაბრძოლის ამ უძველეს სახეობას, შემატა მომხიბვლელობა, არტისტიზმი და, რაც მთავარია, აამაღლა მისი ავტორიტეტი.

თქვენი სახელი აიტაცა ახალგაზრდა თაობამ, მათთვის გახდით სპორტსა და ცხოვრებაში ზნეობრივი მაგალითი, მისაბაძი პიროვნება. აკი გაჰყვა კიდეც თქვენს სახელოვნად გაკვალულ გზას თაობები და ახალ-ახალი მიღწევებით გაამდიდრეს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიო სპორტი. დიდი მადლობა იმისათვის, რომ დღესაც მხნედ და შემართებით დგახართ ქართული სპორტის სამსახურში. ტრიალებთ ქართულ საჭიდაო თემში, რომელსაც ესოდენ მაღალი ავტორიტეტი აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,*
*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,*
*საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია,*
*საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი.*

ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი და რობერტ შავლაყაძე დაბადებიდან 60 წელს ულოცავენ ოლიმპიურ ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ანტიკურ ჭიდაობაში რომან რურუას.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წელს ულოცავს ვეტერან ხელბურთელს, სსრკ თასის მფლობელს და არაერთგზის პრიზიორს, სსრკ სტუდენტურ ნაკრებში მრავალი ტურნირის მონაწილეს, შემდგომში მწვრთნელს გიორგი ბერიაშვილს.

## თარიღი

**რომან რურუა.** დაიბადა 25.11.1942, მუხურჩა, მარტვილი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (63 და 68 კგ). 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1966, 67, 69, 70). სსრკ ხალხთა III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 67, 71), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964, 65, 70), ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1966). იყო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984, 85) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984, 87). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკ-ისა და ფილა-ს ორდენების კავალერი.




**ვიქტორ გოგლიძე.** 26.11.1905, ტაშკენტის ოლქი - 22.09.1964, თბილისი. ჭადრაკი. პირველი ქართველი ოსტატი (1930) და საერთაშორისო ოსტატი (1950). საქართველოს ჩემპიონი (1928), 1930-იან წლებში სსრკ ჩემპიონატების სამგზის მონაწილე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1941), საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე (1936-53). ორი საჭადრაკო წიგნის ავტორი. 1970-90 წლებში ტარდებოდა ვიქტორ გოგლიძის საერთაშორისო საჭადრაკო მემორიალი.



**ბაადურ ჯობავა.** დაიბადა 26.11.1983, გალი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (2001). შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონი (2003), ევროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003), მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მონაწილე (2004). 2002 და 2004 წლებში საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (2004 წელს თავის დაფაზე მოიპოვა ოქროს მცირე მედალი: დააგროვა 12-დან 10 ქულა და აჩვენა ოლიმპიადის საუკეთესო შედეგი).

## ჭადრაკი

### მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატები

# შესვენება ნაგვადგა

მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატზე მეექვსე ტურის შემდეგ ერთდღიანი შესვენება გამოცხადდა, შაბათს კი მეშვიდე ტურით განახლდა შეჯიბრი და, როგორც იტყვიან ფინიშის სწორზეც გავიდნენ მონაწილენი - ფინიშამდე კიდევ ოთხი ტური რჩება და ახლა ყოველ ნახევარ ქულასაც კი ოქროს ფასი ედება. ამიტომაც იყო, რომ მეშვიდე ტურში ყაიმებმა იმატა - მათ შორის ქართველთა პარტიებშიც. როგორც იცით, ანთალიაში 34 ქართველი გოგო-ბიჭი ასპარეზობს და ერთგვარ გუნდურ შედეგებს ყოველი ტურის შემდეგ ვაცნობთ მკითხველს. ამჯერად 12 პარტიაში ვიმარჯვეთ, ამდენივეში ყაიმი გაფორმდა და ათში დავმარცხდით; თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთი დერბიც გვქონდა: 14 წლამდელებში **გიორგი ნიკოლაშვილი** და **ზურაბ ჯავახაძე** შეხვდნენ ერთმანეთს - ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

ამ ფონზე, აშკარად შეიძლება ჩვენებურთა წინსვლაზე ვილაპარაკოთ. 8-წლიანებში, სადაც ჩამორჩენა ყველაზე დიდი გვქონდა, ოდნავ მივუახლოვდით მოწინავეებს, - **ალექსანდრე ფანასკენკომ** იმარჯვა და ახლა 52-ე ადგილზეა. ამავე ასაკში პირველი გამარჯვება მოიპოვა 6 წლის **ნიკოლოზ ჭანტურიამ**, თანაც შავებით იმარჯვა. ნიკოლოზი 116-ე ადგილზეა და იმედია, კიდევ რამდენიმე ქულას შემატებს მარაგს. მოულოდნელად ყველამ წააგო 10 წლამდელებში - **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა** და **მამუკა ანთაძემ** თეთრებით, **ნოე თუთისანმა** - შავებით.

მესამე ადგილზე გავიდა 12 წლამდელებში **ირაკლი ბერაძე**, რომელმაც შავებით ჰოლანდიელი ბენიამინ ბოკი დაამარცხა და ახლა პირველ-მეორეზე მყოფებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. **ნაზი პაიკიძე** 14-წლიანებში კი ინარჩუნებს პირველობას, მაგრამ ახლა უკვე მოცილეც რამდენიმე გამოუჩნდა. ამ ასაკში ხუთიდან ორმა ქართველმა ყაიმით ითამაშა, სამწუხაროდ, მეხუთემ - **მარიამ დანელიამ** შავებით ვერაფერი გააწყო ვიეტნამელ ჰენგ ნგუენთან და დამარცხდა.



თინათინ ბერიძე (მარჯვნივ)

მეხუთე პოზიციას ინარჩუნებს 16 წლამდელებში **ლევან ბრეგაძე**, - მან პოლონელ კასპერ პორუნთან თეთრებით ყაიმით ითამაშა და 5.5 ქულა აქვს; ლიდერს ნახევარი ქულა აშორებს.

შესანიშნავი შედეგები გვაქვს 16 წლამდელ გოგონებში, სადაც ხუთი ჩვენებური ცდის ძალებს. **ქეთი ნანალაშვილმა** თეთრებით თურქი კუბრა ოზთურქი დაამარცხა და პირველობა დაიბრუნა - 6 ქულა აქვს. მან კვარხლბეკზე თანამემამულე **თინათინ ბერიძე** შეცვალა, რომელსაც ასევე 6 ქულა აქვს, მაგრამ კოეფიციენტით ჩამორჩება. თავის მხრივ კვლავ იმსახურებს ქებას ბერიძე, რომელმაც მეშვიდე ტურში შავებით ერთ-ერთ ფავორიტს, რუს ოლგა გირიას არ დაანება გამარჯვება და ქულა გაუყო. ოლგას დიდოსტატების ტოლი რეიტინგი აქვს - 2338, მაშინ როცა თინათინის მაჩვენებელი მართლაც ბავშვურია - 2033. ბერიძე მეორე ადგილზეა.

კვლავ მოიგო **სოფიკო გურამიშვილმა** და 5.5 ქულა გაუხდა, რაც დღეისთვის მერვე ადგილს უდრის. დარწმუნებულები ვართ, სოფიკო წინსვლას გააგრძელებს და საპრიზო ადგილების განაწილება წმინდა ქართული საქმე გახდება...

პირველობის იმედი გაგვიჩნდა 18 წლამდელ გოგონებშიც, სადაც ქულების მოხვეჭას განაგრძობს **მირანდა მიქაძე**. მირანდამ მეშვიდე ტურში ყაზახი აიგერინ რისბაევა დაამარცხა თეთრებით, 5.5 დააგროვა და მეექვსე ადგილამდე აიზევდა. შედარებით მოკრძალებულ ადგილზე არიან **მერი ჟორჟოლიანი** და **ქრისტინე მჟავია**...

8 წლიანები: 52. ალექსანდრე ფანასენკო (4 ქულა); 116. ნიკოლოზ ჭანტურია (1.5); 11. ნინო ჯალაღონია (5);

10 წლიანები: 27. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (4.5); 55. ნოე თუთისანი (4); 103. მამუკა ანთაძე (3); 40. მარიამ ჭოლაძე (4); 78. ნინო ხომერიკი (2.5);

12 წლიანები: 3. ირაკლი ბერაძე (6); 97. აკაკი რუხაძე (3); 14. ნანი უნაფქოშვილი (5); 23. ანა კუჭავა (4.5); 45. ანა შამათავა (4); 79. ნატო იმნაიძე (3);

14 წლიანები: 30. ზურაბ ჯავახაძე (4.5); 37. გიორგი ნიკოლაშვილი (4.5); 95. გიორგი ცირეკიძე (3); 1. ნაზი პაიკიძე (6); მარიამ დანელია (5); 9. მერი არაბიძე (5); 15. ნათია ჯალაბაძე (5); ლელა უგულავა (4.5);

16 წლიანები: 5. ლევან ბრეგაძე (5.5); 15. დავით ბენიძე (5); 46. დავით ლომსაძე (4); 1. ქეთი ნანალაშვილი (6); 2. თინათინ ბერიძე (6); 8. სოფიკო გურამიშვილი (5.5); 30. სალომე სირაძე (4.5); 33. სალომე ხაჟომია (4); 18 წლამდელები: 17. გიორგი მარგველაშვილი (4.5); 6. მირანდა მიქაძე (5.5); 19. მერი ჟორჟოლიანი (4.5); 37. ქრისტინე მჟავია (3.5).

**ზვიად შათირიშვილი**

### მსოფლიო თასი

# გაგუნაშვილს ბრძოლა გაუგრძელდა

შაბათს, რუსეთში, ქალაქ ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასის გათამაშება ვაუთა შორის. ნოკაუტ-სისტემით მიმდინარე ტურნირში თავიდან 128 მონაწილეს უნდა აელო სტარტი, მაგრამ მიზეზა გამო 126-მა ჩართო საათი. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ციმბირში ჩასვლა ვერ შეძლო ქართველი **ზვიად იზორიაა.** როგორც იცით, იზორია 2 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ორგანიზატორებიდან ოფიციალურ სავიზო მოწვევას იქ ელოდა, მაგრამ რუსთა უნიათობის და უყურადღებობის გამო მოპატიჟებამ დააგვიანა - მხოლოდ ორი დღის წინ მივიდა ადრესატამდე, რაც, რა თქმა უნდა, ჩემპიონატზე დროულად ჩასვლას ვერაფრით შეუწყობდა ხელს...

ქართველის გარეშე ტურნირი მაინც არ მიმდინარეობს - **მერაბ გაგუნაშვილი** ცდილობს წარმატების მიღწევას. პირველ წრეში მისი მეტოქეა ჩინელი დიდოსტატი **პენსინკ ჭანკი**, რომელიც ქართველს რეიტინგში 60 პუნქტით უსწრებს. ამიტომ, ფავორიტად ჩინელი ითვლებოდა.

დებულების თანახმად, მეტოქეები ფერთა მონაცვლეობით ორ პარტიას გაითამაშებენ; გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე გადის, მაგრამ თუკი ფრედ დასრულდა მატჩი, მომდევნო დღისთვის ინიშნება ორი 15 წუთიანი პარტია, თუ აქაც ვერ გამოვლინდა უძლიერესი, მაშინ ბლიც პარტიები გათამაშდება. აქაც ფრეს დაფიქსირების შემთხვევაში დაინიშნება ერთი გადამწყვეტი პარტია, რომელიც "არმაგედონის" სახელით მოინათლა: თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს- 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე გამოცხადდება.

შაბათს პირველი ტური შედგა, გუშინ - მეორე და, ცხადია მეორე ეტაპის რჩეულნი გამოვლიდნენ, მაგრამ ნაწილმა ეს ჯერ ვერ მოახერხა და დღეს შეეცდება დამატებით პარტიებში წარმატების მიღწევას. ასეთთა შორის არის **მერაბ გაგუნაშვილიც**. ქართველმა დიდოსტატმა პირველ პარტიაში შავებით შეძლო გაენეიტრალებინა ჩინელის შემოტევები და ყაიმს გამორჩა. მეორე დღეს თეთრებით თავად უტევდა, მაგრამ ამჯერად ჩინელმა დაიცვა თავი კარგად და კვლავ ყაიმი დაფიქსირდა. მერაბი სწრაფ ჭადრაკში თავს კარგად გრძნობს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ჩინელებიც შესანიშნავად თამაშობენ ამ სახეობას, ქართველის გამარჯვების იმედი უნდა გვქონდეს.



მერაბ გაგუნაშვილი

იზორია კი გამოგვაკლდა ქართველებს, მაგრამ ერთი ჩვენებურის გულშემატკივრობა მაინც მოგვიწევს. **დავით ბარამიძე** წლების წინ გადავდია გერმანიაში საცხოვრებლად და ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირებში. საკმაოდ ნიჭიერია და ძლიერ დიდოსტატადაც ჩამოყალიბდა. დღევანდელი მისი რეიტინგი 2569-ს უტოლდება, თუმცა გუშინდელი მეტოქის, ინგლისელი **ნაიჯელ შორტის** რეიტინგი ბევრად ჯობს - 2649 ქულა აქვს. შორტის წარდგენა ჭადრაკის მოყვარულთათვის არ არის საჭირო და, რა თქმა უნდა, ამ წყვილში ფავორიტად ალბიონელი ითვლებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა არც ერთ პარტიაში არაფერი დაუთმო და ორივეჯერ ყაიმს გამორჩა. ბარამიძეც დღეს დამატებით შეხვედრებს გამართავს.

ტურნირის მთავარი ფავორიტის გამოყოფა ძალიან გაჭირდება. მართალია უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** რეიტინგით პირველია (2787), მაგრამ აქ თამაშობს წინა მსოფლიო თასის გამარჯვებული სომეხი **ლევონ არონიანი** (2741), ძალიან ძლიერი აზერბაიჯანელები: **შახრიარ მამდიაროვი** (2752) და **თეიმურ რაჯაბოვი** (2742), ასევე ესპანელი **ალექსეი შიროვი** (2739), რუსები: **პეტრ სვიდლერი** (2732), **ევგენი ალექსეევი** (2716), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (2715); ინგლისელი **მაიკლ ადამსი** (2729); ნორვეგიელი ვუნდერკინდი, 16 წლის **მაგნუს კარლსენი** (2714); ამერიკელი **გატა კამსკი** (2714) და სხვა მრავალი. ნოკაუტ სისტემას განსაკუთრებული ნერვები სჭირდება და შესაძლოა ნაკლები ძალის მოჭადრაკემ ფავორიტს აჯობოს. ამის გამოცდილება დიდი არსებობს და ალბათ სენსაციურ შედეგებს აქაც ვიხილავთ. პირველმა ტურმა უკვე ასეთი გვანახა: ებრაელი **ემილ სუტოვსკი** (2655) ჩინელ **ძიანჩაი ჭოუსთან** 0.5:1.5 დაამარცხა; რამდენიმე ფავორიტს კი დამატებითი პარტიების თამაში მოუწევს, თუმცა ამაზე ხვალ წვრილად მოგახსენებთ.

**ზვიად შათირიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო

ევროპის აბსოლუტური პირველობა

# ხუთი ქართველი ვარშავაში

1 დეკემბერს ვარშავაში იმართება ევროპის აბსოლუტური პირველობა, რომელშიც საქართველო 5-კაციანი გუნდით წარსდგება: **ლევან რაზმაძე, გიორგი ყიზილაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ვახტანგ ზოიძე.**

მოგეხსენებათ, ამ ტურნირში წონითი კატეგორიები განსაზღვრული არაა და მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თუმცა, ტრადიციულად, მხოლოდ ზედა წონების ფალავნები ჭიდაობენ. ჩვენი გუნდიც ამ დაუწერელი წესის მიხედვით დაკომპლექტდა. მასში სამი მძიმეწონოსანია - ხანჯალიაშვილი, ოქრუაშვილი და ზოიძე, ყიზილაშვილი და რაზმაძე კი 100 კილოში ჭიდაობენ, თუმცა ზედმეტი წონის პრობლემა, მეტ-ნაკლებად, ორივეს აწუხებს და კონკურენტებს ფიზიკურად დიდად არ ჩამოუვარდებიან.

ადრე მსგავს ტურნირებში ქვეყნიდან, მაქსიმუმ, სამ ფალავანს იწვევდნენ, მაგრამ წლეულს ეს წესი ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა და ამჯერად ხუთი ქართველ მოიწვიეს, თუმცა ასეთი გულუხვი გამონაკლისის მიზეზი ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.

შეგახსენებთ, რომ აბსოლუტურ პირველობას ევროპული ფედერაცია ადრე დანარჩენ წონით კატეგორიებთან ერთად ატარებდა, მაგრამ ბოლო წლებში ევროპის ჩემპიონატს ჩამოაცილეს. იდეაში იგი რაღაც შოუსმაგვარ ტურნირადაა ჩაფიქრებული. რამდენად ამართლებს ეს იდეა, ვერ გეტყვით, მაგრამ ეროვნული ფედერაციების დამატებით ხარჯად კი იქცა. თუმცა მედალს მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, დადებითი მომენტი ისაა, რომ ახლა თავის გამოჩენის შანსი გაცილებით მეტ მძიმეწონოსანს ეძლევა. ევროპის ჩემპიონატზე წონაში მხოლოდ ერთ კაცს თუ დააყენებ, ახლა კი ერთბაშად ხუთი მიჰყავთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან ამ ტურნირში ადამ ოქრუაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აბსოლუტური პირველობა ჩვენებისთვის სეზონის ბოლო ტურნირია. გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას 15 დეკემბერს დაიწყებს, როცა ბაკურიანში გამგზავრება საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, 7-8 იანვარს კი საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. სწორედ იქ გაირკვევა ის ოთხეულები, რომლებიც თებერვლის დასაწყისში თბილისის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ, ანუ გამოიკვეთება ის ბირთვი, რომელიც გაისად მსოფლიო თასებზე იასპარეზებს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გუნდმა ლიცენზიების უმეტესობა უკვე მოიპოვა - 5, ლიდერთა ნაწილი საქართველოს ჩემპიონატსა თუ მსოფლიო თასებზე დაისვენებს. ამ უფლებით ძირითადად ლიცენზიაგანაღდებული ფალავნები ისარგებლებენ - **ნესტორ ხერგიანი** (60), **დავით ქევხიშვილი** (73), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე). ისინი ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით მოემზადებიან და გაისად ტურნირებში ადრინდელივით ინტენსიურად აღარ გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი

25 ნოემბერი, თბილისი, სპორტის სასახლე

**თსუ-დინამო 89:95**

20:23, 17:16, 27:21, 12:16, 13:19

თსუ: არნივიძე (2ქ, 3პ, 5ფ), ფანჩულიძე (11ქ), ჩიტაშვილი (12ქ), მათიაშვილი (20ქ, 17მ, 3დ, 5ფ), ყველაშვილი (6ქ, 7მ, 5ფ), ჯგერენაია (2ქ), ლისაბერიძე (3ქ), ხეცურიანი (32ქ, 4პ), ტყეშელაშვილი (4ქ, 7მ)

დინამო: გულისაბედაშვილი (20ქ, 5მ, 3პ), ჯლენტი (29ქ, 6ჩ), ლაფანაშვილი (17ქ, 9მ, 5ფ), სიგუა (2ქ), მაისურძე(12ქ, 8მ), ათანელიშვილი (2ქ, 6მ), ახალკაცი (13ქ, 8მ, 5ფ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**ავიამშენი-მაკაბი 93:94**

29:14, 12:28, 27:16, 15:25, 10:11

ავიამშენი: მინაშვილი (12ქ), ხოშტარია (12ქ, 5მ, 5პ), ბერაია (1ქ), შანიძე (13ქ, 6მ), ნიკოლაძე (15ქ), კვიმსაძე (2ქ), ტულუში (12ქ, 9მ, 9პ, 5ფ), იმნაძე, ნინიაშვილი (9ქ, 9მ, 5ფ), როდუმტა (10ქ, 8მ), ბარბაქაძე (5ქ, 4ჩ), სუხიშვილი (2ქ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (24ქ, 7პ, 5მ, 3ჩ), სორდია (17ქ, 5მ, 5ფ), გ. შერმადინი (29ქ, 11მ, 8დ), პირველაშვილი (3ქ, 5მ), ვაშაკიძე (8ქ), კორკოტაძე, ს. შერმადინი (5ქ), კოლუაშვილი (8ქ, 6მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2. ვითა | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3. თსუ | 5 | 2 | 3 | 7 |
| 4. მაკაბი | 5 | 2 | 3 | 7 |
| 5. დინამო | 5 | 2 | 3 | 7 |
| 6. ავიამშენი | 5 | 1 | 4 | 6 |

საქართველოს XVI ჩემპიონატი. VI ტური

# ოვერქვირა

## 2 მატჩი, 2 დამატებითი დრო




ავიამშენი-მაკაბი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გუშინ სპორტის სასახლეში ძალიან ციოდა და იმედია არენის ხელმძღვანელობას შეხსენება არ დასჭირდება, რომ მომდევნო ტური ერთი კვირის შემდეგ იმართება, კიდევ უფრო გაყინავს და თუ გათბობა არ ჩაირთვება, ან ჟურნალისტებს მიგვეყინება კალმები, ან კალათბურთელები შეეწებებიან კალათებს.

თუკი ვიტყვით, რომ კვირას ორივე მატჩში ოვერტაიმი დაინიშნა, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ დარბაზში მისულ ასამდე ქომაგს არ გაუმართლა - ზედმეტად მოუხდათ ცივ დარბაზში ყოფნა. მაგრამ პირიქით იყო - სპორტის სასახლეში ისეთი მატჩები გაჩაღდა, რომ კალათბურთელებმა მაყურებლებიც აიყოლიეს და გახურებულებს დაბალ ტემპერატურაზე ფიქრის დრო არც ჰქონდათ.

არ გეგონოთ მეექვსე ტურში (გუნდებს 5-5 მატჩი იმიტომ უწერიათ, რომ მესამე ტური გადადებულია) მინუსი მეტი იყო, ვიდრე პლუსი. სიცივისა და ქომაგის ნაკლებობის საპირისპირო მხარეს დგას საინტერესო კალათბურთი, ევროსტანდარტების შესაბამისი მოედანი და ასევე ევროდონის მოცეკვავე გოგონები, რომლებმაც სეზონის დასაწყისის შემდეგ რეპერტუარი გაამრავალფეროვნეს...

...რეპერტუარი გაამრავალფეროვნა თბილისის "დინამომაც". *"სეზონის სტარტის მერე ჩვენი გუნდის პროგრესს, ალბათ, თქვენც ამჩნევთ. პირველი ორი მატჩის წაგების შემდეგ "დინამო" მთლიანად გამოიცვალა და ერთიორად გამართულ კალათბურთს თამაშობს. სწორედ ამიტომაა ბოლო ორი მატჩი რომ მოვიგეთ, ხოლო "ავიამშენთან" დამატებით დროში დავმარცხდით,"* - გვითხრა თბილისელთა თავკაცმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** თსუსთან მოგებული მატჩის შემდეგ.

ალბათ გაინტერესებთ, რა მოხდა, როგორ მოახერხა "დინამომ" ფერის შეცვლა. ფორმების გამოცვლა აქ არაფერშუაშია, რეალურად სამი რამე შეიცვალა: ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებმა თამაშის ტემპს მოუმატეს, მაღალ სისწრაფეზე შედეგიანად თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გუნდი სათანადოდაა შეთამაშებული. "დინამო" კი ბოლო მატჩებში გუნდურად თამაშობს როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა თსუ-სთან შეხვედრაში - ბევრი დამეთანხმება, რომ გუშინ თუ სტუდენტები შეტევის დაგვირგვინებას ინდივიდუალური გარღვევებით ცდილობდნენ (ამის მიზეზი, შეიძლება მწვრთნელის ჩანაფიქრი იყო, შეიძლება "დინამოს" მჭიდრო დაცვა), ბურთის მისაღებად მეფარეებიც ხშირად ადიოდნენ პერიმეტრზე. დინამოელები იშვიათად ახორციელებდნენ სლალომებს, ძირითადად კომბინაციური თამაშით ცდილობდნენ ხეირის ნახვას. დილმელთა წარმატების მთავარი მიზეზი ტურის ფრაზად გამოვიტანეთ: *"ხედავთ, საქართველოს ჩემპიონატს 25-ქულიანი გამოცდილი გამთამაშებელი დავუბრუნეთ. არჩილ ჟლენტი 32 წლისაა, მაგრამ 20 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოდის."* - ეს სიტყვებიც ზაზა ცაგარეიშვილს ეკუთვნის. ვიდრე ახალ აბზაცზე გადავალთ დავამატებთ, რომ აჩიკო ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, მის ანგარიშზე 29 ქულა, 6 ჩაჭრა და თითო მოხსნა-პასია.

მატჩის ბოლო წუთების გახსენება კი ნათლად გვიჩვენებს აჩიკოს წვლილს თსუ-ს დამარცხებაში: საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე სტუდენტები 9 ქულის სხვაობით იგებდნენ - 71:62. ამის შემდეგ ლაფანაშვილი-ჟლენტის მიერ წამოწყებული 12:3 სპურტი **გულივერ ახალკაცმა** დააგვირგვინა და ანგარიში გაათანაბრა(74:74). ძირითადი დროის დასრულებამდე დარჩენილ 2 წუთში **რიჩარდ მათიაშვილის** ორ ზუსტ საჯარიმოს არჩილ ჟლენტმა 2 ქულით უპასუხა და მატჩი ფრედ დასრულდა - 76:76.

დამატებითი დროის მეორე-მესამე წუთი დინამომ მაღალ ტემპში ჩაატარა, ჯერ გულისაბედაშვილმა გამოიყენა სამქულიანი, შემდეგ ლაფანაშვილმა 4 ქულა ჩააგდო, ხოლო ჟლენტის სამქულიანის შემდეგ სხვაობა 5 ქულამდე(85:80) გაიზარდა, სირენამდე კი წუთნახევარი რჩებოდა. სტუდენტებმა განზრახ ჯარიმებს მიმართეს, მაგრამ აჩიკო საჯარიმო ხაზიდანაც არ ცდებოდა და თანაგუნდელებს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

ტურის მოვლენა ორივე მატჩში დაფიქსირებული ორი ოვერტაიმი იყო, რაც ბოლო 7 ჩემპიონატში პირველად მოხდა. თავადაც შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ "მაკაბი"-"ავიამშენის" დაპირისპირებაც საინტერესო სანახავი იყო. იგი შედარებით დრამატული გამოდგა. გუნდებმა მატჩის სხვადასხვა ეპიზოდები სხვადასხვა დონეზე ჩაატარეს. თუ პირველ მეოთხედში მეტოქე "ავიამ" გაანადგურა - 29:14, მეორე ათწუთეულში თითქოს გუნდებმა ფორმები გაცვალეს, ამჯერად "მაკაბიმ" 28:12 იმარჯვა, შემდეგ ისევ ავიატორებმა იყოჩაღეს - 27:16, მეოთხე ისევ "მაკაბისა" იყო - 25:15.

ძირითად დროში შეხვედრის მოგებასთან ახლოს **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდები იყვნენ: ირაკლების, სორდიასა და ბერიშვილის მიერ მოწყობილი 9:1 სპურტის შემდეგ სირენამდე 1 წუთით ადრე "მაკაბი" 83:80 დაწინაურდა. წამითა და 9 მეათედით ადრე ავიატორ ნოდარ ბერაიას სამი საჯარიმოს შემდეგ სხვაობა ოდენ 2 ქულამდე შემცირდა - 81:83. მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს შეხვედრა მოგებული ჰქონდა, "ავიამ" დამუშავებული კომბინაციით ბურთი პირითი ხაზიდან შეიტანა და ეულად დარჩენილ ვახტანგ მინაშვილს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა არ გასჭირვებია - 83:83.

დამატებითი დროის მესამე წუთიდან მოყოლებული **გიორგი შერმადინმა** ოთხივე საჯარიმო ჩააგდო, ერთი ორქულიანიც მიაყოლა და - 94:90. ბოლო წუთზე "ავიამშენმა" მხოლოდ ანგარიშის ერთ ქულამდე შემცირება მოახერხა და მეხუთე მატჩში მეოთხედ დამარცხდა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელის ჯილდოს მოპოვებას ჟლენტზე არანაკლებ იმსახურებდა მაკაბელი გიორგი შერმადინი, მაგრამ რა ვქნათ, რომ ორი MVP-ს დასახელების უფლება არ გვქონდა. გიორგიმ ორმაგი დუბლი შეასრულა - 29 ქულა, 11 მოხსნა და სარეკორდო 8 დაფარება.

ავიატორ **კოტე ტულუშს** კი, სამმაგ დუბლამდე დრო არ ეყო, 5 ფოლით მატჩი მეოთხე პერიოდის ბოლოს დატოვა. მანამდე მან 12 ქულა, 9 მოხსნა და 9 პასი ჩაიწერა.

ასე და ამგვარად, ქომაგს ვურჩევ, მომდევნო უქმეებზე დრო სპორტის სასახლეში გაატაროს, არ ინანებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

## მოგება ზაზას გარეშე

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, შაბათს მორიგი მატჩი გამართა **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ". ჯორჯიელებმა "მინესოტას" მოუგეს - 94:87. შეხვედრის წინ, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო და ზაზა ფაჩულიას მოედანზე გამოჩენა ეჭვს არ იწვევდა. თუმცა, ქართველ ცენტრფორვარდს არ უთამაშია.

მდგომარეობას ნათელი მოჰფინა თავად ფაჩულიას კომენტარმა: *"პარასკევს, ვარჯიშისას კოჭი მსუბუქად დავიზიანე. თამაში შემეძლო, მაგრამ მწვრთნელებმა არ გარისკეს და დასვენების საშუალება მომცეს. ტრავმა სერიოზული არაა. ვიმედოვნებ, სამშაბათს "ჩიკაგოსთან" სტუმრად გასამართ მატჩში, მოედანზე გასვლას შევძლებ".*

დასასრულ კი, ისიც ვთქვათ, რომ ამჟამად, ატლანტას 12 შეხვედრიდან 5 გამარჯვება აქვს. ამ მაჩვენებლით, ჯორჯიელები სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეხუთე პოზიციაზე იმყოფებიან, აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეთერთმეტეები არიან.

ჩოგბურთი

## ავსტრალიას ფიტცჯერალდი გაწვრთნის

დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრების კაპიტნად კვლავ დაინიშნა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი **ჯონ ფიტცჯერალდი**. ამ სპეციალისტს კონკრეტული მიზანი დაუსახეს - მან ავსტრალიელთა გუნდი 2009 წელს, დევისის თასის ელიტურ ჯგუფში უნდა დააბრუნოს. 2008 წლის სეზონში, ავსტრალიას აზიისა და ოკეანეთის ჯგუფში უწევს თამაში.

ფიტცჯერალდის სიტყვებით, *"ეს სერიოზული ამოცანაა, სასიამოვნო იქნება მისი გადაწყვეტა და ნაკრების იქ დაბრუნება, სადაც ის იმსახურებს ყოფნას"*.

## სტოსური ბრუნდება

ამასობაში, ავსტრალიის კიდევ ერთი წარმომადგენელი, **სამანტა სტოსური** 4-თვიანი შესვენების შემდეგ, დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს.

სტოსური ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოუსტის ტურნირში ითამაშებს, რომელიც 31 დეკემბერს აიღებს სტარტს. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 175 ათას დოლარს შეადგენს. ამ ტურნირზე რამდენიმე ვარსკვლავი აპირებს გამოსვლას: **ნიკოლ ვაიდიშოვა, ამელი მორესმო** და **ნადია პეტროვა**.

მთის თხილამურები

## ვიდალი სეზონს გამოტოვებს

მთის თხილამურების წლევანდელ სეზონში საფრანგეთის ნაკრებს თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **ვანესა ვიდალის** გარეშე მოუწევს გამოსვლა. ეს მოთხილამურე სლალომში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

ვიდალს გასულ უიქ ენდზე მსოფლიო თასის კანადის ეტაპზე უნდა ესპარეზა, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, მკერდის არეში მწვავე ტკივილები იგრძნო და ის სასწრაფოდ გადაიყვანეს ქალაქ კალგარის ერთ-ერთ კლინიკაში. იქ მოთხილამურეს თირკმლის დაავადება აღმოუჩინეს.

ვიდალი უკვე დაბრუნდა სამშობლოში. მისთვის წლევანდელი სეზონი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სარეაბილიტაციო პერიოდი არანაკლებ 6 თვეს გაგრძელდება.

ავტოსპორტი

## ფორმულა სუპერლიგა ძალას იკრებს

ახალი სარბოლო სერიის, Formula Superleague-ის ორგანიზატორებმა ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი გამოაქვეყნეს. შეგახსენებთ, ამ სერიაში მონაწილეობას მიიღებენ გუნდები, რომლებსაც სპონსორობას წამყვანი საფეხბურთო კლუბები გაუწევენ.

წინასწარი კალენდრის მიხედვით, რბოლები გაიმართება გერმანიის "ნიურბურგრინგზე", ბელგიის "ცოლდერზე", პორტუგალიის "ეშტორილზე", ესპანურ "ხერესზე" და რომელიმე იტალიურ ტრასაზე. კალენდარი საბოლოო სახეს დეკემბერში მიიღებს.

რბოლაში მონაწილეობა უკვე დაადასტურეს შემდეგმა კლუბებმა: "მილანი", "ეინდჰოვენი", "პორტუ", "ოლიმპიაკოსი", ბორუსია", "ფლამენგო", "ანდერლეხტი", "ბაზელი" და "გალათასარაი". ბოლიდები ამ კლუბების შესაბამისი ფერებით იქნება გაფორმებული.

აგრეთვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა გუნდებთან. სულ სერიაში 20 გუნდის მონაწილეობა იგეგმება.

ფორმულა 1

## სატოს სუპერ აგური ურჩევნია

იაპონელ **ტაკუმა სატოს** იმედი აქვს, რომ გაისად "სუპერ აგურიში" ზედიზედ მესამე სეზონს ჩაატარებს. იაპონურ საჯინიბოს 2008 წლის შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია.

*"მომავალი სეზონისთვის რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ ამ მომენტში მხოლოდ "სუპერ აგურის" ხელმძღვანელობასთან მაქვს კონტაქტი. გუნდიც საუკეთესო ვარიანტს ეძებს და ამიტომაც, საჭიროა ორმხრივ გადაწყვეტილებამდე მისვლა"*, - ამბობს სატო.

*"2008 წლის სეზონი მესამე იქნება ამ გუნდის შემადგენლობაში. პირველ წელს ძლივს მოვასწარით მანქანის მომზადება, მეორე წელს დასახული მიზანი შევასრულეთ - რამდენიმე ქულა მოვიპოვეთ და კონსტრუქტორთა თასზე ბოლო ადგილს ავცდით. თუ წინ მორიგი ნაბიჯის გადადგმა გვსურს, ამისთვის სტაბილური ფინანსური მხარდაჭერა და ბოლიდის სრულყოფაზე მუდმივი მუშაობაა საჭიროა. ჩემი მიზანია 2008 წელს, შარშანდელზე უკეთ გამოსვლა"*, - ამატებს იაპონელი პილოტი.

## დუბაიში შუმის სახელობის ცათამბჯენს ააშენებენ

უახლოეს ხანში, საემიროების დედაქალაქ დუბაიში ცათამბჯენს ააშენებენ, რომელსაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, გერმანელი მიხაელ შუმახერის სახელი მიენიჭება.

Michael Schumacher Business Avenue-ს მშენებლობა გერმანულმა კომპანიამ უნდა აწარმოოს. როგორც ამ კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, სამუშაობები დაახლოებით ორ კვირაში დაიწყება.

*"არაფერი არ არის იმაზე კარგი, რომ რომელიმე სამშენებლო ობიექტი ერთ-ერთი ყველაზე დიადი სპორტსმენის სახელს მიიღებს. ეს ძალიან კარგად იმოქმედებს ნებისმიერი სამშენებლო კომპანიის იმიჯზე"*, - ამბობს გერმანული კომპანიის დირექტორი **რობინ ლომანი**.

მძლეოსნობა

## აზიამ მსოფლიო ჩემპიონატი მიიღო

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 2010 და 2012 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძელი ქალაქები დაასახელა.

IAAF-მა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. საქმე ისაა, რომ 2010 წელს, მსოფლიო ჩემპიონატს პირველად უმასპინძლებს აზიის კონტინენტი. ეს პატივი წილად ხვდა კატარის დედაქალაქ დოჰას, რომელმაც წილისყრაში თურქულ სტამბოლს აჯობა.

სხვათა შორის, დოჰაში ყოველ წელს ტარდება IAAF-ის "სუპერ გრან-პრი", 2006 წელს კი, ამ ქალაქმა აზიის თამაშებს უმასპინძლა.

რაც შეეხება სტამბოლს, უკმაყოფილო არც ეს თურქული ქალაქი დარჩენილა. მას მძლეოსნობაში 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზება ანდეს.

ველოსპორტი

## ოლიმპიური ჩემპიონი სპორტიდან მიდის

3 ათას მეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ზელანდიელი **სარა ულმერი** კარიერის დასრულებას აპირებს. სპორტსმენს ბოლო ორი წელია ფეხის ტრავმა აწუხებს და ამის გამო, სულ მალე გამოაცხადებს აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ.

*"სპორტში დარჩენას კიდევ დიდი ხანი ვაპირებდი, მაგრამ კონსულტაციების შემდეგ, ექიმებმა მითხრეს, რომ 50-პროცენტიანი გარანტიაც არ არსებობს იმისა, რომ მე სპორტული ფორმის აღდგენას შევძლებ"*, - აცხადებს ულმერი.



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 23 ნოემბერი

**ბოსტონი-ლეიკერსი 107:94**

25:16, 28:19, 31:31, 23:28

**ბოსტონი:** გარნეტი (21 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), პერკინსი (21 ქ. 9 მ), პირსი (20 ქ. 9 პ. 6 მ. 3 ჩ), რ. ალენი (18 ქ. 4 პ), პოუსი (10 ქ), რონდო (6 ქ. 10 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28 ქ. 4 მ), რადმანოვიჩი (18 ქ), ფიშერი (13 ქ), ფარმარი (13 ქ).

**ორლანდო-შარლოტი 105:92**

27:16, 28:28, 25:22, 26:25

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (34 ქ. 17 მ. 4 დ. 3 ჩ), თურქოღლუ (16 ქ. 7 მ. 6 პ), ნელსონი (14 ქ. 6 მ), რ. ლიუისი (12 ქ. 6 მ), ბოგანსი (11 ქ. 6 მ).

**შარლოტი:** ერმანი (16 ქ. 6 მ), ჯ. რიჩარდსონი (14 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ოკაფორი (12 ქ. 18 მ), ფელტონი (12 ქ. 6 პ), დადლი (10 ქ. 7 მ), კეროლი (10 ქ).

**დეტროიტი-ფილადელფია 83:78**

17:17, 23:21, 24:16, 19:24

**დეტროიტი:** პრინსი (15 ქ. 7 მ. 4 პ), მაქსიელი (14 ქ. 6 მ), მაკდაიესი (12 ქ. 7 მ. 4 პ), ბილაპსი (11 ქ. 9 პ), რ. ჰამილტონი (11 ქ. 2 ჩ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (17 ქ. 7 მ. 6 პ. 2 დ), ლ. უილიამსი (15 ქ), ა. მილერი (14 ქ), უ. გრინი (13 ქ), დალემბერი (10 ქ).

**ვაშინგტონი-გოლდ. სტ. 115:123**

33:30, 28:30, 28:30, 26:33

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (30 ქ. 12 მ), კ. ბატლერი (26 ქ. 11 მ. 10 პ. 2 ჩ), ნ. იანგი (18 ქ), ბლატჩე (13 ქ. 8 მ. 3 დ), ა. დენიელსი (12 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (33 ქ. 15 პ. 11 მ), ს. ჯექსონი (28 ქ. 6 მ), აზუბუიკე (15 ქ), მ. ელისი (11 ქ. 2 ჩ), მ. პიეტრუსი (11 ქ. 2 ჩ), ბიედრინსი (10 ქ. 9 მ. 4 პ), ე. ჰარინგტონი (10 ქ).

**სიეტლი-ნიუ ჯერსი 93:98**

22:28, 20:24, 26:24, 25:22

**სიეტლი:** დელონტე უესტი (17 ქ), ჯ. გრინი (14 ქ. 14 მ), დიურანი (12 ქ. 5 მ), კოლისონი (12 ქ. 5 მ), უილკოქსი (10 ქ. 3 ჩ), უილკინსი (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (30 ქ. 5 პ), ვ. კარტერი (15 ქ. 5 მ. 5 პ), კიდი (14 ქ. 6 პ. 5 მ. 4 ჩ), მ. ალენი (12 ქ), ნახბარი (10 ქ. 2 ჩ).

**პორტლენდი-საკრამენტო 87:84**

24:25, 18:18, 20:22, 25:19

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (28 ქ. 12 მ. 3 დ), როი (13 ქ. 8 პ. 3 ჩ), ბლეიკი (13 ქ).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (21 ქ. 7 მ), არტესტი (17 ქ. 11 მ. 5 პ. 2 ჩ), გარსია (17 ქ), უდრიხი (11 ქ. 6 პ).

**ფინიქსი-კლიპერსი 113:94**

22:27, 29:25, 35:22, 27:20

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (29 ქ. 11 მ. 2 ჩ), მერიონი (21 ქ. 17 მ. 5 ჩ. 2 დ), ნეში (20 ქ. 10 პ), გ. ჰილი (19 ქ. 5 მ), დიაო (7 ქ. 11 მ).

**კლიპერსი:** კასელი (26 ქ), პატერსონი (18 ქ. 11 მ. 2 ჩ), კამანი (17 ქ. 14 მ. 4 დ), ტიმ ტომასი (11 ქ).

**იუტა-ნიუ ორლეანი 99:71**

20:24, 24:19, 31:21, 24:7

**იუტა:** ბუზერი (19 ქ. 16 მ. 4 პ), რ. ბრიუერი (13 ქ. 3 ჩ), დ. უილიამსი (12 ქ. 7 პ), ოქური (12 ქ), რ. პრაისე (12 ქ. 2 ჩ), ჰარტი (11 ქ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (18 ქ. 14 მ), პოლი (15 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), ჩენდლერი (12 ქ. 7 მ).

**მაიამი-ჰიუსტონი 98:91**

26:24, 24:25, 24:18, 24:24

**მაიამი:** უეიდი (31 ქ. 5 პ. 2 დ), შ. ონილი (26 ქ. 14 მ. 3 დ. 2 ჩ), რ. დევისი (12 ქ), ჰასლემი (11 ქ. 8 მ).

**ჰიუსტონი:** მინი (20 ქ. 7 მ), სკოლა (20 ქ. 9 მ. 3 პ), მაკგრეიდი (19 ქ. 6 მ. 4 პ).

**ინდიანა-დალასი 111:107**

30:25, 32:28, 26:34, 23:20

**ინდიანა:** გრეინჯერი (25 ქ. 6 მ. 2 დ), ტინსლი (24 ქ. 6 მ. 6 პ), მერფი (18 ქ. 8 მ), მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ. 8 მ. 3 ჩ), ფოსტერი (10 ქ. 11 მ), ს. უილიამსი (10 ქ).

**დალასი:** დ. ჰარისი (24 ქ. 5 პ), ნოვიცკი (20 ქ. 11 მ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ), ბასი (13 ქ. 9 მ), ტერი (10 ქ. 3 ჩ).

**სან ანტონიო-მემფისი 101:88**

29:22, 32:18, 16:19, 24:29

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქ. 9 მ. 2 ჩ), ტ. პარკერი (21 ქ. 8 პ. 5 მ), ბ. ბერი (14 ქ. 2 ჩ), ჯინობილი (11 ქ. 4 მ. 4 პ).

**მემფისი:** ნავარო (16 ქ. 4 მ. 4 პ), გეი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), მ. მილერი (14 ქ), გასოლი (12 ქ. 6 მ).

**დენვერი-მინესოტა 99:93**

22:22, 29:34, 24:18, 24:19

**დენვერი:** ენტონი (31 ქ. 7 მ. 2 დ), კენიონ მარტინი (18 ქ. 6 მ. 2 ჩ), აივერსონი (13 ქ. 10 პ), კემბი (10 ქ. 18 მ. 5 დ. 4 პ), ნახერა (10 ქ. 7 მ).

**მინესოტა:** ა. უოკერი (24 ქ. 5 მ), გომესი (18 ქ. 6 მ. 2 ჩ), ე. ჯეფერსონი (15 ქ. 14 მ. 2 დ), იარიჩი (14 ქ. 6 პ. 2 ჩ).

### 24 ნოემბერი

**შარლოტი-ბოსტონი 95:96**

23:23, 30:25, 22:28, 20:20

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 9 მ. 5 პ), ფელტონი (18 ქ. 9 პ), ოკაფორი (15 ქ. 9 მ. 4 დ), დადლი (11 ქ. 9 მ. 3 პ).

**ბოსტონი:** გარნეტი (23 ქ. 11 მ. 5 პ. 3 დ. 2 ჩ), პირსი (23 ქ. 7 პ. 4 მ), რ. ალენი (14 ქ. 5 პ), პოუსი (14 ქ).

**ნიუ იორკი-ჩიკაგო 85:78**

18:19, 25:12, 23:22, 20:24

**ნიუ იორკი:** კარი (21 ქ. 7 მ), ზ. რენდოლფი (20 ქ. 6 მ. 2 ჩ), მარბერი (19 ქ. 6 მ), კ. რიჩარდსონი (3 ქ. 15 მ).

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (23 ქ. 9 მ. 3 პ), გორდონი (13 ქ), ჰაინრიხი (11 ქ), ჯო სმიტი (11 ქ), ბ. უოლასი (6 ქ. 12 მ. 3 ჩ).

**კლივლენდი-ტორონტო 111:108**

21:30, 31:26, 29:25, 30:27

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (37 ქ. 12 მ. 12 პ. 3 ჩ), დ. ჯოუნსი (17 ქ), გიბსონი (17 ქ), ილგაუსკასი (16 ქ. 15 მ).

**ტორონტო:** ბოში (41 ქ. 5 მ. 4 პ), კაპონო (17 ქ), ბარნიანი (14 ქ. 5 მ), კალდერონი (7 ქ. 13 პ).

**ორლანდო-მაიამი 120:98**

34:28, 25:21, 32:27, 29:23

**ორლანდო:** თურქოღლუ (27 ქ), რ. ლიუისი (19 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 13 მ. 2 ჩ), დულინგი (17 ქ), ნელსონი (12 ქ. 7 მ. 7 პ).

**მაიამი:** უეიდი (32 ქ. 6 მ. 6 პ), რ. დევისი (23 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), შ. ონილი (20 ქ. 6 მ).

**მინესოტა-ატლანტა 87:94**

28:17, 35:28, 12:19, 12:30

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (23 ქ. 16 მ. 2 დ), იარიჩი (20 ქ. 6 პ. 3 დ), ა. უოკერი (12 ქ. 2 ჩ), მაკკენტსი (11 ქ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (25 ქ. 5 პ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 8 მ. 5 პ. 5 დ. 3 ჩ), ჩილდრესი (14 ქ. 7 მ), ლიუ (13 ქ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (10 ქ. 5 მ).

**ჰიუსტონი-დენვერი 109:81**

34:13, 24:27, 26:22, 25:19

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (35 ქ. 5 მ), მინი (22 ქ. 13 მ), ფრენსისი (10 ქ. 3 პ. 2 ჩ), ბეტიე (8 ქ. 12 მ).

**დენვერი:** აივერსონი (18 ქ. 2 ჩ), ენტონი (17 ქ. 8 მ. 3 ჩ), ჯ. სმიტი (13 ქ), კემბი (5 ქ. 9 მ. 2 დ).

**მილუოკი-დალასი 97:95**

20:22, 24:25, 18:19, 35:29

**მილუოკი:** რედი (27 ქ. 3 პ), მო უილიამსი (19 ქ. 10 პ), ბოგუტი (16 ქ. 12 მ. 2 დ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (24 ქ. 11 მ. 4 პ), ტერი (21 ქ), ნოვიცკი (20 ქ. 3 პ), ბასი (13 ქ).

**კლიპერსი-ნიუ ორლეანი 89:98**

24:19, 24:36, 22:25, 19:18

**კლიპერსი:** მობლი (20 ქ), კამანი (18 ქ. 12 მ. 2 დ), ტიმ ტომასი (13 ქ. 12 მ. 6 პ), კასელი (10 ქ. 6 პ).

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (22 ქ. 5 მ), დევიდ უესტი (18 ქ. 8 მ. 4 პ. 2 დ), ჩენდლერი (12 ქ. 3 დ), პოლი (11 ქ. 10 პ. 2 ჩ), პიტერსონი (11 ქ. 5 მ).

**ფილადელფ-გ. სტეიტი 98:100 (ო)**

30:23, 27:22, 19:30, 14:15, 8:10

**ფილადელფია:** იგუოდალა (26 ქ. 11 მ. 5 ჩ. 4 პ. 2 დ), ა. მილერი (23 ქ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (18 ქ), დალემბერი (9 ქ. 10 მ. 2 დ).

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (31 ქ. 7 მ. 3 პ), ბ. დევისი (22 ქ. 7 მ. 6 პ. 4 ჩ), ს. ჯექსონი (18 ქ. 7 მ. 4 პ), ბიედრინსი (11 ქ. 14 მ. 3 დ), აზუბუიკე (10 ქ. 10 მ).

**მემფისი-ვაშინგტონი 124:118**

26:26, 24:27, 32:25, 42:40

**მემფისი:** ნავარო (28 ქ. 4 პ. 2 ჩ), გეი (27 ქ. 3 ჩ), გასოლი (21 ქ. 9 მ. 4 დ), ლოური (17 ქ. 5 მ. 5 პ), მ. მილერი (17 ქ. 6 მ. 6 პ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (41 ქ. 11 მ), კ. ბატლერი (27 ქ. 7 მ. 6 პ. 5 ჩ), ა. დენიელსი (10 ქ. 11 პ. 5 მ), მეისონი (10 ქ), ჰეივუდი (8 ქ. 10 მ. 2 დ).



## ლეიკერსი უებერით დაინტერესდა

გაზეთი Los Angeles Times იუწყება, რომ "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ამჟამად უკლუბოდ მყოფი **კრის უებერის** დამატებას აპირებს. თუმცა ამ ახალ ამბავზე კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ კომენტარს არ აკეთებს.

34 წლის კრის უებერი შარშან "დეტროიტ პისტონზში" თამაშობდა, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტი გახდა. ამ ზაფხულს, ამერიკელს თავისთან აქტიურად ეპატიჟებოდა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი", მაგრამ უებერმა (NBA-ში 822 მატჩი, 20.9 ქულა, 9.8 მოხსნა, 4.3 პასი) ევროპაში გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

## ვარეჟაო ფილადელფიაში?

"კლივლენდ კავალიერზი" თავისი სასტარტო ხუთეულისთვის შემტევ მცველს ეძებს და ამ მიზნით, კლუბის ხელმძღვანელობა "ფილადელფია სიქსერზის" წევრის, **ანდრე მილერის** (ამ სეზონში საშუალოდ - 13.3 ქულა, 4.3 მოხსნა, 4.2 პასი) გადაბირებით არის დაინტერესებული.

"კავალიერზი" მილერის სანაცვლოდ "სიქსერზს" ბრაზილიელ ფორვარდ **ანდერსონ ვარეჟაოს** სთავაზობს, რომელმაც დღემდე ვერ შეათანხმა ახალი კონტრაქტის პირობები "კლივლენდთან". "ფილადელფიაში" კი, მზად არიან ამ კალათბურთელს სეზონში 10 მილიონი დოლარი გადაუხადონ.

ახალი ამბები

## როდმანს ისევ უჩივლეს

ლას ვეგასის "ჰარდ როკ ოტელის" ყოფილმა თანამშრომელმა **სარა რობინსონმა** სასამართლოში უჩივლა NBA-ის ყოფილ ვარსკვლავ **დენის როდმანს**. ამ ქალბატონმა გაიხსენა, რომ 2006 წლის მარტში, კალათბურთელს მასზე სექსუალური ძალადობის მცდელობა ჰქონდა.

რობინსონმა თავის განცხადებაში ჩაწერა, რომ სასტუმროს ერთ-ერთ ბარში მუშაობის დროს, როდმანმა ჯერ ხელი სტაცა მას და როცა ქალმა თავი გაითავისუფლა, კალათბურთელმა ერთ ადგილას მოუთათუნა ხელი მიმტანს.

როდმანის ადვოკატებს ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

46 წლის ყოფილი ვარსკვლავი ამგვარ საქმეებში საკმაოდ გამოცდილია. 1998 წელს, მასზე ერთბაშად ოთხ ქალს ჰქონდა სასამართლოში სარჩელი შეტანილი - დაზარალებულები ამტკიცებდნენ, რომ კალათბურთელი მათ მკერდზე ეტანებოდა. 2001 წელს, სასტუმრო "მირაჟში" ანალოგიური საქციელისთვის, როდმანს 80 ათასი დოლარის გადახდა მოუწია.

## გარბახოსას სეზონის გამოტოვება ემუქრება

უკვე ოთხი ტურია, "ტორონტო რეპტორზის" შემადგენლობაში არ გამოჩენილა ესპანელი ფორვარდი **ხორხე გარბახოსა**. კალათბურთელი ბალტიმორში სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად გაემგზავრა. ექიმებმა უნდა დაადგინონ, რამდენად სერიოზულია ტერფის დაზიანება და სჭირდება თუ არა გარბახოსას ქირურგიული ჩარევა.

იმ შემთხვევაში, თუ ექიმები ამ დაზიანების სამკურნალოდ ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტენ, მაშინ ხორხეს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ეს ტრავმა ესპანელმა ჯერ კიდევ მარტში, "ბოსტონ სელტიქსთან" მატჩის დროს მიიღო, თუმცა გარბახოსამ მაინც ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე და წლევანდელ სეზონში რამდენიმე მატჩის გამართვაც მოასწრო.

## მაციაუსკასი მეხუთე ტურის რჩეულია

ევროლიგის მეხუთე ტურის საუკეთესო მოთამაშედ საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" მცველი **არვიდას მაციაუსკასი** დასახელდა.

ბერძნებმა საკუთარ მოედანზე გაანადგურეს პოლონეთის "სოპოტი" - 109:65. ლიტველი სნაიპერის მონაგარმა 27 ქულა, 2 მოხსნა, 5 შედეგიანი პასი, 2 ჩაჭრა და ერთი დაფარება შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მაციაუსკასმა თამაშიდან მხოლოდ სამი სროლა ააცილა, გარდა ამისა, პოლონელებმა მის წინააღმდეგ თამაშისას 8 პერსონალური შენიშვნა მიიღეს.

საბოლოოდ, არვიდასმა 41 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

## ახალი ამბები



## ფორსბერგს ეშველება?

სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა Expressen-მა **პიტერ ფორსბერგის** თაყვანისმცემლებისათვის. ცნობილი შვედი ფორვარდი ფინიქსშია ჩასული, სადაც მისი ტრავმირებული ფეხი ამერიკელმა ექიმმა **ბერტილ რომანუსმა** გამოიკვლია. შემოწმების შემდეგ ექიმმა აღნიშნა, რომ ფორსბერგი შეძლებს ყინულზე დაბრუნებას.

*"ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ ყველა იმ ტრავმის განკურნებას, რაც ფორსბერგს ყინულზე დაბრუნებაში უშლის ხელს. როცა ჩვენ ოქტომბერში შევხვდით ერთმანეთს, პიტერი უკვე მზად იყო მოედანზე დასაბრუნებლად, მაგრამ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშის დროს მიღებულმა ტერფის ტრავმამ, კვლავ გამოიყვანა წყობიდან ჰოკეისტი. ჩემი აზრით, შევძლებთ ფორსბერგის დიდ ჰოკეიში დაბრუნებას"*, - აცხადებს რომანუსი.

შეგახსენებთ, რომ შვედი ფორვარდი ამჟამად უკლუბოდაა. ცოტა ხნის წინ, ის შვედეთის ნაკრებთან ერთად ევროტურის პირველ ეტაპზე გამოსვლას აპირებდა, მაგრამ ვარჯიშისას კვლავ იგრძნო ფეხის ტკივილი და ნაკრების ბანაკი დატოვა. ამის შემდეგ, ფორვარდმა განაცხადა, რომ თუ მან ვერ შეძლო ტრავმების მორჩენა, ჰოკეიში არასოდეს დაბრუნდება.

## მსაჯთან კამათი ჯარიმით ისჯება

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "ტამპა ბეი ლაითნინგის" მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტორტოლერა** 10 ათასი დოლარით დაჯარიმდა. ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ამგვარი სასჯელი იმის გამო გამოიტანა, რომ ტორტოლერამ" "ატლანტასთან" (3:4) მატჩის შემდეგ, მსაჯების მოქმედება გააკრიტიკა.

არბიტრებმა მწვრთნელის კრიტიკა ოვერტაიმში მიღებული გადაწყვეტილების გამო მიიღეს. დამატებით დროში 2 წუთით გააძევეს მოედნიდან "ტამპას" ერთ-ერთი ლიდერი **ბრედ რიჩარდსი**, რის შემდეგაც, "ატლანტამ" გამარჯვების გოლი გაიტანა.

## ოტავა კელის შენარჩუნებას ლამობს

"ოტავა სენატორზის" პრეზიდენტი **ბრაიან მიურეი** კვლავაც ცდილობს თავისი ერთ-ერთი წამყვანი მცველის, **კრის კელის** შენარჩუნებას. ეს ჰოკეისტი მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება.

ამ დღეებში, "ოტავას" შეფობა ახალი წინადადებით მიმართავს კელის. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დასაწყისში, "სენატორებმა" მცველს ერთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 1.263 მილიონი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ ჰოკეისტმა ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაცხადა.

სხვათა შორის, კელის გარდა, ოტაველებს კონტრაქტი აქვთ გასაფორმებელი მცველ **ანდრეი მეზაროშთან** და ფორვარდებთან - **ანტუან ვერმეტთან** და **პატრიკ ივზთან**, რომლებიც ასევე თავისუფალი აგენტები ხდებიან.

## ლეჰტინენს ოპერაცია არ სჭირდება

"დალას სტარზს" გაურკვეველი ვადით გამოაკლდა მარჯვენა თავდამსხმელი **იერე ლეჰტინენი**. "ვარსკვლავების" გენერალური მენეჯერის, **დეივ ტიპეტის** ცნობით, ფინელმა ვეტერანმა ერთ-ერთ ბოლო მატჩში მუცლის კუნთი დაიზიანა, თუმცა ჰოკეისტს ოპერაცია არ ესაჭიროება.

*"იერეს რამდენიმე გამოკვლევის გავლა მოუწევს, რის შემდეგაც ზუსტად დადგინდება თუ რა დროა საჭირო სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად"*, - ამბობს ტიპეტი სააგენტო AP-სთან ინტერვიუში.

წელს, ლეჰტინენის ანგარიშზე 21 მატჩში 19 ქულა (6+13) მოდის.

## ჰონლონი ბელარუსში მიიწვიეს

როგორც იცით, გასულ კვირას "ვაშინგტონ კეპიტალზმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **გლენ ჰონლონი**. გუშინ, ამ სპეციალისტმა მიწვევა მიიღო ბელარუსის ჰოკეის ფედერაციიდან, რათა მან ამ ქვეყნის ნაკრები მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადოს.

*"მე უკვე ველაპარაკე ტელეფონით გლენ ჰონლონს და მას ბელარუსის ნაკრების მწვრთნელობა შევთავაზე. ვცდილობ სხვას დავასწრო და კლუბიდან დათხოვილი კარგი სპეციალისტი გადავიბირო"*, - აცხადებს ბელარუსის ფედერაციის პრეზიდენტი **ვლადიმერ ნაუმოვი**.

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 23 ნოემბერი

**ბოსტონი-აილენდერსი 2:1**

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 გ. მიურეი-4 (შტურმი-8, სავარი-18), 2:0 მეტროპოლიტი-4 (შეფერი-8), 2:1 სილინჯერი-3 (ჟერვე-7).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 3:4 (ო)**

0:1, 2:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 მ. გრინი-4 (ბექსტრიომი-9, პოტი-5), 0:2 კ. კლარკი-4 (ვიქ. კოზლოვი-11, პოტი-6), 0:3 ბრაშირი-1 (შ. მორისონი-4, ბექსტრიომი-10), 1:3 ბრიერი-11 (ლუპული-10, მ. რიჩარდსი-13), 2:3 ჯ. კარტერი-8 (უმბერგერი-8, ბირონი-1), 3:3 მ. რიჩარდსი-12 (უმბერგერი-9, კუკონენი-3), 3:4 ბექსტრიომი-2 (ოვეჩკინი-10).

**მინესოტა-კოლამბუსი 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პეკა-2 (ჟერდიოვი-11, ნეში-10), 0:2 ვიბორნი-2 (უესკოტი-2, ჰეინსი-11), 0:3 ფრიტშე-3, 0:4 ნეში-16 (პეკა-7).

**ანაჰაიმი-ფინიქსი 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მიულერი-5 (ბალარდი-3, ერბატა-5), 1:1 გეტცლაფი-8, 1:2 ერბატა-6 (ჰანცალი-8, ვინიკი-3), 2:2 პრონგერი-2 (ე. მაკდონალდი-9, ბერტუცი-2), 3:2 პრონგერი-3 (ო'დონელი-1, მოენი-2), 3:3 ერბატა-7 (კარჩილო-6, ჟოვანოვსკი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** დოუნი (ფინიქსი), ერბატა (ფინიქსი).

**კაროლინა-ტამპა ბეი 4:3**

1:1, 0:2, 3:0

**გოლები:** 1:0 ე. სტაალი-14 (სტილმანი-16, ე. კოული-10), 1:1 რეინჯერი-5 (ულეტი-9, ბ. რიჩარდსი-16), 1:2 პროსპალი-13 (სენტ ლუისი-20, ლეკავალიე-21), 1:3 ლეკავალიე-15 (სენტ ლუისი-21, კუბა-8), 2:3 რეი უიტნი-10 (კულენი-19), 3:3 ჯასტინ უილიამსი-9 (ბრინდამორი-17, გლისონი-3), 4:3 უესლი-1 (ე. კოული-11, სტილმანი-17).

**ბაფალო-მონრეალი 4:2**

1:0, 1:1: 2:1

**გოლები:** 1:0 დ. რუა-8 (აფინოგენოვი-4, პომინვილი-9), 2:0 ტ. კონოლი-2 (ბ. კემპბელი-12, გოსტადი-5), 2:1 ჰიგინსი-9 (მტრაიტი-10, ს. კოივუ-14), 2:2 პლეკანეცი-7 (კასტსიცინი-5), 3:2 ვანეკი-5 (პაეტში-3, პომინვილი-10), 4:2 პეი-5 (აფინოგენოვი-5, ტ. კონოლი-12).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პელეი-2 (ზუბრუსი-9, ლანგენბრუნერი-3), 0:2 მარტინი-1 (ჯონტა-8, ლანგენბრუნერი-4), 0:3 პანდოლფო-8 (მადენი-6, ლანგენბრუნერი-5).

**ფლორიდა-რეინჯერსი 3:2 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დრური-4 (როუსივალი-6, პრუხა-5), 1:1 ბუტი-6 (მონტადორი-2, კალიმორი-1), 2:1 უეისი-3 (ბოუმისტერი-5, ვოკოუნი-1), 2:2 დრური-5 (გომესი-12, შენეპანი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ო. იოკინენი (ფლორიდა).

**სენტ ლუისი-ვანკუვერი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 კარია-6 (ბოიესი-5, ბეკმენი-5), 2:0 ე. ჯონსონი-2 (უეიტი-5, კარია-16), 3:0 რუჩინსკი-2 (მ. ჯონსონი-1), 3:1 კესლერი-5 (პიატი-5, ისბისტერი-5).

**დალასი-ტორონტო 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-8 (სუნდინი-18, ვოჟნიევსკი-4), 1:1 რიბეირო-9 (მოროუ-14, ნისკანენი-5), 2:1 მიეტინენი-2, 3:1 ჰალპერნი-4 (ოტი-2, მოდანო-8).

### 24 ნოემბერი

**ფინიქსი-ტორონტო 5:1**

4:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ვინიკი-2 (ერბატა-6, ჟოვანოვსკი-13), 2:0 მიულერი-6 (კარჩილო-7, ზ. მიხალეკი-3), 3:0 რაინპრეხტი-6 (დოუნი-13, იორკი-3), 3:1 უელვუდი-4 (ჯ. ბლეიკი-13, გილი-5), 4:1 დ. მორისი-3 (ბალარდი-4, ზიგომანისი-1), 5:1 ერბატა-8 (ჰანცალი-9, ვინიკი-4).

**მონრეალი-ბაფალო 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 შპაჩეკი-5 (კოტალიკი-7, ბ. კემპბელი-13), 0:2 ვანეკი-6 (რაიანი-3, დ. რუა-9), 0:3 ჰეხტი-6 (შპაჩეკი-5).

**ოტავა-ფილადელფია 3:4**

2:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 1:0 რედენი-3 (სპეცა-18, ჰიტლი-16), 1:1 უმბერგერი-3 (ბრიერი-15, რ. ჯონსი-7), 2:1 ჰიტლი-12 (მაკამონდი-3, კ. ფილიპსი-4), 2:2 ჰარტნელი-3 (ბრიერი-16), 3:2 შუბერტი-3 (მაკგრეტანი-2, რედენი-10), 3:3 მ. რიჩარდსი-13 (უმბერგერი-10, ქობურნი-7), 3:4 ბრიერი-12 (ჰარტნელი-5, ქობურნი-8).

**აილენდერსი-ბოსტონი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 აქსელსონი-2 (სავარი-19), 1:1 ჰილბერტი-1 (სილინჯერი-5, დიპიეტრო-1), 2:1 პარკი-2 (ფედოტენკო-7, მარტინეკი-3).

**ვაშინგტონი-კაროლინა 5:2**

2:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 მ. გრინი-5 (ნიულანდერი-15, პოტი-7), 2:0 ოვეჩკინი-15 (ნიულანდერი-16, ბექსტრიომი-11), 3:0 ნიულანდერი-6 (ბექსტრიომი-12), 3:1 ე. კოული-4 (სტილმანი-18), 3:2 რეი უიტნი-11 (უესლი-1), 4:2 ოვეჩკინი-16 (შ. მორისონი-5), 5:2 გორდონი-2 (სტეკელი-1).

**კოლამბუსი-დეტროიტი 3:2 (ბ)**

2:0, 0:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მალორტა-4 (ჩიმერა-7, ვიბორნი-7), 2:0 ჟერდიოვი-7 (ჰეინსი-12, ნეში-11), 2:1 ჰოლმსტრიომი-12 (დაციუკი-18, რაფალსკი-16), 2:2 დაციუკი-5,

**ბულიტები გაიტანეს:** პეკა (კოლამბუსი), დაციუკი (დეტროიტი), ნეში (კოლამბუსი), ჟერდიოვი (კოლამბუსი).

**პიტსბურგი-ატლანტა 5:0**

3:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-2 (გ. რობერტსი-7, ტ. კენედი-1), 2:0 მელოუნი-7 (გონჩარი-16, ლეტანგი-2), 3:0 კ. არმსტრონგი-2 (კროსბი-21, გონჩარი-17), 4:0 კროსბი-12 (გონჩარი-18, კრისტენსენი-3), 5:0 რაიან უიტნი-4 (გ. რობერტსი-8, ტ. კენედი-2).

**ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი 2:3**

0:0, 1:3, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-16 (სენტ ლუისი-22, ო'ბრაიენი-3), 1:1 ჯონტა-6 (პარიზე-13, ლანგენბრუნერი-6), 1:2 ჯონტა-7 (ზაიაცი-8, პარიზე-14), 1:3 კლარკსონი-2 (მადენი-7, პანდოლფო-5), 2:3 ჯ. უორდი-3 (რეინჯერი-11, ლეკავალიე-22).

**ნეშვილი-მინესოტა 3:4**

2:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ვოროსი-3 (ბერსნი-7, ფოი-2), 1:1 ერატი-7 (კოისტინენი-3, სატერი-7), 2:1 გელინასი-2 (ზენონი-2), 2:2 ფოი-2 (შეპარდი-6), 2:3 გაბორიკი-8 (ჰერიში-4, მური-1), 3:3 ფიდლერი-6 (რადულოვი-11), 3:4 რადივოევიჩი-2 (მური-2, ველო-2).

**კოლორადო-კალგარი 2:5**

0:2, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-9 (იგინლა-16, ერიქსონი-4), 0:2 ლომბარდი-7 (სერიჩი-1), 0:3 ა. ოკუანი-3 (ჰუსელიუსი-10, ლომბარდი-9), 0:4 იელე-1 (ბოიდი-1), 1:4 საკიკი-6 (ბრუნეტი-13, ფინგერი-4), 1:5 კონროი-4 (იგინლა-17, სერიჩი-2), 2:5 რიჩარდსონი-1 (ჰენანი-4, ზაუერი-4).

**ედმონტონი-ჩიკაგო 3:2 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ვანდერმეერი-2 (ვიშნიევსკი-5), 1,1 ჰემსკი-7 (გრებეშკოვი-2, სანდერსონი-4), 2:1 რისონერი-2 (ბროძიაკი-5, სანდერსონი-5), 2:2 კეიტი-4 (ლაპოინტი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), ჰორკოფი (ედმონტონი).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 1:2**

0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-9 (პრისინგი-4, კოპიტარი-11), 0:2 კოპიტარი-9 (ვიშნოვსკი-13, დ. ბრაუნი-6), 1:2 მ. მიხალეკი-7 (პაველსკი-4).

## TV სპორტი

### 26 ნოემბერი. ორშაბათი

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბორუსია (დ).
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-პსჟ.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-არგ. ხუნიორსი.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ვალენსია.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:15 ევრო 2008.
00:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ფეიენოორდი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:50 ფეხბურთი. Barca TV.
08:59 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
09:30 სპორტის სამყარო.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. III ეტაპი. მალაიზია.
12:33 სპორტული ისტორიები.
12:44 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:12 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი.
15:01 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. ბრაზილია.
17:31 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბორუსია (დ).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ვალენსია.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ხეტაფე.
02:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
02:29 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი.
04:18 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
04:47 ფეხბურთი. Barca TV.
04:57 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-ბენფიკა.
06:46 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
07:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:44 სპორტული ისტორიები.

**EUROSPORT**

11:30 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. ფინალი. დუბაი. საემიროები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი-გიგანტი. კანადა.
13:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. კანადა.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 4x5 კმ. დუატლონი. ნორვეგია.
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 4x10 კმ. დუატლონი. ნორვეგია.
16:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 4x5 კმ. დუატლონი. ნორვეგია.
18:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა (LIVE).
20:15 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 მულტისპორტი.
22:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
23:00 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
23:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:45 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სელიე (სლოვენია)-გუმერსბახი (გერმანია).
15:00 ახალი ამბები.
17:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მე-3 ადგილისთვის. რუსეთი-პორტუგალია. პორტუგალია.
18:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სელიე (სლოვენია)-გუმერსბახი (გერმანია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
00:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
01:00 პული. ევროპის ტური. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კარტინგი. ბრაზილია.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### მინი-ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| რუსეთი-პორტუგალია | 3:2 |
| **ფინალი** | |
| ესპანეთი-იტალია | 3:1 |

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ლარისა-პანიონიოსი | 65:67 |
| პანელინიოსი-აეკ | 77:75 (ო) |
| რეთიმნო-აეკ | 51:57 |
| პაოკ-ეგალეო | 71:72 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია | 94:56 |
| მარუსი-არისი | 63:71 |
| ოლიმპიაკოსი-კოლოსოსი | 106:84 |
| **ესპანეთი** | |
| მურსია-რეალი | 62:65 |
| ლეონი-ტაუგრესი | 87:98 |
| ბილბაო-მენორკა | 77:64 |
| კახასოლი-ბარსელონა | 75:58 |
| ხუვენტუდი-ხირონა | 92:73 |
| უნიკახა-ვალიადოლიდი | 103:65 |
| გრან კანარია-ფუენლაბრადა | 75:64 |
| მანრესა-ესტუდიანტესი | 86:79 |
| **იტალია** | |
| კლიმამიო-დ'ორლანდო | 94:91 |
| აველინო-ტერამო | 101:81 |
| ბიელა-საკაფატი | 95:88 |
| კანტუ-რომა | 67:78 |
| მონტეპასკი-ბენეტონი | 85:71 |
| რიეტი-ნაპოლი | 77:64 |
| სნაიდერო-მილანი | 68:70 |
| ვარეზე-სკავოლინი | ო.ტ. 89:90 |
| **საფრანგეთი** | |
| დიჟონი-სტრასბური | 70:76 |
| ლე მანი-ვილერბანი | 83:69 |
| რუანი-შოლე | 90:77 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| დინამო-ს. იულაევი | 0:3 |
| მედ-ლადა | 6:2 |
| ლოკომოტივი-ხიმიკი | 1:6 |
| სევერსტალი-სკა | 5:2 |
| აკ ბარსი-ცსკა | 3:1 |
| ნეფტიხიმიკი-ტორპედო | 0:0 |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 6:4 |
| სპარტაკი-ტრაქტორი | 6:2 |
| სიბირი-ვიტიაზი | 3:3 |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2:2 |
| ჰანოვერი-კრეფელდი | 4:3 |
| ფრანკფურტი-კიოლნი | 2:0 |
| დუისბურგი-დიუსელდორფი | 0:6 |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 0:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ტრენჩინი | 2:3 |
| ჟილინა-სლოვანი | 5:4 |
| სკალიცა-კეჟმაროკი | 3:2 |
| ნიტრა-კოშიცე | 1:5 |
| ზვოლენი-მარტინი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-საიპა | 4:0 |
| პიუკ-კერპეტი | 3:5 |
| ილვესი-იოკერიტი | 1:2 |
| კაიპა-ტაპარა | 0:3 |
| ლუკო-იუვიასკიულა | 3:6 |
| ტპს-ჰპკ | 2:1 |
| ესეტი-პელიკანსი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ტრშინეცი | 5:3 |
| ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 4:3 |
| სლოვანი-პარდუბიცე | 4:4 |
| სლავია-კლადნო | 5:3 |
| ლიბერეცი-პლზენი | 2:2 |
| ზნოიმო-კარლოვი ვარი | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ლუგანო | 1:1 |
| ბაზელი-სერვეტი | 1:4 |
| დავოსი-რაპერსვილი | 8:1 |
| ლანგნაუ-ბერნი | 2:3 |
| ცუგი-ფრიბურგი | 3:3 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 2:3 |
| სკელეფტეო-ფერიესტადი | 3:3 |
| იურგორდენი-მოდო | 4:1 |
| მორა-სიოდერტალიე | 1:1 |
| ტიმრე-ლინჩოპინგი | 2:6 |
| ბრინესი-ლულეა | 1:1 |

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# კარბონი გამარჯვებას მიეჩვია

მსოფლიოს უძლიერესმა სამთო მოთხილამურეებმა ევროპიდან ოკეანის გაღმა, კანადაში გადაინაცვლეს, სადაც სამთო კურორტებზე – პანორამაში და ლეიკ ლუისში, გიგანტურ სლალომსა და დაშვებაში მორიგი ეტაპები ჩატარდა. პანორამაში ქალებს გიგანტური სლალომის მეორე ეტაპი ჰქონდათ, ლეიკ ლუისში კი კაცები დაშვებაში პირველად შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

გიგანტურ სლალომში კვლავ უბადლო იყო იტალიელი **დენიზე კარბონი**, ვინც ამ დისციპლინაში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა. შეგახსენებთ, რომ პირველად მან სეზონის გახსნითი რბოლა მოიგო, რომელსაც ავსტრიის ზოლდენმა უმასპინძლა.

პირველი ცდის შემდეგ, რბოლას გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპის** სახით, მაგრამ წინა სეზონის მსოფლიო თასის აბსოლუტურ გამარჯვებულს მეორე ცდაზე ხელი მოეცარა და საბოლოოდ, ის ათეულს მიღმა დარჩა. 27 წლის კარბონმა კი, ვისაც ადრე თავის გამოჩენაში ხშირი ტრავმები უშლიდა ხელს, მეორე ცდა საუკეთესოდ შეასრულა და თავის კარიერაში მსოფლიო თასის მესამე ეტაპი მოიგო.

*"არ მჯერა, რომ ისევ მე მოვიგე. პირველ ცდაზე რისკებისგან თავი შევიკავე, თუმცა ამის მიუხედავად, ლიდერებს ბევრით არ ჩამოვრჩენილვარ. მეორეზე მეტად გავრისკე და შედეგიც შესაბამისი მივიღე"*, - ნარბოლევს განაცხადა კარბონმა, ვისაც პირველი ცდის შემდეგ მეოთხე საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

გამარჯვებულთან ნახევარ წამზე მეტი წააგო ავსტრიელმა **ელიზაბეთ გიორგლმა**, კვარცხლბეკის მესამე საფეხური კი კიდევ ერთმა იტალიელმა, **მანუელა მიოლეგმა** დაიკავა.

კარბონმა სამი წლის წინ, ვარჯიშის დროს მომხდარ ინციდენტისას სერიოზული ტრავმები მიიღო – ორივე მუხლი დაუზიანდა, ერთ ფეხზე წვივის ძვალი გაუტყდა, ორივე მუხლზე კი მყესები დაუწყდა. ამ ტრავმის გამო, მან მთელი მომდევნო სეზონი გამოტოვა, მერე კი იმავე ტრავმის ხშირი რეციდივები ფორმაში შესვლის საშუალებას არ აძლევდა. საერთო ჯამში, ორივე მუხლზე მან ხუთი ოპერაცია გადაიტანა. მაგრამ შარშან, მას შემდეგ, რაც ფეხებზე ბოლომდე იმკურნალა, სამთო ფერდობზე დაბრუნებულმა, შარშან შვედეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გიგანტურ სლალომში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ლეიკ ლუისში კი, კაცების პირველი დაშვება კანადელი **იან ჰუდეცის** გამარჯვებით დასრულდა. მართალია, მისთვის ეს კარიერაში მოგებული პირველი რბოლაა (მსოფლიო თასზე), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წინასარბოლო ოფიციალურ ვარჯიშებზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა, მისი გამარჯვება დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა. ის პირველი კანადელი მოთხილამურეა, ვინც ლეიკ ლუისში დაშვების რბოლის მოგება შეძლო.

26 წლის კანადელმა ლეიკ ლუისის ოლიმპიური ფერდობი წუთსა და 42.72 წამში ჩაისრიალა და 0.24 წამით აჯობა მეორეზე გასულ ამერიკელ **მარკო სალივანს**, ვინც კარიერაში პირველად შეძლო მსოფლიო თასის ეტაპზე კვარცხლბეკის საფეხურის დაკავება.

კარბონისა არ იყოს, ჰუდეცსაც ადრე თავის გამოჩენაში ხშირი ტრავმები უშლიდა ხელს. მარჯვენა მუხლზე გაკეთებული სამი ოპერაციის გამო, მას წინა სამი სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა.აქამდე მსოფლიოს თასზე მისი საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილი იყო, რომელიც მან შარშან, გარმიშ-პარტენკირხენში, დაშვების რბოლაზე დაიკავა. შარშანვე, ჰუდეცმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშვების რბოლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. სხვათა შორის, ეს ერთადერთი მედალი იყო, რომელიც შარშანდელ ჩემპიონატზე კანადელებმა მიიღეს.

*"მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მე მეორე ადგილზე გასვლას შევძლებდი. გამონაკლისები მხოლოდ მე და ჩემი მწვრთნელები ვიყავით. ახლაც ასე იყო. სეზონის დასაწყისში ჩემი გამარჯვება ბევრისთვის მოულოდნელობაა"*, - ამბობს ჰუდეცი, ვინც ტრასაზე მეხუთე გავიდა, თავის გამარჯვებას კი ტრასის ბოლოს, ფინიშის ხაზთან ახლოს, მეუღლესთან, ახალშობილ ბიჭთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ელოდა.

ჰუდეცმა განსაკუთრებით მძიმე ტრავმა ორი წლის წინ მიიღო, რის შემდეგაც ექიმებმა უთხრეს, მუხლი ისე გაქვს, კაცი იფიქრებს, მასში დინამიტი აუფეთქებიათო. მაგრამ მოთხილამურეს ხელი არ ჩაუქნევია. მას სწამდა, რომ მისი დროც დადგებოდა და ის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლას შეძლებდა.

*"ვერ ვიტყვი, ჩემს სპორტულ მომავალში ეჭვი არასოდეს შემიტანია-მეთქი. მაგრამ ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ უკეთესი დროც დამიდგებოდა. რწმენის გარეშე, სპორტში ჩემი დარჩენაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა"*, - დასძენს ჰუდეცი.

მსგავსი გზა განვლო სალივანმაც, ვისი კარიერაც ასევე არაერთხელ დამდგარა დასრულების საშიშროების წინაშე. ყველაზე მძიმე ავარია კი მას აშშ-ის ბივერ კრიკში შეემთხვა, სადაც მსოფლიო თასის მომდევნო ეტაპი ჩატარდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### პანორამა (კანადა).

#### ქალები. გიგანტური სლალომი

1. დენიზე კარბონი (იტალია) 2:42.71 (1:23.27, 1:19.44); 2. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:43.13 (1:23.63, 1:19.50); 3. მანუელა მიოლეგი (იტალია) 2:43.22 (1:22.93, 1:20.29); 4. მარლის შილდი (ავსტრია) 2:43.28 (1:23.64, 1:19.64); 5. ევა-მარია ბრემი (ავსტრია) 2:43.56 (1:23.71, 1:19.85); 6. ნიკოლ ჯუსი (იტალია) 2:43.62 (1:22.81, 1:20.81); 7. ჯესიკა ლინდელვიკარბი (შვედეთი) 2:43.78 (1:23.42, 1:20.36); 8. ანა დრევი (სლოვაკეთი) 2:44.40 (1:25.33, 1:19.07); 9. კათრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:44.46 (1:25.35, 1:19.11); 10. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:44.47 (1:24.95, 1:19.52)...

#### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. დენიზე კარბონი (იტალია) 206; 2. მარლის შილდი (ავსტრია) 162; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 117; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 109; 5. მანუელა მიოლეგი (იტალია) 107...

### ლეიკ ლუისი (კანადა).

#### კაცები. დაშვება

1. იან ჰუდეცი (კანადა) 1:42.79; 2. მარკო სალივანი (აშშ) 1:43.03; 3. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) 1:43.13; 4. კურტ შულცენბახერი (იტალია) 1:43.29; 5. ტობიას გრუენფელდერი (შვეიცარია) 1:43.30; 6. ვერნერ ჰეელი (იტალია) 1:43.31; 7. ჯონ კუჩერა (კანადა) 1:43.33; 8. ადრიან თიუ (საფრანგეთი) 1:43.39; 9. გეორგ შტრაიტბერგერი (ავსტრია) 1:43.40; 10. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:43.43...

#### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. კალე პალანდერი (ფინეთი) 140; 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 134; 3-5. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 100; 3-5. იან ჰუდეცი (კანადა) 100; 3-5. მარკ ჯინი (შვეიცარია) 100.



კარბონმა სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა

## კრივი



მაიორგამ ვარგასი ორჯერ დასცა

ზესაშუალო წონა

# ვარგასი სპორტს ნაგებული ტოვებს

ლოს ანჯელესის "სტეიპლს სენტერში" მოწყობილ რინგზე, ნიკარაგუელმა **რიკარდო მაიორგამ** ქულებით დაამარცხა ამერიკელი **ფერნანდო ვარგასი**, ვისთვისაც ეს პროფესიულ რინგზე ჩატარებული ბოლო ბრძოლა იყო. გამარვჯების შემდეგ, მაიორგამ განაცხადა, რომ კარიერას გააგრძელებს, მაგრამ ზესაშუალო წონაში (ვარგასს სწორედ ამ წონაში შეხვდა) აღარასოდეს იბრძოლებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაიორგამ მეტოქე რინგზე ორჯერ დასცა (პირველ და მე-11 რაუნდებში), სამიდან მაინც მხოლოდ ორი მსაჯის მიმხრობა (115-111, 114-112) შეძლო, ერთმა კი ფრე (113-113) დააფიქსირა.

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონებმა (სხვადასხვა წონებში) 12-ვე რაუნდი დაძაბულ ბრძოლაში გაატარეს. თავიდან ვარგასმა შეუტია და საერთოდაც, ის ოდნავ უფრო აქტიურიც იყო, მაგრამ ნაგემი ორი ნოკდაუნი მას ნაგების ფასად დაუჯდა. ამ ორი ნოკდაუნიდან კი გადამწყვეტი მნიშვნელობა მეორეს მიენიჭა.

*"რიკარდოს გარჯას ვერ დავუკარგავ. ის ამ ბრძოლაში ცოტათი მჯობდა, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ორვე ნოკდაუნი შემთხვევით ვიწვნიე. ასეა თუ ისე, ეს ჩემი ბოლო ბრძოლა იყო. რა თქმა უნდა, სპორტიდან წასვლას გამარჯვების შემდეგ ვამჯობინებდი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარიერა დაუსრულებლად გააგრძელო. ბრძოლის წინ მეგონა, რომ ფერნანდო გიჟურად შემომიტევდა, რაც მას სჩვევია, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევისთვის მე მისთვის სიურპრიზები მქონდა"*, - განაცხადა 29 წლის ვარგასმა, ვინც ბოლო ორი რაუნდი შეტევებში კი გაატარა, მაგრამ სწორედ იმ მეორე ნოკდაუნის გამო, მსაჯები თავის უპირატესობაში ვერ დაარწმუნა.

ამგვარად, 34 წლის მაიორგამ, ვინც სამჯერ ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი, პროფესიულ კარიერაში 28-ე გამარჯვება (22 ნოკაუტით აქვს მოგებული) მოიპოვა. ამასთან, მას ექვსი ბრძოლა წაგებული აქვს (მათგან ბოლო წელიწადნახევრის წინ, **ოსკარ დე ლა ჰოიასგან** იგემა), ერთხელ კი ბრძოლა უშედეგოდ დაასრულა. ვარგასი ორგზის მსოფლიო ჩემპიონია. მან კარიერა 26 მოგებით (22 ნოკაუტი) და 5 წაგებით დაასრულა. აქედან მაიორგასთან შეხვედრამდე, ბოლო მარცხი **შეინ მოსლისგან** წელიწადნახევრის წინ იწვნია.

## ჩოგბურთი

ვარსკვლავები

# სამპრასმა ფედერერი დაამარცხა

ამერიკელი **პიტ სამპრასის** გამარჯვებით დასრულდა მისი და მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** აზიური ტურნეს ბოლო, მესამე შეხვედრა, რომელსაც ჩინეთის სამხრეთში მდებარე საპორტო ქალაქ მაკაუს "ვენეციან მაკაუ არენამ" უმასპინძლა.

ამერიკელმა, ვინც წინა ორი შეხვედრა დათმო, ამჯერად შვეიცარიელ მაესტროს არაფერი დაუთმო. ის ერთხელაც არ დამდგარა თავისი მოწოდების წაგების საშიშროების წინაშე და ორ სეტში – 7:6(8), 6:4 დაამარცხა მეტოქე, ვინც სეზონის განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელ შეხვედრებს აგებს.

*"ჩემი მიზანი, ამ სამ შეხვედრაში თუნდაც ერთი სეტის მოგება იყო. მე კი ბოლო მატჩი მოვიგე. რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს უბრალოდ, საჩვენებელი შეხვედრები იყო"*, - ნამატჩევს განაცხადა სამპრასმა და დასძინა, რომ დიდ ჩოგბურთში მისი დაბრუნების მინიმალური შანსიც არ არსებობს. ჩემი დრო 90-იან წლებში იყოო – ამბობს ამერიკელი.

ორივე ჩოგბურთელს ერთად, დიდი სლემის სულ 26 ტიტული აქვს მოპოვებული. აქედან 14 ამერიკელის ანგარიშზეა, ვისაც კაცებს შორის ყველაზე მეტი სასლემო ტურნირი აქვს მოგებული. ამ მხრივ, ფედერერი მას მხოლოდ ორი ტიტულით ჩამორჩება და სავარაუდოდ, ამ ორ ტიტულს ის მომდევნო სეზონში მოიპოვებს.

*"გაოცებული ვარ. ამ კაცს ახლაც უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში. წინა ორ შეხვედრაშიც ძლივს მოვუგე, ახლა კი მან მაჯობა. მართალი გითხრათ, მიხარია, რომ ეს შეძლო"*, - განაცხადა 26 წლის ფედერერმა, ვინც გასულ სეზონში დიდი სლემის სამი ტურნირი (ავსტრალიის და აშშ-ის ღია, ასევე უიმბლდონი), ასევე მასტერსის თასი (მეოთხედ) მოიგო. გასულ სეზონში მან 77 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მათგან მხოლოდ 9 წააგო.

შეგახსენებთ, რომ აზიურ ტურნემდე ფედერერი და სამპრასი ერთმანეთს ერთადერთხელ, 2001 წელს, უიმბლდონის მეოთხე წრეში შეხვდრიან და მაშინ ხუთსეტიანი თრილერი შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა.



სამპრასი ხშირად ასეთი თამაშითაც აოცებდა მაყურებელს

აზიური ტურნეს პირველი ორი შეხვედრა კი მან 6:4, 6:3 (სეულში, სამხრეთ კორეა) და 7:6(6), 7:6(5) (კუალა ლუმპურში, მალაიზია) მოიგო.

ფედერერის თქმით, სწრაფ კორტებზე სამპრასს ახლაც ნებისმიერი ჩოგბურთელის დამარცხება შეუძლია. მასზე ათი წლით უფროსი ამერიკელი კი დარწმუნებულია, რომ ფედერერი მომდევნო სეზონში თუ არა, მის შემდეგ მაინც შეძლებს მისი რეკორდის გაუმჯობესებას და დიდი სლემის მე-15 ტიტულს დაეუფლება.

დაბოლოს, უშუალოდ ტურნეს ბოლო შეხვედრის შესახებ. თამაშის პირველ სეტში, მეტოქეებმა ბრეიკს ვერაფრით მიაღწიეს და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც თავისი ძლიერი მოწოდების წყალობით, სამპრასმა მცირე უპირატესობას (10:8) მიაღწია.

მეორე სეტის მესამე გეიმში ფედერერს პრობლემები შეექმნა. თავის მოწოდებაზე, ის 30-40 ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ ნერვები მოთოკა და გეიმი შეინარჩუნა. მეცხრე გეიმში, როცა ანგარიში 4:4 იყო, ფედერერი კვლავ თავის სერვისზე ჩამორჩა. მის მიერ უზუსტოდ შესრულებული ფორჰენდით ამერიკელმა ბრეიკ პოინტი მიიღო, რომელიც უზუსტესი ფორჰენდით, ბრეიკად აქცია. მომდევნო გეიმში კი, სამპრასი თავის სერვისზე კვლავ უშეცდომოდ გაისარჯა და შეხვედრა გამარჯვებით მას შემდეგ დაასრულა, რაც ბურთის ბოლო გათამაშებაზე, ფედერერმა ბექჰენდით თამაშისას შეცდომა დაუშვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ელექტრონული ბიბლიოთეკა

**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოზა ხატისაშვილი
ზესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოზა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)



მისამართი:
ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტრუქცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა**